



178/2
1982

საქართველო
საქართველო

65
1982



1982

178/2
1982



პროლეტარებო უველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმეთა საქარტალი

№ 1

იანვარი
თებერვალი

1982 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მაცნეირულ-პრაქტიკული შურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|----|
| საქართველოს პარტიული აქტივის კრება | 3 |
| საპარტველოს პარტიული აქტივის კრების მასალები | |
| ა. რეკონსტრუქციის განვითარების კანონიერება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში | 5 |
| ბ. კოლბინი — გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა ადმინისტრაციული ორგანოებისადმი | 12 |
| ა. ინაური — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების სამოცი წლისთავი | 23 |
| ა. ზურაბაშვილი, ა. გაბიანი, გ. დეუვა, ბ. ნანეიშვილი — ნარკომანია და მასთან ბრძოლის სამედიცინო და სოციალურ-სამართლებრივი საკითხები | 31 |
| საპროკურატორო უმაღლესი სასამართლოს კრებები | |
| ლ. ქუთათელაძე — მომჭირნობა და ყაირათიანობა დროის მოთხოვნა | 39 |
| სასამართლო კრებები | |
| ლ. ჩოგოლაშვილი — თვითნებურ ნაგებობათა გამო საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი სადავო საკითხი | 48 |
| ოფიციალური მასალა | 59 |
| გრიგოლ ბიწაძის ხსოვნას | 76 |
| ბიბლიოგრაფია | 77 |
| ცნობები ავტორთა შესახებ | 80 |



СОДЕРЖАНИЕ

Собрание партийного актива Грузии

3

МАТЕРИАЛЫ СОБРАНИЯ ПАРТИЙНОГО АКТИВА ГРУЗИИ

| | |
|--|----|
| А. Рекунков — Укреплять законность во всех сферах государственной и общественной жизни | 5 |
| Г. Колбин — Усилить партийное руководство административными органами | 12 |
| А. Инаури — 60-летие органов государственной безопасности Грузинской ССР | 23 |
| А. Зурабшвили, А. Габияни, Г. Лежава, Б. Нанеишвили — Наркомания и вопросы медицинской и социально-правовой борьбы с ней | 31 |

ПРАКТИКА ПРОКУРОРСКОГО НАДЗОРА

| | |
|---|----|
| Л. Кутателадзе — Бережливость и экономия — требование времени | 39 |
|---|----|

СУДЕБНАЯ ПРАКТИКА

| | |
|--|----|
| Л. Чорголашвили — Некоторые спорные вопросы судебной практики по делам о самовольном строительстве | 48 |
| Официальный материал | 59 |
| Памяти Григория Бицадзе | 76 |
| Библиография | 77 |
| Сведения об авторах | 80 |



საკრედიტო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
- გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
- მ. ლევანიშვილი, გ. ტუეშელიაძე, ვ. ქვაჩხია, ა. შუშანაშვილი,
- ა. ხოჭოლავა, ს. ჭორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“. 1982 წ.

კრედიტის მისამართი, თბილისი, კლდისძეძის კრ. 108. ტ. 95-55-87, 95-55-49.

გადაეცა ასაწყობად 14,182 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.282 წ..
 ფორმატი 70x108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
 ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5

შეკვ. № 114

ტირაჟი 16500

უკ 06102

საქ. კმ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

17236

საქართველოს კარტიული აქტივის კრეზა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება. კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ შედიან ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პროფკავშირული და კავშირული მუშაკები, ადმინისტრაციულ ორგანოთა და რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

პარტიული აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი **ა. მ. რეჟუნკოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე **ვ. ი. გლადიშევი**.

პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა იმსჯელეს მართლწესრიგის განმტკიცებისათვის პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვის ორგანოების საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შედეგებსა და ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებიდან სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **გ. ვ. კოლბინმა**.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ვ. ადღეიბა**, საქართველოს სსრ პროკურორი **ა. მ. ბარაბაძე**, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ნ. შ. ენდელაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ე. ჩერქეზია**, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ა. გ. კარანაძე**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. რ. პაპუნიაძე**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ა. ა. მუშანაშვილი**, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრა **დ. ნ. დვალიშვილი**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე**, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ა. გ. პარასტაევი**, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოად-

დ. მარტო...

გილე ვ. ი. შადური, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. დ. რუხაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე უ. კ. შარტავა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ფოფხაძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. ნ. შავიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. შ. ციციშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ს. მ. ჯორბენაძე, ახალქალაქის რაიონის პროკურორი ი. ო. აბრამიანი.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი.

პარტიული აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.

განვაგვიხოთ კანონიერება სახელმწიფო და საზოგადოებრივი სხოვრების ყველა სწარმოი

ა. მ. რაქუნაძე,

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი

ჩვენი პარტიის, ქვეყნის მთელი ცხოვრება ახლა მიმდინარეობს სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით. პლენუმზე წარმოთქმულ შესანიშნავ, ღრმაშინაარსიან და ყოველსმომცველ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კიდევ უფრო განავითარა ყრილობის იდეები და გადაწყვეტილებანი, განსაზღვრა მათი რეალიზაციის პრაქტიკული გზები.

ყოველ ჩვენგანს ახსოვს გასული წლის მაისის დღეები, როცა საბჭოთა საქართველომ, რესპუბლიკის კომპარტიამ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმიტ აღნიშნეს თავიანთი სახელოვანი სამოცი წლის იუბილე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ საიუბილეო ზეიმზე წარმოთქმულ სიტყვაში მაღალი შეფასება მიეცა რესპუბლიკის მიღწევებს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ დარგებში, მიღწევებს, რომლებიც განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან.

ყველანი გულწრფელად ვხარობთ თქვენთან ერთად სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრების, სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების გამო და ვუსურვებთ საქართველოს მშრომელებს ახალ მიღწევებს 1982 წლის—მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის გეგმების შესრულებაში.

ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რომელიც რესპუბლიკაში წარმოებს, თვალნათლივ მოწმობს, რომ კანონიერების რეჟიმის თანმიმდევრული განმტკიცება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის, იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

70-იან წლებში რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გაჩაღებულმა ბრძოლამ ნეგატიური ანტისოციალური მოვლენების — მექრთამეობის, ბოროტმოქმედების წინააღმდეგ მტკიცე და უკომპრომისო ბრძოლამ ხელი შეუწყო საგრძნობი პოზიტიური ძვრების მიღწევას კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

დღეს ჩვენ უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ არა მარტო იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდებოდა და ხორციელდება რესპუბლიკაში მართლწესრიგის განსამტკიცებლად, არამედ აღვნიშნოთ გარკვეული შედეგებიც, რომლებიც მათ მოჰყვა. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით პარტიის თბილისისა და რუსთავის საქალაქო კომიტეტებში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტში გამართული შეხვედრების დროს. შედეგები კი მოგვხსენებათ, ყოველგვარი მუშაობის მთავარი მაჩვენებელია.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა ახლა მარტოდენ მიღწეულზე გველაპარაკა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს არაერთგზის მიუთითებია იმ დიდ ზიანზე — მატერიალურზე, ზნეობრივსა თუ პოლიტიკურზე, რომელსაც სახელმწიფოს აყენებს სოციალისტური საკუთრების დატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია, სხვა ის საზიზარო მოვლენები, მემკვიდრეობად რომ დაგვიტოვა ძველმა სამყარომ.

ფაქტები და მაგალითები კიდევ ერთხელ მკვერმეტყველურად მოწმობს. თუ რაოდენ დიდი სიფხიზლე გვმართებს ჩვენ, კომუნისტებს, ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების წინაშე, რა შეიძლება მოჰყვეს გულარხეინობასა და ყოვლისმპატიებლობას, როცა საქმე ეხება თითოეული ჩვენგანისათვის ყველაზე წმინდას — სახალხო დოვლათის შენარჩუნებასა და გამრავლებას.

ამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ყველა მშრომლის, ყველა კომუნისტის საქმეა. ასეთია ჩვენი პარტიის მოთხოვნა. სწორედ ამით ხელმძღვანელობს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია.

რესპუბლიკაში ხორციელდება სოციალისტური საკუთრების დატაცებათა აღმოფხვრის მტკიცე კურსი. მაგრამ ამგვარი დანაშაულობანი ჯერჯერობით ერთობ ხშირია. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ დღესდღეობით ამ საქმეში გადამწყვეტი გარდატეხისათვის მიგვეღწიოს.

საკმარისია გავიხსენოთ ისეთი ფაქტები, როგორც არის ფულადი სახსრების დატაცება თბილისის შამპანური ღვინოების კომბინატში, რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში და სხვაგან.

ეს კონკრეტული საქმეები შეიძლება სხვადასხვა პოზიციიდან შეაფასო. შეიძლება ილაპარაკო იმ დიდ და დაძაბულ მუშაობაზე, რომელსაც რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო აპარატები ეწევიან მფლანგველების გამოსაშუქარავებლად. და მართლაც, გამომძიებლები, მათი პროფესიული ოსტატობა და სიმტკიცე დადებითი შეფასების ღირსია.

მაგრამ დღეს, ალბათ, უფრო სასარგებლო იქნებოდა ამ მოვლენებისათვის სულ სხვა კუთხით შეგვეხედა. დღეს ყოველმა ჩვენგანმა უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს: რატომ მოხდა ეს? და რა უნდა ვიღონოთ, რომ მსგავსი რამ აღარ მოგვივიდეს?

თვით ის ფაქტი, რომ დანაშაულებებს შესაძლებლობა ჰქონდათ წლების მანძილზე დაუსჯელად მიეთვისებინათ სახალხო დოვლათი, თავიანთ ორბიტაში ჩაეთრიათ და გაეხრწნათ ბევრი ადამიანი, მოწმობს, რომ ჩვენი გამაფრთხილებელი მექანიზმი ჯერ კიდევ არსებითი შეფერხებებით მუშაობს. ამასთან დაკავშირებით სერიოზული პრეტენზიები უნდა წავუყენოთ საუწყებო სარევიზიო სამსახურის მუშაობას და მთლიანად კონტროლის მდგომარობას. იმ საწარმოებში ხომ, სადაც წლების მანძილზე იტაცებდნენ სახალხო დოვლათს, არაერთი რევიზია და შემოწმება მოწყობილა, მაგრამ დანაშაულებრივი მაქინაციები არავის გამოუტანია საშუალოზე; რევიზორები არათუ ხელს არ უშლიდნენ ქურდებს, არამედ ზოგჯერ ეხმარებოდნენ კიდევ მათ.

მექრთამეობა იყო გამჭდარი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოშიც. არსებითად, ფინანსური კონტროლის ეს მთავარი ორგანო გამოთიშული აღმოჩნდა სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისათვის ბრძოლისაგან. იმიტომ რომ იქ, სადაც ქრთამია, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, იქ არ არის პოლიტიკა, იქ არ არის ნასახივ პოლიტიკისა.

ამასთან დაკავშირებით პრეტენზიები უნდა წავუყენოთ რესპუბლიკის პროკურატურასაც, პროკურატურა სუსტად სწვდებოდა რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ კანონიერების დაცვის საკითხებს. ნაკლებ ინტერესს იჩენდა იმისადმი, თუ როგორ იყენებს ეს სამინისტრო მინიჭებულ უფლებამოსილებას საფინანსო საქმიანობაში ბოროტმოქმედებათა აღსაკვეთად.

სსრ კავშირის პროკურატურამ დაავალა საგამოძიებო აპარატს, რომ დატაცების ყოველი საქმის განხილვისას გულდასმით გამოარკვიოს საკონტროლო-სარევიზიო აპარატების როლი კანონის დარღვევათა აღკვეთაში და იხმაროს ყველა ღონისძიება, თვით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც, იმ პირთა მიმართ, ვინც დაუდევრად, არაკეთილსინდისიერად ეკიდება დაკისრებულ საკონტროლო ფუნქციებს.

სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის მხრივ არასახარბილო მდგომარეობა შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზაზე. იტაცებენ იმპორტულ და სასურსათო ტვირთს, ავტოსატრანსპორტო ტექნიკის მაკომპლექტებელ დეტალებს, საწვავს და სხვა ძვირფას სახალხო-სამეურნეო ტვირთს. ბევრი დატაცება ხდება გადასარბენებზე და სადგურებში დაუცველად დატოვებული მატარებლებიდან.

ყოველ მეორე დატაცებას სჩადიან თვით რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკები, თანაც ხშირად მოქმედებენ მთელი დანაშულებრივი ჯგუფები. მაგრამ, როგორც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტისა და სსრ კავშირის პროკურატურის მიერ მოწყობილმა ამასწინანდელმა შემოწმებამ ცხადყო, რკინიგზის ხელმძღვანელობას როდი გამოჰქონდა ყოველთვის შესაბამისი დასკვნები ამ სამარცხვინო ფაქტებიდან.

ერთი წლის წინათ შეიქმნა ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურა. მისი ჩამოყალიბების პროცესი დამთავრდა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სატრანსპორტო პროკურატურის მუშაკები სატრანსპორტო მილიციის მუშაკებთან ერთად ყველაფერს იღონებენ, რათა ხელი შეუწყონ რკინიგზაზე კანონიერების განმტკიცებას.

პარტიამ ამოცანად დაგვისახა მტკიცე წესრიგი დავამყაროთ ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. გადაჭრით აღკვეთოთ მაქინაციები დეფიციტურ საქონელთან დაკავშირებით, გავაძლიეროთ ბრძოლა ამ სფეროში ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ.

ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ასეთ ციფრს: რესპუბლიკაში დიდი ოდენობის დატაცებათა მესამედს სჩადიან ვაჭრობის მუშაკები; მათსადამე, ვაჭრობა ამ მხრივ ყველაზე სუსტი ადგილი ყოფილა.

დიდი ნაკლია ის, რომ ვაჭრობის მუშაკთა კადრები ზოგან დანაგვიანებულია არაკეთილსინდისიერი ადამიანებით. ბევრი სისხლის სამართლს საქმის გაკვეთილი მოწმობს, რომ მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე ხვდებიან წინათ ანგარებითი დანაშაულობებისათვის ნასამართლვეი პირები.

რა დასკვნა გვებადება? საჭიროა უფრო მკაცრად მოვკითხოთ იმ ხელმძღვა-

ნელებს, რომლებიც უგულვებელყოფენ ნორმატიულ მოთხოვნებს და ამით ნებით თუ უნებლიედ ეხმარებიან ხელმრუდ ადამიანებს.

ახლა ვაჭრობის სფეროში მოქმედებს კონტროლიორების დიდი რაზმი — როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი კონტროლიორებისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვაჭრობის წესების დაცვის მდგომარეობა ჯერჯერობით ნელა უმჯობესდება. ვაჭრობის ბევრი საწარმოს ოფიციალური მონაცემებით, მყიდველთა მოტყუების შემთხვევები აქ თათქმის არ არის. სახალხო კონტროლიორების, სამართალდაცვის ორგანოების მიერ მოწყობილი შემოწმებებით კი დასტურდება, რომ მოტყუება ხშირად, თითქმის ყველა შემთხვევაში ვლინდება.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს სერიოზულად ამაღლდეს საწარმოების ხელმძღვანელთა, თანამდებობის პირთა, ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის როლი და პასუხისმგებლობა კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვისათვის.

ამას წინათ რესპუბლიკაში მიღებულ იქნა ახალი კანონები ფულის შეწერისათვის, ვაჭრობის წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. საჭიროა, ეს კანონები გახდეს ეფექტიანი საშუალება ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ბოროტმოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველად, გამოიყენებოდეს ისინი აქტიურად, რათა მშრომელები თვალნათლივ ხედავდნენ კანონის ქმედითობას. მთავარია, თავიდანვე უზრუნველვყოთ ახალი კანონმდებლობის მაქსიმალური გამაფრთხილებელი ზემოქმედება.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში კანონიერების დაცვის საკითხები, მინდვრებისა და ფერმების პროდუქციის დანაკარგებს მნიშვნელოვანწილად წარმოშობს უყაირათობა, საზოგადოებრივი დოვლათის დაცვა-შენახვისადმი დაუდევარი დამოკიდებულება.

მაგალითად, წლის მანძილზე რესპუბლიკაში პირუტყვის გაწყდომით გამოწვეულმა ზარალმა შეადგინა რამდენიმე მილიონი მანეთი, ხოლო ბრალეულთ აზღვევინებენ სულ ცოტას — მხოლოდ 44 ათას მანეთს. თანაც, აი რა არის საგულისხმო. მთელი ამ ზარალის ზღვევინება ხდებოდა მხოლოდ პროკურორების მოთხოვნით. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მუშაობს 230 იურისკონსულტი, მაგრამ წლის განმავლობაში მათ არც ერთი სარჩელი არ მოუშზადებიათ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ზღვევინების შესახებ. არადა, მთელი ეს მუშაობა სამართლებრივი სამსახურის ძირითადი მოვალეობაა. მაშ რას აკეთებს ასეთ შემთხვევაში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამართლებრივი სამსახური?

სხვათა შორის, ასეთი მდგომარეობა სხვა სამინისტროებსაც ახასიათებს.

ერთი წლის წინათ ჩვენ სერიოზულად გავაკრიტიკეთ რესპუბლიკის პროკურატურა, რომელმაც მოაღუნა ყურადღება სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ზღვევინების საკითხისადმი, ახლა საქმე სწორდება, პროკურორებმა გაააქტიურეს მუშაობა ბრალეული პირობებისათვის სარჩელის წასაყენებლად. საჭიროა კვლავაც გავაძლიეროთ მეცადინეობა ამ მიმართულებით.

მაგრამ საპროკურორო სარჩელის მთავარი მიზანი ის არის, რომ ამაღლდეს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალისათვის. ხოლო ზარალის რეალური ზღვევინება ეს არის საწარმოების,

დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, მათი ხელმძღვანელების პირდაპირი და უშუალო მოვალეობა.

ბრალეულთა მატერიალურ პასუხისგებაში მიცემა სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების, უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი საშუალება უნდა გახდეს.

„დანაკარგები თავისთავად არ ჩნდება, მათ ჰყავთ კონკრეტული ბრალეული, — თქვა თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე გამოსვლისას ლეონილ ილიას ძე ბრეჯნევმა. — ჩვენ სუსტად ვთხოვთ პასუხს ამ ბრალეულებს“. ლეონილ ილიას ძე ბრეჯნევის ამ მითითებებიდან ჩვენ ფრიალ ქმედითი პრაქტიკული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო ამოცანაა შრომის დისციპლინის განმტკიცება. 80-იან წლებში შრომითი რესურსების მატება რამდენადმე შემცირდება. ამიტომ მათს ეფექტიან გამოყენებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ამასთან დაკავშირებით დგება სამუშაოს გამცდენების, ლოთების, წარმოების დეზორგანიზატორების წინააღმდეგ ბრძოლის მტკიცედ გაძლიერების დიდმნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენ უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ არსებული სამართლებრივი შესაძლებლობანი შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ამავე დროს მინდა ყურადღება მივაპყრო ასეთ საკითხს. ზოგან საწარმოთა ხელმძღვანელები არ იყენებენ აღზრდის, შრომითი კოლექტივების ზემოქმედების ყველა შესაძლებლობას, სტიმულირების ყველა ღონისძიებას (კანონით კი ბევრი ასეთი ღონისძიებაა გათვალისწინებული). და ერთობ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს იღებენ ხოლმე მუშაკის დათხოვნის შესახებ.

პარტიის XXVI ყრილობაზე ყურადღება დაეთმო იმას, რომ უსათუოდ უნდა აღმოიფხვრას სოციალისტური საზოგადოებისათვის ისეთი შეუწყნარებელი მოვლენა, როგორც არის მუქთახეობა. გასულ წელს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ყოველი მესამე დანაშაული ჩაიდინეს იმათ, ვინც არსად არ მუშაობდა და არსად არ სწავლობდა. შრომითი რესურსების პრობლემის გამწვავების პირობებში ეს არის არა მარტო ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღების უმნიშვნელოვანესი წინამძღვარი, არამედ აგრეთვე ეკონომიკის სერიოზული ფაქტი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს, მაგრამ ვითარება მოითხოვს კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას, რათა უფრო საგრძნობ შედეგებს მივალწიოთ.

საშიშ დანაშაულობათა, ანუ იმ კატეგორიის დანაშაულობათა შემცირება, რომლებიც მშრომელთა ყველაზე მეტ შემფოთებას იწვევს, მოწმობს, რომ აქტიურ, მიზანდასახულ მუშაობას, რომელსაც პარტიული, საბჭოთა ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანოები, მილიცია, პროკურატურა, სასამართლოები ეწევიან, უკვალოდ არ ჩაუვლია, მას გამოაქვს თავისი ნაყოფი. ხოლო როცა ნაყოფს ხედავ, მაშინ უფრო გულიანადაც მუშაობ და გინდა მეტი გააკეთო. სწორედ სამისოდ უნდა ვიყოთ განწყობილი მუდამყამს.

მით უმეტეს, რომ დამნაშაევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშაობაში ჯერ კიდევ ძალზე ბევრი ნაკლი გვაქვს.

თანამედროვე ეტაპი მოითხოვს საპროკურორო ზედამხედველობის ეფექ-

ტიანობის ძირეულ ამალგებას, მის მუდმივ წარმართვას სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში საბოლოო შედეგის მისაღწევად, ამავე დროს მათელ რიგ რაიონულსა და საქალაქო პროკურატურებში ნელა მიმდინარეობს გარდაქმნა ამ მიმართულებით, არ აღმოფხვრილა ბიუროკრატიზმის, ქალაქდამთხველობის გამოვლინებებიც.

სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს საგამოძიებო აპარატის მუშაობა.

არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დროს უშვებენ გაჭიანურებას და თვით კანონიერების დარღვევებს. არის ფაქტები, როცა გამოძიება დაბალ პროფესიულ დონეზე წარმოებს. ბევრგან სუსტად გამოიყენება სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი შესაძლებლობანი.

მთელ რიგ ადგილებში ვერ უზრუნველყოფენ ყოველი ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის აუცილებლობის პრინციპს. დანაშაულობანი, მათ შორის საშიშიც, ხშირად გაუხსნელი რჩება. საპროკურორო ზედამხედველობა ჯერ კიდევ სრულად არ გამხდარა საიმედო დაბრკოლება ასეთი დარღვევებისა და ნაკალოვანებების აღმოსაფხვრელად, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფის მტკიცე გარანტია.

ყველა ამ ნაკლის აღმოფხვრას შეუპოვარი და დაძაბული შრომა სჭირდება, ჩვენ ამოცანად დავისახეთ, 1982 წელს სერიოზული ნაბიჯი გადავდგათ გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების, დანაშაულობათა გახსნის მხრივ, ავამაღლოთ საგამოძიებო მუშაობის გამაფრთხილებელი ზემოქმედება.

სამართალდაცვის ორგანოების კოლექტივები გულიანად, ინიციატივით მუშაობენ. ეს კი მთავარია. ამასთანავე, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს შეუპოვარი, ყოველდღიური მუშაობა, ჩვენი კადრების აღსაზრდელად, რათა მათ მუდამ ახასიათებდეთ პროფესიული ოსტატობა, პატიოსნება, სისპეტაკე, სიფხიზლე და პრინციპულობა.

ძალზე საჭიროა უზრუნველყოთ მჭიდრო თანამოქმედება ამ ორგანოების მუშაობაში, რათა გაერთიანებული მეცადინეობა მოვახმაროთ მართლწესრიგის განმტკიცების ყველაზე აქტუალური საკითხების გადაწყვეტას.

სამართალდაცვის ორგანოების მთელი მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს ფართო საჯაროობას, ემყარებოდეს შრომითს კოლექტივებს. იგი მოწოდებულია აქტიურად უწყობდეს ხელს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის, პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტის მიხედვით საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და ჩამოყალიბების საკითხებზე. ამას თვალსაჩინო შედეგები მოაქვს. მთავარია, სამართალდაცვის ორგანოების პროფილაქტიკური მუშაობა მჭიდროდ უკავშირდებოდეს ამ საკითხების გადაწყვეტას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მუდმივი, მიზანდასახული მუშაობა მოსახლეობაში, საზოგადოებრიობასთან ჩვენი კავშირუროთიერთობის შემდგომი სრულყოფა. მოსახლეობასთან ჩვენი მჭიდრო კავშირის კონკრეტული გამოხატულება უნდა გახდეს თითოეული სიგნალისა და საჩივრის შემოწმება, მათზე სწორი და დროული რეაგირება, რათა მოქალაქეები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათს განცხადებას თუ წერილს ყურადღებით განიხილავენ. ობი-



ექტურად და სამართლიანად გადაწყვეტენ. ეს პროკურატურის ყველა თანამშრომლის მუშაობის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს.

დრო, ცხოვრება, კანონიერების მზარდი როლი ჩვენ წინაშე სულ უფრო რთულსა და პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს და მათგან ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ის არის, რომ შეგვეძლოს პრაქტიკულად გავუწიოთ ორგანიზაცია, უფრო სრულად გამოვიყენოთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და მათი თავიდან აცილების საკითხთა კომპლექსური გადაწყვეტის შესაძლებლობანი.

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს ყურადღების გაძლიერებას კანონიერების დარღვევათა წარმომშობი მიზეზებისა და პირობებისადმი, ამ დარღვევების თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებას. პროკურორები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას ამ საკითხებზე პარტიულ კომიტეტებს, საბჭოთა ორგანოებს, შეაქვთ მოფიქრებული, არგუმენტირებული წინადადებანი. საქართველოს სსრ პროკურატურის მასალების საფუძველზე რესპუბლიკის დირექტიულმა ორგანომმა უკანასკნელ ხანს მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს კანონიერების შემდგომ განმტკიცებას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. აგრეთვე საზოგადოებრივი მართლწესრიგის დამკვიდრებას.

ამ საკითხებს ბოლო დროს უფრო ხშირად განიხილავენ საბჭოების სესიებზე; მუდმივ კომისიებში, აღმასკომების სხდომებზე, ხშირად ასეთ სხდომებზე მოხსენებებსა და ინფორმაციებს აკეთებენ პროკურატურის მუშაკები.

სოციალური, კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება, სსრ კავშირის კონსტიტუციით, მის საფუძველზე გამოცემული კანონებით დამკვიდრებული საბჭოების უფლებამოსილების გაფართოება დიდ დამატებითს შესაძლებლობებს ანიჭებს საბჭოებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში. და ჩვენ ნიჟადავ მოვუწოდებთ პროკურორებს სრულად გამოიყენონ ეს შესაძლებლობანი, რათა განუხრელად განამტკიცონ და სრულყოთ საბჭოებთან თანამოქმედება.

პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის, მათი თავიდან აცილების ყველაზე ეფექტიანია გზა — ეს არის კანონიერების დარღვევათა აღმოსაფხვრელად პროკურატურის მოქმედების გაერთიანება დირექტიული ორგანოების ორგანიზაციულ ღონისძიებებთან. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ვიქონიოთ იმის იმედი, რომ რეალურად და სწრაფად აღმოფხვრება სამართალდარღვევათა ხელშემწყობი მიზეზები და პირობები.

სკკ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა უბრალოდ. მაგრამ უაღრესად სწორად და ზუსტად თქვა: „საჭიროა უკეთ ვიმუშაოთ, უკეთ შევადგინოთ გეგმები, და უკეთ შევასრულოთ ისინი. უკეთ მოვაწყოთ წარმოება და უკეთ ვაწარმოოთ. ერთი სატყვიო, უფრო ეფექტიანად ვიმუშაოთ. საბოლოო ანგარიშით, სწორედ ეს არის ძირითადი, გადამწყვეტი“². ამ მითითებებს ჩვენ მთლიანად მივაკუთვნებთ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობასაც. ამას მოვანხმართ მთელ ჩვენს ძალისხმევასა და შესაძლებლობებს.

² გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 17 ნოემბერი.

გავეპლენიროთ პარტიული ხელმძღვანელობა ადმინისტრაციული ორგანოებში

ბ. ვ. კოლზინი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი

ორი წლის წინათ „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალ-დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის აქტივმა დასახსნა პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ვრცელი სამუშაო პროგრამა. ახლა, როცა ვანალიზებთ მიღწეულ შედეგებს, უნდა ვთხოვთ: რა ძირითადი ძვრები მოხდა აღნიშნულ პერიოდში ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში? უწინარესად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ორგანიზაციულ, სამართალდაცვისა და იდეოლოგიურ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამუშაო ჩვეუწა წარმართავს. რეგიონებში მუშაობენ პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი ანალოგიური ჩვეუებები.

სამუშაო ჩვეუების საქმიანობის მიღებულმა რეგლამენტმა უზრუნველყო კონკრეტულობა და სისტემურობა: მუშაობის შედეგების ყოველთვიური შეჯამება; საპრობლემო საკითხების გადასაწყვეტად ღონისძიებათა განსაზღვრა და მათი განხორციელებისათვის ძალთა ერთგვარი კონცენტრირება; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს პერიოდული ინსტრუქტივა გაწეული მუშაობისა და მისი შედეგების შესახებ.

განვლილ ორი წლის მანძილზე ცენტრალური კომიტეტის სამუშაო ჩვეუმა შეიმუშავა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ბრძოლის გაძლიერება ქურდობის, ნარკომანიის, ხულიგნობის, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების წინააღმდეგ; შრომა-განწორების დაწესებულებების, მილიციის საპატრულო-საგუშაგო სამსხურის, სახელმწიფო ავტონსპექციის საქმიანობის გაუმჯობესება; ბრძოლის გაძლიერება ადმინისტრაციულ ორგანოებში ბიუროკრატიზმსა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ და მთელ რიგ სხვა საკითხებზე. რომელთა თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სპეციალური გადაწყვეტილებანი მიიღო.

ადგილობრივი სამუშაო ჩვეუებით, ცენტრალური კომიტეტის სამუშაო ჩვეუის მაგალით-სამებრ, თავიანთ მუშაობას კონკრეტულობასა და მიზანდასახულობას ანიჭებენ, რასაც მოსდეც ვითარების გარკვეული გაჯანსაღება. ამას მოწმობს შესაბამისი სტატისტიკაც. კერძოდ, გასულ წელს განწრას მკვლელობათა რიცხვი 3,9 პროცენტით შემცირდა, მკვლელობის მცდელობისა — 2,9 პროცენტით, გაუპატიურებისა — 8,2 პროცენტით, მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქურდობისა — 11,4 პროცენტით, ხოლო არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობანი 8,2 პროცენტით შემცირდა. გაუმჯობესდა აგრეთვე დანაშაულობათა გახსნის მაჩვენებლებიც.

ვითარება გაჯანსაღდა 40 ქალაქსა და რაიონში — ქალაქებში თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და სხვაგან.

აღვნიშნავთ რა დამნაშავეობასთან ბრძოლაში მომხდარ პოზიტიურ ძვრებს, ხულაც არ ვაპირებთ ამ შედეგების გადაჭარბებით შეფასებას პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ დამნაშავეობის შემცირების ტემპი როგორც მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პოზიციების მიხედვით, ისე რეგიონების უმრავლესობაში ვერ აკმაყოფილებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს და არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებსაც პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებს უსახავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ხულიგნობის ფაქტების გამო აღძრულ სიხსლის სამართლის საქმეთა რაოდენობის გადიდება იმ შეურიგებელი პოზიციის ნაყოფია, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაიკავა იმ ფაქტების მიმართ, როცა მაღავედნენ ბოროტ ხულიგნობას წვრილმან ხულიგნობაში

მისი ხელოცნებური გადაწყვენის გზით, გამოქმონდათ უკანონო, დაუსაბუთებელი დადგენილებანი სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, მიმართავენ სხვა საძრახის მანიპულაციებს ხულიგანი ელემენტების გარშემო. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის პრეპარატურამ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და ეს ხელად დაეტყო სტატიტიკას.

მეორე მხრივ, ხულიგნობის გამოვლინებათა რაოდენობის ესოდენ მკვეთრმა გადიდებათ თვალწინადაც და დამაჯერებლად დაარწმუნა ყველა, თუ რაოდენ ხელმიშვებული აღმოჩნდა სახიმუნო სასოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლის ეს უბანი. მილიციის, პროკურატურასა და სასამართლო ორგანოებთან ერთად ამ საქმეში სერიოზულ საყვედურს იმსახურებენ პარტიული კომიტეტები და სახალხო დეპუტატთა საბჭოები, რომლებმაც შესუსტეს ხულიგნობის პროფილაქტიკისათვის მუშაობა; ისინი ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ებრძვიან ლოთობას, ოჯახის წევრებსა და მეზობლებს შორის დებოშებს, იმ ხულიგნებს, რომლებიც ახლად იგდებენ პათოსანი მშრომლების ღირსებას.

შემთხვევით როდი ვლადარაკობთ ასე დაწვრილებით ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პრობლემაზე. დროა, ყველამ შეიგნოს ის უცილობელი კეშმარტება, რომ ხულიგნობის წინააღმდეგ ქმედითი პროფილაქტიკით, უპირველეს ყოვლისა, თავიდან ვაცილებთ წინამე დანაშაულობებს მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ.

სწორედ ამიტომ მოითხოვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს არა მარტო კანონის თანამიმდევრული და განუხრელი დაცვა ხულიგნური მოქმედების შეფასებისას, არამედ გაძლიერდეს კიდევ გამაფრთხილებელი პროფილაქტიკური მუშაობა მოქალაქეთა საცხოვრებელ და სამუშაო ადგილას.

ამასთან ერთად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ უნდა გაიზარდოს აქტიურობა ნარკოტიკების გასაღებისა და მოხმარების, იარაღის არაღებულური შენახვის, ჯიბის ქურდობის აღკვეთაში. ამ კატეგორიის გამოვლენილ დანაშაულობათა რიცხვის გადიდება უნდა შევადგასთ სისხლის სამართლის სამძებროს აპარატების ბრძოლისუნარიანობის ზრდის დახტურად.

ბუნებრივია, ჩვენ სხვანიარად ვუდგებით ძარცვისა და სახელმწიფო ქონების დატაცების დინამიკის შეფასებას.

ზემოსხნებულ განხორციელებულ ღონისძიებათა კომპლექსმა, მათ შორის 1980 წლის ბასში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულმა ბრძანებულებამ სახელმწიფო და პირადი ქონების დანაშაულებრივი წელყოფისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, შესაძლებლობა მოგვცა ბოლო წლების მანძილზე პირველად საგრძობლად შეგვემცირებინა აგრეთვე პირადი ქონების და, უწინარეს ყოვლის, ბინის ქურდობის რაოდენობა.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გავცვას იმას, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიულოური პრობლემები წარმატებით წყდება იქ, სადაც პარტიული კომიტეტები დაინტერესებით ჰქიდეებს ხელს ერთ-ერთ კონკრეტულ პრობლემას და ბოლომდე წყვეტენ მას. ამის მაგალითია რუსთავი, სადაც ორი-სანი წლის წინათ სერიოზულად გართულდა ვითარება. იყო წემთხვევები, როცა ერთი დღის მანძილზე ქალაქში რამდენიმე ბინა გაიქურდა. მაგრამ პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების კომპლექსის მეშვეობით მოხერხდა ჯერ შეგვეჩქრებინა ბინის ქურდობის რიცხვის ზრდა, შემდეგ კი შეგვემცირებინა იგი. მაგალითად, გასულ წელს რუსთავში ბინის ქურდობა 40 პროცენტით შემცირდა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ქალაქებში — წყალტუბოში, ზუგდიდში, სოხუმიში, აგრეთვე ლანჩხუთის, ამბროლაურისა და ცხაკაიას რაიონებში ჯერ კიდევ დამაკნეყოფილებლად ვერ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1980 წლის დადგენილება ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

კვლავ სერიოზულ შემოფოთებას იწვევს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დაცვა-შენახვა რკინიგზის ტრანსპორტზე. აქ არ კლებულობს ტვირთის დანაკლისი, გაფუჭება, დაზიანება და დატაცება. ამისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ 1980-81 წლებში ჯარიმის სახით 4,5 მილიონი მანეთი გადაიხადა.

რკინიგზის ტრანსპორტზე შექმნილი ვითარება მოითხოვს მისი ხელმძღვანელობის, საქრანსპორტო მილიციისა და პროკურატურის ორგანოების გაერთიანებულ შევადინეობას. მაგრამ აქ ამგვარი არაფერი შეიმჩნევა. მთავარი კი ის არის, რომ მათ მუშაობას აკლია კონკრეტული



ტულობა. ხშირად აქ სრულიად იოლად გადასაწყვეტ ამოცანებსაც კი ვერ ძლევენ. დრო აღარ ითმენს და საქაროა, რომ ამხანაგებმა ლ. ვარდოსანიძემ და რ. თუშურაშვილმა პარტიის საკვანძო რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან ერთობლივი მუშაობით უმოკლეს ხანში ძირეულად გააუმჯობესონ შექმნილი ვითარება.

ქონებრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიებების კომპლექსში დიდი მნიშვნელობა აქვს არასაუწყებო დაცვის ქვეგანყოფილება შეთანხმებულ და ზუსტ მუშაობას. უკანასკნელი წლების მოვლენები ცხადყოფს, რომ ამ სამსახურში ხშირად ელემენტარული წესრიგიც კი ირღვევა. მის მუშაკთა დოკლამპობის, სამსახურებრივ ინსტრუქციათა შეუხრულებლობისა და უკონტროლობის გამო დამნაშავეთა ერთმა ჯგუფმა ერთი და იგივე მეთოდით თბილისის მაღაზიებიდან — „ელექტრონიკა“, „ქარვა“ და „სურმუსტი“ — დიდალი საიუველირო ნაკეთობა გაიტაცეს. საგანგაშო სიგნალის შემდეგ მომხდარ დანაშაულობათა აღვლევებზე მისული დაცვის მუშაკების უნიათობა და მოუქნელობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

არასაუწყებო დაცვის სამმართველო და მისი უფროსი ამხ. გ. ხაზარაძე ამ ფაქტებიდან, როგორც ჩანს, შესაბამის დასკვნებს გამოიტანენ, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ სამსახურის მუშაკებმა უადრესად სერიოზული მაგალითებიდან მიიღეს მწარე გაკვეთილები.

შემოადინიშნული დანაშაულობანი გაიხსნა და გატაცებული ქონების ნაწილი დაბრუნებულია, რაც სერიოზული მიღწევად უნდა ჩეთვალოს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ოპერატიულ მუშაკებს და მის ხელმძღვანელობას ამხ. გ. კვანტალიანის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოებისაგან სისტემატურად მოითხოვს, რომ უფრო აქტიური, შემტევი იყოს ბრძოლა მუქთახორობის წინააღმდეგ. თუ ციფრებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ 1980 წელს გამოვლინდა, სამუშაოზე მოეწყო და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა წინა წელზე გაცილებით მეტი ისეთი ადამიანი, რომლებიც თავს არიდებდნენ შრომას. მაგრამ მუქთახორათა ხვედრითი წილი იმათ შორის, ვინც დანაშაული ჩაიდინა, არათუ არ შემცირებულა. არამედ გაიზარდა კიდევ 1980 წელთან შედარებით და 30 პროცენტს გადაამეტა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითქმის ყოველი მესამე, ვინც რესპუბლიკაში დანაშაული ჩაიდინა, არსად არ მუშაობდა და არც სწავლობდა, ხოლო იმ პირთა შორის, რომლებმაც ქონებრივი დანაშაული ჩაიდინეს, ეს მაჩვენებელი გაცილებით დიდია.

ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი რაიონების შინაგან საქმეთა და პროკურატორის ორგანოები რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სათანადოდ ვერ იყენებენ მუქთახორების მიმართ სამართლის გამოყენების პრაქტიკის გაძლიერებისათვის. მაგალითად, ბოგდანოვის, წაღვისა და ადიგენის რაიონებში მთელი გასული წლის მანძილზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიუციათ არც ერთი მუქთახორა, თუმცა, როგორც ვიცით, უველაზე მეტად, სწორედ ეს რაიონებია ზარალდიანი მუქთახორებისაგან.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო და პარტიული კომიტეტები, სახალხო დემოკრატთა საბჭოების აღმასკომები უფრო ღრმად და პრინციპულად უნდა ერკვეოდნენ არამომუშავეთა მიერ ჩადენილ ყოველ დანაშაულში, ანალიზებდნენ ყოველ კონკრეტულ ფაქტს, განსაზღვრავდნენ კონკრეტული თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის დონეს.

მაგალითად, ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მაზარაძის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რადგან ამ რაიონში დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის 47 პროცენტზე მეტი მუქთახორაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი მეორე სამართალდამრღვევი მუქთახორაა. ანალოგიური მდგომარეობაა ცხაკაიას, ახმეტის, ჩოხატაურის, ლაგოდეხის რაიონებში, აგრეთვე ქალაქ ზუგდიდში, ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება ობიექტურად ნიშნავს საერთოდ დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვეხმის, რომ მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში შრომითი და საქმების საკითხის მოგვარება იოლი საქმე არ არის. მაგრამ ახლა ლაპარაკია არა საერთოდ ამ პრობლემაზე, არამედ იმ კატეგორიის მუქთახორებზე, რომელთაც ბოროტი განზრახვით არ სურთ მუშაობა და ცხოვრობენ არაშრომითი შემოსავლით. ასეთი ადამიანები, ჩვეულებრივ, ეწევიან საეჭვო ცხოვრებას, კერძოდ, სპეკულანტობენ, სულიგნობენ, გატაცებული არიან აწარტული თამაშებით. ერთი სიტყვით, უველა ეს მომენტი ერთობლიობაში მილიციის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოქცეული. ამ მიმართულებით, სამწუხაროდ, შესაბამისი ორგანოები ყოველთვის როდი მუშაობენ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთავო მისამართით, რამდენადაც უნდა უნ-
რუნველყოს მკაცრი ზედამხედველობა პარაზიტული ცხოვრებისათვის პასუხისმგებლობის შე-
სახებ კანონის შესრულებისადმი, სისხლის სამართლის სამმებროს სამსახურისა და სხვა სამარ-
თალდაცვის ორგანოების. აგრეთვე სასახლო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების
აღმასკომების მისამართით გამოითქვა შენიშვნები, მათ რეკომენდაცია მიეცათ, რომ მოიფიქ-
რონ და განახორციელონ მუქათხორობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების
დონისძიებანი.

გამოცდილება მოწმობს, რომ თუ საგნობრივად და დაინტერესებით გავარჩევთ კონკრეტულ
პრობლემებს, შეგვიძლია მივაღწიოთ გარკვეულ, პირველ ხანებში იქნებ არცთუ ძალიან
საგრძობ, მაგრამ საიმისოდ საკმარის ძვრებს, რომ უკუვავადოთ მუშაობის ჩვეული, კონსერვა-
ტიული ფორმები და მეთოდები, შევაჩვიოთ ადამიანები ახლებურად აზროვნებას და მოქ-
მედებას.

ანის მაგალითი შეიძლება იყოს დონისძიებანი, რომლებიც განხორციელდა ბავშვთა უმეთ-
ვალყურეობისა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის
გაძლიერებისათვის. ამ უადრესად მნიშვნელოვან პრობლემას უკანასკნელ წლებში სათანადო
ყურადღება არ ექცეოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ საქმეს ხელი მოჰკიდა საქართველოს
კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამუშაო ჯგუფმა, და იმ კონკრეტული დონისძიებების
შედგად, რომლებიც განხორციელდეს რესპუბლიკის კომპარტიული ორგანიზაციის ცენტრალურმა
კომიტეტმა და არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკურმა კომისიამ, ვითარება ბევ-
რად გაუმჯობესდა. რა თქმა უნდა, მიღწეულს ჯერ ვერ გავაიდლალებთ, მაგრამ გვაქვს საიმედო
ტენდენცია: გასულ წელს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობანი 8,2 პროცენ-
ტით შემცირდა.

1981 წელს მტკიცედ შეკუდექით ავტომობილების გატაცების პრობლემის გადაჭრას. მრავალი
წლის მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს უსწორო პოზიციის გამო ასეთი დანაშაულობათა
უმრავლესობას რეგისტრაციაში არ ატარებდნენ და პრაქტიკულად ავტომობილებას
გამტაცებლების მხილებისა და მათი პასუხისგებაში მიცემისათვის არავითარი მუშაობა არ
ტარდებოდა.

განხორციელებულ დონისძიებათა შედეგად ამ საქმეში ბევრი რამის მიღწევა მოხერხდა.
მაგრამ წინ ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა. მთელ რიგ ადგილებში თავს იჩენს მილიციისა და
პროკურატურის ორგანოების უძრავობა და პასიურობა ამ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძო-
ლაში. სწორედ ამიტომ პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან კონტროლი გაუწიონ მათი
რეგისტრაციისათვის, გახსნისა და გამტაცებელთა დასჯისათვის მუშაობას.

სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების ამოცანათა სფეროთ კომპლექსში საქარ-
თვლის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და
კვლავაც მიაქცევს სოციალისტური საკუთრების საიმედო დაცვა-შენახვის საკითხებს, უყიარა-
თობის, თვალის ახვევის, სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და სპეუ-
ლაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. პარტიული კომიტეტების, საბჭოთა და ადმინისტრაციული
ორგანოების მუშაობის დღის წესრიგში სისტემატურად დგას აღნიშნული საკითხები.

როცა ამ მიმართულებით უკანასკნელ ხანს გაწეულ მუშაობას ვაჯამებთ, უნდა ითქვას, რომ
ცოტა როდია გაკეთებული. მხილებულია მექრთამეთა ჯგუფი რესპუბლიკის ფინანსთა სამინის-
ტროში. დაპატიმრებული არიან სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები, რომლებიც მო-
კალათებულნი იყვნენ გარდაბნის ტრიკოტჟის ფაბრიკაში, ოჩამჩირის რაიონის აგუბედიის
ტუხვის საბჭოთა მეურნეობაში, თიანეთის წველების გადამამუშავებელ სააქროში, ცხინვალის
ხილკენკრის ღვინოების ქარხანაში, ქარელის რაიონის შაქრის კომბინატში, კაჭრეთის სამ-
კერვალო ფაბრიკაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს თბილისის გაერთიანება
„პირიმშენი“, მაიაკოვსკის რაიონის სამრეწველო კომბინატში, ბაბუშერის ეთერზეთების ქარ-
ხანაში, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საგარეგოს ექსპერიმენტულ ქარხანაში და
სხვაგან.

მიუხედავად ამისა, პრობლემის სიმწვავე სულაც არ შემცირებულა. ამ მიმართულებით
რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა
არასაკმარისად უნდა ჩაითვალოს, მთელ რიგ კონკრეტულ შემთხვევებში კი — არადამაკაყო-
ლიტებლად.

პარტიული კომიტეტებისა და სამეურნეო ორგანოების ორგანიზატორულ, საკადრო მუშა-
ობაში დაშვებული უხეში შეცდომების გამო, აგრეთვე იმ მიზეზით, რომ ზოგიერთ ადმინისტრ-



რაციულ ორგანოს არ შეუძლია ან არ სურს შეიტყუო ბრძოლა აწარმოოს დამტაცებლთა წინააღმდეგ, და ზოგჯერ გულარზენიობას ავლენს და შემირაგებლობას იჩენს მათდამი, წლობით გრძელდება სოციალისტური საკუთრების ორგანიზებული დატაცება, იზრდება სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი. განსაკუთრებით ცუდად არის სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის საქმე ადგილმობრივი, კვების, მსუბუქი მრეწველობის, სატყეო მეურნეობის, მშენებლობის სამინისტროთა სისტემებში.

თითქმის ათი წლის განმავლობაში ნდებოდა ორგანიზებული დატაცება სატყეო მეურნეობას კომიტეტის ათობით საწარმოში, ბეკრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის დამამზადებელ პუნქტებში. ეგრეთ წოდებულ „წვენების საქმეში“ მონაწილეობდა ასობით ადამიანი, ხოლო დატაცებულნი თანხის რაოდენობამ თითქმის 6,5 მილიონ მანეთს მიაღწია.

ცხრა წელიწადზე მეტ ხანს მოქმედებდნენ მაქინატორები თბილისის შამპანური ღვინოების კომბინატში. ამ დანაშაულმა, რომელშიც 330-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა და 11 მილიონი მანეთი დაიტაცეს, თბილისის თითქმის მთელი სავაჭრო ქსელი მოიცვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე წარმოქმნილ სიტუაციაში, როცა გარდაბნის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში მოხდარი დიდი დატაცების ხელშემწყობ მიჯნეებს შეეხია, ამხ. ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უოველნაირად გაუმჯობესდეს საერთოდ დანაშაულობათა პროფილაქტიკა და, განსაკუთრებით — დატაცებათა პროფილაქტიკა. რაც ჩვენთან სათანადო დონეზე ვერ დგას.

ამ მუშაობას კოორდინაციას უნდა უწევდნენ და წარმართავდნენ პარტიულ კომიტეტებთან არსებული სამუშაოჯგუფები და ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები. გულანდობილად უნდა ითქვას, რომ ერთხანს გაისმოდა სხვადასხვანაირი მსჯელობა და აზრები იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების ერთდროული არსებობა. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ მიგნებულია მათი მუშაობის სწორი შესაძლებლობები და მეთოდები. სამინისტროებსა და სხვა სამეურნეო ქვეგანყოფებში არსებულ ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები საქმის პროფესიული ცოდნით განსაზღვრავენ ბოროტმოქმედებათა წყაროებსა და გზავნიან უკუშესაბანის საკონტროლო სამსახურებს, ავლენენ ბოროტმოქმედებებს, თავიდან იცილებენ მათ. რაც შეეხება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სხვა ადგილობრივი პარტიული ორგანოების ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებს, მათ უნდა გაააქტიურონ სამეურნეო ორგანოთა შესაბამისი ხელმძღვანელობის მუშაობა და მიაღწიონ იმას, რომ ისინი ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ნამდვილი მებრძოლები გახდნენ.

დამტაცებლების, მექრთამეებისა და სპეკულანტების დროული მხილების დიდი შესაძლებლობები აქვთ ადმინისტრაციულ ორგანოებს, უწინარეს უოვლისა, შინაგან საქმეთა ორგანოებს, მათს სპეციალურ აპარატებს — სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებებს, ბოლო ხანს ამ სამსახურის ცენტრალურმა აპარატმა (ამხ. ქ. ვეფხვაძე), რომელიც უნარიანად მოქმედებდა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, გამოაღვინა განსაკუთრებით დიდი ოდენობის მთელი რიგი დატაცებანი, მექრთამეობისა და სპეკულაციის ფაქტები.

სამუშაოზე, ცენტრში ამ ბრძოლის აქტივიზაციას არ მოჰყოლია ოპერატიულ-სამძებრო და პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესება ადგილებზე. ამბროლაურის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, ადიგენის, მაიაკოვსკის, სობის, წალენჯიხისა და წულუკიძის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებში და მათს სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალურ აპარატებში წლობით უკავიათ პასიური პოზიცია, არ ამხილებენ დამტაცებლებსა და მექრთამეებს, სჯერდებიან იოლი, თუ შეიძლება ითქვას, ყველასათვის თვალშისაცემი საქმეების გამოვლენას, რომლებსაც არ სჭირდება დიდი გამოცდილება და პროფესიული ოსტატობა.

მექრთამეობის წინააღმდეგ რა შემტევ ბრძოლაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ასპინძის, ლაგაღესის, ლენტეხის, ონის, ცაგერის რაიონებში ბოლო ხუთი წლის მანძილზე არ აღძრულა არც ერთი საქმე მექრთამეობის შესახებ, ხოლო ბორჯომის, მესტიის, თეთრი წყაროს რაიონებში — ბოლო სამი წლის განმავლობაში. ბოლო ორი წლის მანძილზე მექრთამეობის ფაქტები არ გამოუვლენიათ ქალაქ ქიათურის, ახმეტის, ბოლნისის, უაზბეგის, ყვარლის, თაანეთის რაიონების ადმინისტრაციულ ორგანოებს.

დამტაცებლებისა და მექრთამეების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ვერც ოპერატიულ და

1 გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 26 ნოემბერი.



პროფილაქტიკურ მუშაობას მივიჩნევთ დამკამყოფილებლად. ხშირია საპროცესო ნორმების უხეში დარღვევის ფაქტები ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დროს, აგრეთვე ბიუროკრატიული გაჯანსაღების ფაქტები, რაც ნებისთი უნებლიეთ ხელს უწყობს დამტაცებლებს. რომლებიც უვლავფერს აკეთებენ სამხილეთა მოსპობისათვის. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულისა და ქონების გადამალვისათვის. მაგალითად, ოთხ წელიწადზე მეტ ხანს გაქიანურდა რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 11 მოძრავ-მექანი-ზებულ კოლონაში მომხდარ დატაცებათა და წამატებათა საქმის ძიება. რომელსაც აფხაზეთის ასსრ პროკურატურა ეწევა.

ხაშურის რაიონის პროკურატურაში სამ წელიწადზე მეტი ხანია მიმდინარეობს რაიონო-კავშირის დამამზადებელ კანტორაში მომხდარი ბოროტმოქმედების და განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო სახსრების დატაცებას საქმის ძიება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველომ 1978 წლის 16 მარტს აღძრა სისხლის სამართლის საქმე ამბროლაურის სატყუო მეურნეობაში მოკალათებულ დამტაცებელთა ჯგუფის მიმართ. საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნა შვიდი თვის შემდეგ, ხოლო ბრალდებულთა ქონებას უაღადა ორი წლის შემდეგ დაედო. აღწერილი ქონების თანხამ ძლივს გადააქარბა 14 ათას მანეთს, მაშინ, როცა დამნაშავეებმა 377 ათას მანეთზე მეტი დაიტაცეს.

პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების მიერ დატაცებებისა და სხვა დანაშაულობათა გამოძიების გაჯანჯლებისა და უხარისხობის ამგვარი ფაქტები ერთეული როდია.

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ პრინციპული პოზიცია დაიკავა ამ სისტემის პა-სუხისმგებელი მუშაკების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული და უკანონოდ შეწყვიტეს გარდამნის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში მოკალათებულ დამტაცებელთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე. დამტაცებლებმა კვლავ გააგრძელეს დანაშაულებრივი საქმიანობა და მაშინ დააკავეს ისინი, როცა 300 ათასი მანეთის აღურიცხავი პროდუქციის რეალიზაციას ახდენდნენ. როგორც ცნობილია, პროკურატურის კოლეგიამ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა პროკურორის პირველი მოადგილე ვ. ჭილაშვილი. დაისაჯნენ სხვა მუშაკებიც.

ქერ კიდევ ვხვდებით დამტაცებელთა მიმართ გაუმართლებლად ღმობიერი, ლიბერალური განაჩენების გამოტანის ფაქტებს. მაგალითად, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ, თერჯოლისა და ჩხოროწყუს რაიონების, აგრეთვე ქ. ჭიათურისა და სხვა სახალხო სასამართლოებმა გა-მოიჩინეს გაუმართლებელი ღმობიერება დამტაცებელთა მიმართ. და ასეთი მაგალითები, სამწუ-ხაროდ, ცოტა როდია.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ დავკამყოფილებით თანამდებობრივი და ანგარებითი დანაშა-ულობების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის ცალკეული გამოვლინებებით. ადმინისტრაციული ორგანოების მთელი მექანიზმი — ზუსტი ოპერატიულ-სამძებრო მუშაობით დაწეებული და გულდასმით კვალიფიცირებული ძიებით და სასამართლოს ობიექტური განაჩენით დამთავრებუ-ლი — შეუფერხებლად უნდა მუშაობდეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ განაჩენის გამოტა-ნის შემდეგაც დამტაცებლები და მექრთამეები კანონის შესაბამისად ანაშაურებდნენ მიუე-ნებულ ზარალს — შრომა-გასწორების დაწესებულებებში თავიანთი ხელფასის ნაწილის ხარჯზე. ჭერჭერობით ეს მოთხოვნა ცუდად სრულდება. ქურდები, მძარცველები, სოციალისტური სა-კუთრების დამტაცებლები, მექრთამეები და სოციალისტური მორალის სხვა ანტიპოდები სას-ჯელს უნდა იხდიდნენ საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით. ამ მოთხოვნის შესაბამისად მაქ-სიმალურად უნდა გაიზარდოს საპროკურორო ზედამხედველობის როლი შრომა-გასწორების დაწესებულებებში წესრიგის დამყარების საქმეში.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს სოციალისტური საკუთრების წვრილმან დატაცებათა სკიოხი, რადღან ასეთი დანაშაულობანი დიდ ზარალს აყენებს ჩვენს სახალხო მეურნეობას. ასეთი ფაქტები განსაკუთრებით გავრცელებულია კვების, მსუბუქი, ხორცისა და რძის, ადგი-ლობრივი მრეწველობის საწარმოებში, ხორცკომბინატებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, პურის ქარხნებში, თამბაქოს ფაბრიკებში. მაგრამ დასახლებული დარგების ზელმძღვანელები სუსტად ებრძვიან ამ მოვლენებს, ბევრ საწარმოში კი შეურიგდნენ კიდევ მათ.

დადგა დრო, ბოლო მოვულოთ უოველივე ამას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ვერც სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა გვაკამყოფილებს. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, გვაქვს შთამბეჭდავი სტატიტიკა, მაგრამ იგი ვერ ასახავს რეალურ ვითარებას. არა მარტო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის სამინისტ-როებისა და ცეკავშირის სისტემებში, არამედ სხვა უწყებებშიც ხდება უკანონო გარიგებანი,

177936

ბ. მარტოვი ს.ს. სამი
თბილისი



არ აღმოუტყობია სპეკულაციასთან, მექრთამეობასთან, დატაცებასთან დაკავშირებულ ბოროტ მოქმედებებს და დარღვევებს. ამოცანა ის არის, რომ ავამაღლოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების და ადმინისტრაციის როლი იმ საქმეში, რომ აღვეთონ ეს ბოროტება, პასუხის გებაში, მიაყენო სპეკულანტები.

მკვეთრად უნდა გავაუმჯობესოთ პროფილაქტიკური მუშაობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად. გასულ წელს შინაგან საქმეთა ორგანოებმა ხელი შეუშალეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სპეკულაციის მიწინააღმდეგე მეთი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანას. მაგრამ მისი ნაწილი, სამწუხაროდ, მაინც უფლის გეგრდს ჩვენს საკონტროლო პუნქტებს. და ამან უნდა დააფიქროს ადმინისტრაციულ ორგანოთა ხელმძღვანელები, პირდაპირ სავალალოა, რომ სპეკულანტები ტომობით ციტრუსს, ხილსა და ბოსტნეულს ფუთავენ. ტვირთავენ ავტომანქანებზე და ამზადებენ რესპუბლიკის გარეთ გასატანად ისე, რომ ეს თვალში არ ხვდებათ სასოფლო საბჭოებს, მილიციის უბნის ინსპექტორებს, სოფლის აქტივს, ამ საკითხებს, რამდენიმე წლის წინათ კარგად ეხმაურებოდა რესპუბლიკური პრესა, ახლა კი შესუსტდა ინტერესი ამ თემისადმი, თუმცა კი ამ საქმეში ბევრია სწავრიოზული საფიქრალი. სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სპეკულაციის პროფილაქტიკაში უნდა ჩაებან ავტოსატრანსპორტო, საწარმოთა, ავტომეურნეობათა, სამინისტროთა და უწყებნათა, აგრეთვე ამირკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელები, სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებსაც საუწყებო რკინიგზის ჩიხები აქვთ.

სახელმწიფო, სამეურნეო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საქმეში საკარგებლო მუშაობას ეწევიან სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები. ამასთან, არბიტრაჟის ხელმძღვანელობამ უნდა გააძლიეროს პროფილაქტიკური მუშაობა, გამოიშუშოს იმ მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომ დატაცებების, მექრთამეობის და სხვა ბოროტმოქმედებების საფუძველი ხდება.

საზგაშით უნდა აღინიშნოს, რომ დატაცებების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხები ჩვენთვის ახალი როლია. რესპუბლიკაში შექმნილია უკვე ჯურის დამტაცებლების, მექრთამეებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ ბრძოლის საკმაო გამოცდილება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის უკვე პლენუმსა და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის უკვე კრებას წითელ ზოლად გასდევდა ამ ბრძოლის გამყარების საკითხები. პარტია მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდა და ცვლავად დაუთმობს სოციალიზმისათვის უცხო კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და ფსიქოლოგიის წინააღმდეგ თანმიმდევრული და პრინციპული ბრძოლის გაძლიერებას.

ამიტომ დღევანდელი მოთხოვნები სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი აქტივიზაციის შესახებ ლოგიკურად გამომდინარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1972 წლიდან აღებული ურყევი კურსიდან. საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მთელი შემდგომი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობიდან.

დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პრინციპულად ახალ სიმაღლეზე აყენებს ამ საკითხებს. ამან განაპირობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადიდებული მოთხოვნელობაც პარტიული კომიტეტების, ადმინისტრაციული ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებისადმი, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის მდგომარეობისათვის, გამომშალველობისა და მექრთამეობის გამომწვევი უკვე წანამძღვრის ლიკვიდაციისათვის მათი პასუხისმგებლობის ზრდა.

იღებდა რა 1980 წელს დადგენილებას „რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სასამართლო ორგანოებში ბიუროკრატოზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ხელმძღვანელობდა იმით, რომ ბიუროკრატოზმი და ფორმალიზმი ობიექტურად უქმნის პირობებს ყველაზე საშიშ ბოროტმოქმედებებს აღმინათა ურთიერთობის უკვე სფეროში და მით უმეტეს შინაგან საქმეთა, პროკურატურის ორგანოებში და სახალხო სასამართლოებში. მეორე მხრივ, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხთა ფორმალურ გადაწყვეტას უსათუოდ მოჰყვება ვითარების გართულება, დამნაშავე ელემენტებისადმი შემწუნარებლობა, მათი ხათანადოდ დაუსჯელობა. საზოგადოებრივი აზრი ძალზე გულხისხმირად და მტკივნეულად რეაგირებს ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაობაში ბიუროკრატოზმისა და ფორმა-

ლიზმის გამოვლინების ყოველ ფაქტზე, მშრომელები საქმიანად მოიხსოვნენ დამნაშავეთა მიმართ არა ფორმალური, არამედ რეალური ზომების მიღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ზედმოაღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ოუსტიციის სამინისტრომ და უმაღლესმა სასამართლომ განახორციელეს მუშაობის სტილის სრულყოფის, საქვეუწყებო ორგანოებისადმი კონტროლის გაძლიერების მთელი რიგი ღონისძიებანი. მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

ბევრ საყვედურს იწვევს საგამოძიებო მუშაობა. საკავშირო საშუალო მაჩვენებლებს მისეღვით ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვჩრებიტ მთელ რიგ პოზიციაში. გასული წლის პირველ ექვს თვეში კავშირში საშუალოდ დადგენილი ვადების დარღვევით იქნა გამოძიებული საქმეთა 11 პროცენტი, ჩვენს რესპუბლიკაში კი ეს მაჩვენებელი 17 პროცენტს შეადგენს, რაც ერთ-ერთი უარესი მაჩვენებელია საბჭოთა კავშირში, ბოლო არ მოდებია საქმის გაჭიანურებას სახალხო სასამართლოებშიც. მაგალითად, შარშან კასპის, გორისა და ვანის სახალხო სასამართლოებში ერთ თვეზე მეტ ხანს განიხილებოდა ყოველი მესამე საქმე, ხოლო აბაშის, ქარელისა და ყაზბეგის სახალხო სასამართლოებში — ყოველი მეოთხე. ვადების უბეში დარღვევები დაუშვებს სპეარტჯოს, გემეკუორის რაიონების, თბილისის გლდანის რაიონის, ქუთაისის ლენინის რაიონის და სხვა სახალხო სასამართლოებმა.

ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინისათვის შარშან მკაცრად დაისაჩენენ ზოგიერთი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეები, ორი მათგანი კი სხვადასხვა დარღვევისათვის გაწვეულია.

ცოტა როდია შემთხვევა, როცა სასამართლო ორგანოებს გამოაქვთ არა მარტო უხარისხობა, არამედ ისეთი გადაწყვეტილებებიც, რომლებიც არ შეესაბამება კანონს. ცალკეულ მოხარულთა გამოაქვთ ლიბერალური განაჩენები, სადაც არ არის გამოვლინებული დამნაშაულის სიმძიმე და დამნაშავის პიროვნება. ეს კი ამცირებს სასამართლო პროცესის აღმზრდელობით და პროფილაქტიკურ მნიშვნელობას.

მართლმსაჯულების აღსრულების შემდგომი სრულყოფისათვის გამიზნულ მოცულობითა და ეფექტიანობით მნიშვნელოვან მუშაობას ასრულებს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო. გაზრდილ ოპერატიულობასთან ერთად შეიმჩნევა რესპუბლიკაში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე მის მიერ ჩატარებული სასამართლო პროცესების გავლენის მნიშვნელოვანი ამაღლება. ეს კი მიღწეულია მოსახლეობის მასობრივი პროპაგანდისა და აღზრდის საშუალებების უფრო აქტიურად და ქმედითად გამოყენებით. აღვნიშნავთ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტებით.

საკმარისია ითქვას, რომ უმაღლესი სასამართლოს მიერ გასულ წელს ჩატარებული პროცესების შედეგები 12-ჯერ განიხილეს პარტიულმა და სამეურნეო აქტივებმა, 14-ჯერ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ბიუროებმა, 24-ჯერ სამინისტროების კოლეგიებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სახალხო კონტროლის ორგანოებმა და სხვებმა.

წლითწლილობით სულ უფრო საგრძნობლად მაღლდება რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს საკასაციო საქმიანობის ხარისხი. შეძენილია იმ წერილებსა და საჩივრებზე მუშაობის გარკვეული გამოცდილება, რომლებიც განზოგადებისა და გავრცელების დირსია.

ამის ფონზე განსაკუთრებით სამწუხაროა ის ცალკეული ხარვეზები და ნაკლოვანებანი, რომლებიც ზოგჯერ ვლინდება რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობაში. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება იმას, რომ საკასაციო და საზედამხებდელო წესით საჩივრებაში შესწავლის დროს აღმოფხვრილი არ არის საქმის გაჭიანურების ფაქტები, რასაც ყურადღება უნდა მიაქციონ ამხანაგებმა ვ. ელიშერაშვილმა, ვ. დევდარიანმა და დ. ლორიამ.

განსაკუთრებით ხშირია ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინება შინაგან საქმეთა ორგანოებში დანაშაულობათა შესახებ შემოსულ განცხადებებსა და ცნობებზე რეაგირების საკითხთა გადაწყვეტის დროს. სამწუხაროდ დღემდე არ მოდებია ბოლო სახელმწიფო აღრიცხვისაგან სამართალდარღვევათა დაფარვის, დამნაშავეთა მხილებისა და დაკავებისათვის კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მიუღებლობის მანკიერ პრაქტიკას.

მარტო შარშან აღნიშნული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის თანამდებობიდან განთავისუფლდნენ ბოლნისის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ე. რევაია, თბილისის ორჭონიკიძის რაიონისა — თ. ცქიტიშვილი, წყალტუბოსი — ვ. ჯოჯუა, ლანჩხუთისა — ა. გვაზავა. ახალციხისა — ნ. სამსონიძე, ჩოხატაურისა — ი. თავაძე. საპროკურორო ზედამხებდელობის, ნათ შორის დანაშაულობათა შესახებ მიღებული ცნობებისა და მიღებული განცხადებების რე-



გისტრაციისადმი შედამხედველობის შესუსტების გამო თანამდებობიდან განთავისუფლდნენ თბილისის ორჯონიძის რაიონის პროკურორი ი. შალიკიანი, ლანჩხუთის რაიონისა — შ. შავრვაშვილი, ქალაქ წყალტუბოსი — ი. წულაია და სხვები.

იმის კისრზე: შეტისმეტად ბევრი რაიონული რგოლის აღმინისტრაციულ ორგანოთა ხელმძღვანელი ხომ არ დაისაჯა მკაცრად დანაშაულობათა შესახებ ცნობების რეგისტრაციისა და წაოტე რეაგირებისათვის მუშაობაში დაშვებული ფორმალისზმისა და ბიუროკრატიზმის გამო? პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხარს უჭერს და იწონებს საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის პრინციპულ და შეურიგებელ პოზიციას ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი. მაგრამ უნდა ვადიაროთ, რომ მართო ხელმძღვანელთა შეცვლით გავიკვირდება აღმინისტრაციულ ორგანოებში ფორმალისზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემის გადაწყვეტა. საქიროა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ საქვეუწყებო ორგანოებისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებანი, გავხადოთ ეს კონტროლი მუდმივი, ისეთი, რომ თავიდან გვაცილებდეს შეცდომებს. ხომ არ შეიძლება ნორმალურ ვითარებად მივიჩნიოთ ის, რომ მხოლოდ შარშან უარყოფითი მოტივებით თანამდებობიდან გაათავისუფლდეს შვიდი რაიონის პროკურორი და თერთმეტი შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი.

იმისათვის, რომ გამოძიებელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღოს, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების გამართულ და ზუსტ მუშაობას. როგორც რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტსა და პროკურატურის მიერ ჩატარებულმა შემოწმებაში ცხადყო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის საქმიანობა ვერ უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს.

ხშირია შემთხვევები, როცა სავადმყოფოთა ხელმძღვანელები მილიციის ორგანოებს არ აცნობებენ ხალხე იმას, რომ მათთან სამკურნალოდ მივიდა მოქალაქე, რომელსაც სხეულის დაზიანება აქვს. ეს კი ხელს უწყობს დანაშაულის დაფარვას.

ქალაქისა და რაიონის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები სარგებლობენ რა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მთავარი ბიუროს ხელმძღვანელობის მხრივ უკონტროლობით. თავიანთ დასკვნებში დაუსაბუთებლად ამძიებენ ან ამსუბუქებენ სხეულის დაზიანების ხარისხს, რაც იწვევს სავამძიებო ორგანოების მიერ უსწორო გადაწყვეტილებების გამოტანას. ფალსიფიკაცია და სხვა დარღვევები ჩაიღინეს ბოლისის, სავარჯოს, დუშეთის და თიანეთის რაიონების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა. კანონიერების დარღვევისათვის დაპატიმრებულია აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს უფროსი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგია, პირადად მინისტრი აშხ. გ. ლეუვა გულმოდგინედ შეისწავლიან შექმნილ ვითარებას და განახორციელებენ ღონისძიებებს ამ მეტად მნიშვნელოვან სამსახურში წესრიგის დასამყარებლად.

პარტიის XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურის, საბჭოთა მილიციის ორგანოებს. „ამ ორგანოების მუშაობა პროფესიული ცოდნა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უნდა ერწყმოდეს მოქალაქეობრივ მამაცობას. მოუხყიდობასა და სამართლიანობას. მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ღირსეულად შეასრულონ დაკისრებული სერიოზული მოვალეობანი. საბჭოთა ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მათი მუშაობა მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს, რომ ყოველ დანაშაულს ჭეოროვნად იძიებდნენ და დამნაშავეთ საკადრისად სჯიდნენ“.²

აღმინისტრაციული ორგანოების კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს პარტიის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ ეს ორგანოები განმტკიცდეს შემოწმებული და საიმედო მუშაებით, რომლებსაც თავიანთი მორალურ-პოლიტიკური და პროფესიული თვისებებით უნარი შესწევთ გადაწყვეტიონ სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების რთული ამოცანები.

ამიტომ პარტიული კომიტეტების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს საქმიანობაში მთლიანად უნდა ამოიძირკვოს ის ფაქტები, როცა ხელმძღვანელ თანამდებობებზე აწინაურებენ პროფესიულად მოუმზადებელ, არაკომპეტენტურ

² „სკკპ XXVI ყრილობის მასალები“, 1981. გვ. 101.



ადანაინებს, რომლებსაც უნარი არ შესწევთ განახორციელონ პარტიის მიერ აღებული დანაშაულობის, უოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კურსი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან გაუმართლებლად დაწინაურებს ცაგერის რაიონული შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის თანამდებობაზე გ. ადგიშვილი, რომელმაც ვერ შეძლო რაიგანყოფილებას მუშაობის ორგანიზება, თავი ვერ გაართვა დანაშაულობათა გამოძიებას და ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ყველა სფეროში ჩაშალა მუშაობა. იძულებული გახდნენ, რომ გაეთავისუფლებინათ იგი დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტებისაგან, შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მოითხოვს უფრო დაკვირვებოთ, უფრო პრინციპულად მიუღწეონ ამ საკითხების გადაწყვეტას.

მეორე მხრივ, უნდა შეიმუშაონ ახლადდანიშნული ხელმძღვანელი კადრების სწავლების სისტემის ორგანიზაცია, უზრუნველყონ, რომ მათ აღმოუჩინონ პრაქტიკული დახმარება, კონტროლი გაუწიონ მათს მუშაობას შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პროკურატურამ, იუსტიციის სამინისტრომ. ამისათვის უნდა იზრუნონ ამხანაგებმა გ. სერიოღინმა, ვ. შარაშენიძემ და ა. კვიციანიანმა, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მთელმა ხელმძღვანელობამ.

ამოცანა აგრეთვე ის არის, რომ პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოებში შეიქმნას ისეთი ატმოსფერო და ისეთი პირობები, რომლებიც გამოიწვევს რაიმე ბოროტ-ნორკმელების ან დარღვევის შესაძლებლობას.

ჭერ კიდევ დაბალია შინაგან საქმეთა ორგანოების პოლიტიკურ-აღმწერლოებითი მუშაობის ქმედითობა, ხშირად არა მარტო პოლიტიკურ ნაწილში მოადგილენი, არამედ ამ ორგანოთა ხელმძღვანელებიც, ქვეგანყოფილება მეთაურებიც არ ეწევიან აღმწერლოებითს მუშაობას, ხოლო ზოგიერთი მათგანი ცუდ პირად მაგალითს იძლევა, როცა გარს იკრებს უნიათო, გულგრილ მუშაებას.

შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში კვლავ სუსტ რგოლად რჩება სახელმწიფო ავტონისპექციის საშახური. აქ ჭერჭერობით ვერ მაღწიეს რაიმე დამაჯერებელ ძვრებს ვერც საგზაო მოძრაობისადმი შედამხედველობასა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თავიდან აცილებაში და ვერც დისციპლინის განმტკიცებაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოელის, რომ ამ საშახურის ხელმძღვანელები ლ. გორგოძე, ვ. როგავა და გ. ცინცაძე ბოლოს და ბოლოს დაამუარებენ წესრიგს.

ამ საკითხებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკურმა კომისიამ.

შინაგან საქმეთა ორგანოებში ვითარების გაჯანსაღების ერთ-ერთი ეფექტიანი ბერკეტი უნდა გახდეს მათი თანამშრომლების დამტკიცება პარტიის რაიკომების, საქალაქო კომიტეტების ბიუროებზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შესაბამისი დადგენილებით. პარტიულ კომიტეტებს მოსთხოვა ატესტაცია მისცენ უოველ თანამშრომელს — ხელმძღვანელით დაწვებული რიგითი მილიციელით დამთავრებული.

შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ბევრი პარტიული კომიტეტი არ იუენებს ამ კამპანიის შინაგან საქმეთა ორგანოების გაწმენდისა და განმტკიცებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ბიუროებმა მხოლოდ 24 მსურველს უთხრეს უარე მილიციის ორგანოებში მიღებაზე, რა თქმა უნდა, გვეძლევა საფუძველი ვთქვათ, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ ფორმალისმბსა და უპრინციპობას იჩენს.

ადმინისტრაციული ორგანოების კადრებთან მუშაობა ავრალი კი არ არის, არამედ ადამიანების შერჩევისა და აღზრდის. შრომითს კოლექტივებთან მათი კავშირის განმტკიცების, მათი საქმიანობისადმი უოველდღიური კონტროლის, მათი შრომისა და უოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მუდმივი პროცესია. ამასთან დაკავშირებით უნდა ამადლდეს ადმინისტრაციულ ორგანოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლიც, ხოლო პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები თავიანთ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში უფრო ფართოდ უნდა ეურდნობოდნენ ადმინისტრაციულ ორგანოთა კომუნისტებს. შინაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების პირველადი პარტიული ორგანიზაციები მუდამ უნდა იუენენ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ადმინისტრაციული ზრუნვების მუშაობა ავტორიტეტის გავრდისათვის ბრძოლის ავანგარდში.

მ. უხედავად ამისა, რომ ბოლო ხანს რესპუბლიკის პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, უშადლესმა სასამართლომ და იუსტიციის სამინისტრომ მთლიანად გააუმჯობესეს

ორგანიზატორული საქმიანობა, მათმა ხელმძღვანელებმა თვისებრივად ახალ სიმაღლეზე უნდა აიყვანონ, თავიანთი სისტემების მუშაობა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი და საჭიროა იმიტომ, რომ რესპუბლიკის წინაშე მეთერთმეტე ხუთწლეულის მეორე წელს დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას, საზოგადოებრივი წარმოებისა და ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება, მეურნეობის გაუმჯობესება, მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მთელი რიგი სიძნელენი და ჭერჭერობით გადაუწყვეტელი პრობლემები, საერთაშორისო დამაბული ვითარება რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მოითხოვს მაქსიმალურ დისციპლინაობას, მობილიზებას, ბრძოლისუნარიანობასა და კომუნისტური პარტიისადმი ერთგულებას.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში უდიდესი როლი ენიჭებათ რესპუბლიკის პრესას, რადიოს და განსაკუთრებით ტელევიზიას, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას. მათ უნდა გამოახონ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის იდეოლოგიური უზრუნველყოფის, დატაცებათა, მექრთამეობის, სპეკულაციის ფაქტების გარშემო საჭირო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ახალი ეფექტიანი ფორმები.

განვლილი წლის ღირსშესანიშნავმა მოვლენებმა — პარტიულმა ყრილობებმა, რესპუბლიკის იუბილეს დღესასწაულობამ, ზეიმზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ჩამოსვლამ ცხადყო რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის შეკავშირება პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ზეიმის დღეებში ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გამოავლინეს მაღალი პოლიტიკური შეგნება, სანიმუშო დისციპლინა და ოსტატობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ წარმატებით შესრულდება სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების ახალი ამოცანებიც, რომლებსაც პარტია სახავს თანამედროვე ეტაპზე.



საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების სამოცი წლისთავი

ა. ინაშვილი

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე

ქართველმა ხალხმა შარშან, დაუფიწყარი მაისის დღეებში ზეიმით აღნიშნა დიდი ეროვნული დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის სამოცი წლისთავი. ზეიმს განუმეორებელი ბრწყინვალეობა შემატა თბილისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სტუმრობამ. ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა საქართველოს გრანდიოზულ მიღწევებს. ამან ახალი მიჯნების მისაღწევად განაწყო ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მშრომელი.

1981 წლის დამლევს აღინიშნა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების სამოცი წლისთავი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების შექმნა განუყრელად არის დაკავშირებული ისტორიულ თარიღთან — 1921 წლის 25 თებერვალთან. სწორედ ამ დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციურმა კომიტეტმა, თავის პირველსავე სხდომაზე გადაწყვიტა დაუყოვნებლივ შესდგომოდა საგანგებო კომისიის შექმნას. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ამ მეტად ოპერატიულად მიღებული გადაწყვეტილების გამოტანით გამოავლინა პოლიტიკური სიმწიფე და ღრმა ვაგება მსოფლიოს ჩავრულოთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სიტყვებისა: გამარჯვებული პროლეტარიატის პირველი რიგის, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა — ეს არის რევოლუციის დაცვა.

საგანგებო კომისია, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანო, შეიქმნა კლასობრივი ბრძოლის მწვავე პირობებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა უკომპრომისოდ იბრძოდა ძველი სამყაროს შავბნელი ძალების წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ ხალხმა საგანგებო კომისიას თავიდანვე ხატოვანად შეარქვა სამშობლოს ფარი და მახვილი. ეს მეტად სხარტი გამოთქმა იქცა სიმბოლოდ, რომელიც დღესაც ზუსტად გამოხატავს სახელმწიფო უშიშროების საბჭოთა ორგანოების არსსა და დანიშნულებას.

დასაწყისი კი იოლი როდი იყო. იგი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღიდანვე მიმდინარეობდა რესპუბლიკის მწვავე ბრძოლაში კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, რომლებიც არ ურიგდებოდნენ თავიანთ დამარცხებას. ანტი საბჭოთა იაჯაკვემეთში გაერთიანდნენ სხვადასხვა ნაციონალისტური პარტიის და მიმდინარეობის წევრები — მენშევიკები და სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და ანარქისტები, ყოფილი მენშევიკური არ-



მიის ოფიცერთა ნაწილი, „სახალხო გვარდიელები“, კულაკები, პრივილეგირებული ფენების წარმომადგენლები, რომლებიც მტრულად შეხვდნენ სოციალისტურ რევოლუციას. მთელ ამ შავბნელ, რეაქციულ ძალას მხარს უჭერდა საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელიც არ იშურებდა ხარჯებს იმისათვის, რომ საქართველო ჩამოეშორებინა თავისუფალი მოძმე ხალხების ოჯახისთვის და თავის დანამატად გადაექცია. ამ მეტად რთულ და ძნელ პირობებში საჭირო იყო მშრომელი მასების განსაკუთრებული შეკავშირება, დიდი რევოლუციური სიფხიზლე. ყველა პარტიული და სახელმწიფო ორგანოს, განსაკუთრებით რესპუბლიკის ჩეკისტური აპარატების დაძაბული მუშაობა.

ახლა, ვიგონებთ რა იმ ძნელ, მაგრამ გამირულ დღეებს, არ შეგვიძლია ჯეროვანი პატივი არ მივაგოთ ჩვენს მამაც წინამორბედებს, იმ დროის საუკეთესო კომუნისტებსა და კომკავშირელებს, რომლებმაც შექმნეს საგანგებო კომისიის პირველი ქვეგანაყოფები და საიმედოდ იცავდნენ მუშურ-გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკას. ბევრი მათგანი, ბოლშევიკურ იატაკქვეშეთში მიღებული წრთობის შემდეგ, გამირულად იბრძოდა სამოქალაქო ომში. მართალია, იმ წლებში ყველას როდი ჰქონდა შესაბამისი სპეციალური განათლება. მაგრამ მათ არ აკლდათ მამაცობა, რევოლუციური თავდადება და პარტიისა და ხალხისადმი ერთგული სამსახურის დაუოკებელი სწრაფვა. პირველმა ჩეკისტებმა, რომელთაც რევოლუციის დაუვიწყარი რაინდი ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი მეთაურობდა. საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების ისტორიაში საუკუნოდ ჩაწერეს თავიანთი სახელები. ჩვენი ხალხი არასოდეს დაივიწყებს მათს გამირულ საქმეებს.

საქართველოს ჩეკისტთა კოლექტივი იმ პერიოდში შეიქმნა, როცა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას უკვე ჰქონდა გარეშე მტრებთან და შინაურ კონტრრევოლუციასთან ბრძოლის მდიდარი გამოცდილება. სწორედ იგი დაედო საფუძვლად ქართველი ჩეკისტების საქმიანობას.

იმ პერიოდის ვითარებაში სწორი ორიენტირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ფ. ე. ძერჟინსკის თითქმის ერთი თვის ყოფნას. იგი იყო თბილისში, სოხუმში, ზუგდიდსა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში. ფ. ე. ძერჟინსკი ყველგან ხვდებოდა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, გამოდიოდა მუშათა და გლეხთა წინაშე, ესაუბრებოდა ჩეკისტებს და დიდ ინტერესს იჩენდა მათი მუშაობისადმი, ეხმარებოდა რჩევით და მითითებებით. ამან ხელი შეუწყო საქართველოს ჩეკისტებს ეფექტიანად ემუშავათ არა მარტო დროის უახლოესი მონაკვეთის, არამედ გარკვეული პერსპექტივის გათვალისწინებითაც.

ფ. ე. ძერჟინსკი წინასწარ ჰვრეტდა, რომ კონტრრევოლუცია ეცდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის ამხედრებას, ბანდიტური თავდასხმების ორგანიზებას. ამიტომ იყო, რომ იგი ქართველ ჩეკისტებს მიუთითებდა მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ხალხთან, საჯულდაჯულოდ შეესწავლათ საზოგადოების შიგნით მიმდინარე პროცესები. მისმა სახელმძღვანელო მითითებებმა დიდი როლი შეასრულა შემდგომშიც, დაეხმარა ჩეკისტებს დროულად გამოეცნოთ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული მტრული საიდუმლო მანევრები, როცა გადაარჩენილმა მენშევიკურმა ბანდებმა და მათმა თანამზრახველებმა საქართველოს მთელ რიგ მაზრებში, 1924 წლის აგვისტოში, მოაწყვეს პროვოკაციული ანტისაბჭოთური გამოსვლები. ჩეკისტებმა, რომლებიც ხალ-

ის დახმარებას ეყრდნობოდნენ, ბოლო მოუღეს ერთი მუჟა მენშევიკი ავანტიურისტების გამოსვლებს.

„ავგისტოს ავანტიურის“ კრაზი. უწინარეს ყოვლისა, საზღვარგარეთ გაქცეული და საფრანგეთში მოკალათებული მენშევიზმის ლიდერთა კრაზი იყო. მათი ძირგამომთხრელი საქმიანობის ანტიხალხური არაი სრული სახით გამოჩნდა მთელი ქვეყნისა და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წინაშე.

საქართველოს ჩეკისტთა ენერგიული, მიზანსწრაფული ბრძოლა დასავლეთის ძირგამომთხრელ ცენტრებისა და ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის წინააღმდეგ, დადებით გვლენას ახდენდა რესპუბლიკის სოციალისტური გარდაქმნის მთელ პროცესზე. უზრუნველყოფდა კომუნისტური პარტიის პროგრამის განუხრელად შესრულებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველსავე წლებში სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში არნახულ წარმატებას მიაღწია. მოკლე ვადაში სამრეწველო პროდუქციის გამოშვებამ ომამდელ დონეს გადააჭარბა, ხოლო საქართველოს ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრემ 1927 წლისათვის უკვე გადააჭარბა 1913 წელს არსებულ სიმძლავრეებს. ელექტროფიკაციის განვითარებამ ახალგაზრდა რესპუბლიკას საშუალება მიაცა უმოკლეს დროში განეხორციელებინა აღდგენითი სამუშაოები. აემუშავებინა ათობით ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმო.

საბჭოთა საქართველოს წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში კლასობრივი მტრების გაათრებას იწვევდა. ისინი ცდილობდნენ ახალი ეითარების შესაბამისად ემოქმედათ. მიმართავდნენ სხვადასხვაგვარ მანერებას და ფანდებს, ესწრაფოდნენ შეეფერხებინათ ჩვენი წინსვლა, ჩაეშალათ დასახული გეგმების შესრულება, გამოეწვიათ მშრომელთა უკმაყოფილება. ამ მიზნით იყენებდნენ ჯაშუშობას, მაგნებლობას, დივერსიებს, ტერორს, სიცრუესა და ცილისწამებას, იდეოლოგიური ზემოქმედების სხვადასხვა ფორმას. სწვა ძირგამომთხრელ საშუალებებს. შინაური მტრების მოქმედებას ყოველმხრივ უჭერდა მხარს მსოფლიო ბურჟუაზია.

ჩვენი ქვეყანა მტრულ გარემოცვაში იმყოფებოდა. მტერი ყოველნაირად ცდილობდა გამოეყენებინა ეს, კიდევ უფრო მეტად შემოეერთყათ ალყა და გაენადგურებინათ ეკონომიკურად. ამ მიზნით ისინი ჩვენს ქვეყანაში ვზაენიდნენ იმპერიალიზმის სპეციალური სამსახურების აგენტებს, იყენებდნენ აგრეთვე საქართველოში შემოღწევის სხვა ლეგალურ საშუალებებსაც, რათა გაეჩადებინათ ძირგამომთხრელი მუშაობა. მტრების მიერ დაქირავებული ჯაშუშები ცდილობდნენ სახელმწიფო საიდუმლოებათა ხელში ჩაგდებას, ამზადებდნენ დივერსიებს. ხშირად პოლიტიკური ბანდიტიზმის აქციებში ხელი ერთობ დასავლეთის სახელმწიფოებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ჩვენი რესპუბლიკის ჩეკისტებს უსახავდნენ სერიოზულ ამოცანებს. და მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ შეუპოვარი შრომითა და გამირობით ჩვენმა ჩეკისტებმა წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

1927 წლის დეკემბერში სსრ კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით. ეს იყო უმაღლესი ჯილდო. რომლითაც სამართლიანად და ობიექტურად აღინიშნა საბ-

ჭოთა ჩეკისტების თავდადებული შრომა ცენტრში და ადგილებზე. სამშობლოს ჩილდომ აღაფრთოვანა ასრ კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თითოეული მუშაკი. ისინი კიდევ უფრო მჭიდროდ დაი-რაზმნენ ახალი საგმირო საქმეებისათვის.

კოლექტივიზაციის წლებში და პირველ ხუთწლეულებში საქართველოს ჩეკისტებმა დიდი წვლილი შეიტანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანათა შესრულების უზრუნველყოფაში. ამ წლებში პოლიტიკური და პროფესიული თვალსაზრისით კიდევ უფრო განმტკიცდა ჩეკისტთა აპარატი, რაშიც უდიდესი დამსახურება მიუძღვის საქართველოს კომუნისტურ პარტიას.

სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში იყო ახალი ისტორიული ნიშან-სვეტი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში. ამ პერიოდში პარტია სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ძირითად მეცადინეობას ახმარდა იმპერიალისტური დაზვერვის ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან წარმოიშვა საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის სამხედრო თავდასხმის საფრთხე.

1933-36 წლებში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა გააუვნებლეს მთელი რიგი საჯაშუშო რეზიდენტურები, რომლებიც სსრ კავშირში მოქმედებდნენ გერმანიის საელჩოსა და მისი საკონსულოების ნიღბით, მათ შორის საქართველოშიც.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა იმ პერიოდში ჩაშალეს ნაციტური გეგმები— შეექმნათ სსრ კავშირში „მეხუთე კოლონა“, შეეკრიბათ ამომწურავი ინფორმაცია სსრ კავშირის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის შესახებ. ამასთანავე ერთად, ჩეკისტების მიერ მიღებულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი ცნობები გერმანიის ფაშისტური ზედაფენისა და მისი იაპონელი მოკავშირეების გეგმების შესახებ.

ცნობილი ფაშისტური ორგანიზაციის „ცეპელინის“ ძირგამომთხრელი საქმიანობის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა საქართველო. კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში ფაშისტური ჯარების მოქმედებას ხელს უწყობდა ჩვენს ზურგში მტრის სპეციალურად მომზადებული აგენტურის მასობრივად შემოგზავნა. თვითმფრინავებით უშუალოდ საქართველოში გადმოისროლეს მრავალი დივერსიული ჯგუფი. კერძოდ, ამბროლაურის, მახარაძის, ოჩამჩირის, ორჯონიკიძის, ბოლნისის, თელავის და სხვა რაიონებს ტერიტორიებზე. ჩვენი რესპუბლიკის ჩეკისტების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში შემოგზავნილ აგენტთა ვერც ერთმა ჯგუფმა ვერ შეძლო ფაშისტური დაზვერვის დავალების შესრულება.

დიდი სამამულო ომის ყველა ფრონტზე საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის ჩეკისტური ორგანოების აღზრდილნი. ისინი მამაცურად იბრძოდნენ პარტიზანულ რაზმებში უკრაინასა და ბელორუსიაში. შემდეგ კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

არ შეიძლება არ ვახსენოთ მრავალრიცხოვანი იატაკქვეშა ჯგუფები, რომელთა უმრავლესობა იქმნებოდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფი საბჭოთა ადამიანების ინიციატივით. მათი სახელები დღეს იხსენიება იტალიის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და სხვა იმ ქვეყნების წინააღმდეგობის გმირთა შორის, რომლებმაც განიცადეს ფაშისტების საშინელებანი.

ფრონტებზე პარტიზანული და იატაკქვეშა ბრძოლის დროს საბჭოთა ადა-

მიანებმა ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ბრძნული და ნაცადი ხელმძღვანელობით მოსპეს ფაშიზმი, გამოიჩინეს უდიდესი სიმტკიცე, მამაცობა, გაჟაკობა და ჩვენი დიადი სამშობლოს ერთგულება. ჩვენ ვამაყობთ, რომ ამ დიდ გამარჯვებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით საქართველოს ჩეკისტებსაც.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება როდი ნიშნავდა საერთაშორისო ასპარეზზე კლასობრივი ბრძოლის შესუსტებას. ომისშემდგომ პერიოდში საერთაშორისო ვითარება მკვეთრად გამწვავდა ჩვენი ქვეყნის მიმართ წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოების — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული საგარეო-პოლიტიკური კურსის გამო. საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დაიწყო „ცივი ომი“, რომელშიც მთავარი როლი განეკუთვნებოდა ბრძოლის ძირგამომთხრელ საშუალებებს.

იმპერიალისტური სახელმწიფოების დაზვერვები, მათი სპეციალური სამსახურები, სახმელეთო და საჰაერო საზღვრებით ავზავნიან თავიანთ აგენტებს საჯაშუშო და სხვა ძირგამომთხრელი აქციებისათვის. ამავე მიზნით იყენებენ სხვადასხვა ლეგალურ შესაძლებლობას, რომლებიც შეიქმნა საერთაშორისო გაცვლის, ტურიზმის, მეცნიერული ურთიერთობის გაფართოებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ჩეკისტები, რომლებიც ეყრდნობიან პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა ფართო ფენების დახმარებასა და მხარდაჭერას, თავდადებულად შრომობენ ომისშემდგომ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში შემოგზავნილი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, თურქეთისა და ნატოს აგრესიულ ბლოკში შემავალი სხვა ქვეყნების აგენტების გამოვლენისა და გაუვნებლებისათვის. ამის შესახებ, ისევე როგორც დასავლეთის სხვადასხვა ძირგამომთხრელი ცენტრიდან რესპუბლიკაში ნაირნაირი ნიღბით ჩამოსული სხვადასხვა ემისრის შესახებ მოსახლეობა დროულად იყო ინფორმირებული მასობრივი ინფორმაციის ორგანოების საშუალებებით.

იმპერიალიზმის სპეციალური სამსახურები, რომლებიც მიმართავენ ყველა ხერხს, მათ შორის, სიცრუეს, დეზინფორმაციას, დემაგოგიას და სხვა, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ფართოდ იყენებენ სხვადასხვაგვარ იდეოლოგიურ დივერსიებს. ისინი მიზნად ისახავენ ჩვენი საზოგადოების დაშლას შიგნიდან და წარმოადგენენ იმპერიალიზმის კლასობრივი სტრატეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ისწავლეს გამოავლინონ და გააუვნებლონ იდეოლოგიური დივერსანტები, გამოიციონ ძირგამომთხრელი ოპერაციები იდეოლოგიურ ფრონტზე და საკადრისი პასუხი გასცენ მათ.

ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მედროშეა. სოციალიზმის იდეების ცხოველყოფილობა დღითი დღე იზრდება. ამასთან, კაპიტალიზმი სულ უფრო კარგავს თავის ოდესღაც გაბატონებულ მდგომარეობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი სამშობლოსა და სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროებას საფრთხე არ ემუქრება. „ამ ბოლოდროინდელი მოვლენები, — აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, — კვლავ და კვლავ ადასტურებს: ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი თავიანთ მარცხზე სწავლობენ. ისინი სო-

ცილისტური ქვეყნების წინააღმდეგ სულ უფრო გაწაფულად და მზაკერულად მოქმედებენ“¹

ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის სამხედრო ავანტიურები ზედიზედ მარცხდება, აძლიერებს ფარული ომის საფრთხეს, ავსებს ამ ომისათვის აუცილებელი საშუალებების არსენალს. ამ მიზნით ის იყენებს ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს. ჩეკისტები მოვალენი არიან დროულად გამოავლინონ და ჩაშალონ იმპერიალიზმის სპეციალური სამსახურების ძირგამომთხრელი ზრახვები, საიმედოდ უზრუნველყონ სამშობლოს უშიშროება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები დღითიდღე იმადლებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს, სრულყოფენ პროფესიულ ოსტატობას, რადგან მათ კარგად იციან, რომ ჩვენ წინაშე დასახული დიადი მიზნები მოითხოვს კარგად მოფიქრებულ, დახვეწილ მოქმედებას, რომელიც შესაბამება დროის მოთხოვნებს.

„უშიშროების უზრუნველყოფა დღევანდელ პირობებში, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, საბჭოთა ჩეკისტების ხელმძღვანელმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ეს არის არა მარტო სახელმწიფოს, არამედ მთელი საზოგადოების უშიშროების უზრუნველყოფა კლასობრივი მოწინააღმდეგის ხელყოფისაგან“.

ჩვენში არ არის კლასობრივი, სოციალური ბაზა მტრული, ანტისაბჭოური საქმიანობისათვის. სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობას მახვილი მიმართულია ჩვენი საზოგადოების გარეშე მტრების წინააღმდეგ. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულობანი, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება, როგორც წესი, საზღვარგარეთის გამბრუნელი გავლენის შედეგია. მტრული პროპაგანდის შემოდღწევისა და გავრცელებისათვის საიმედო დაბრკობაა ჩვენი საზოგადოების წევრთა იდეური დონის ამაღლება. საქართველოს ჩეკისტები აქტიურად მონაწილეობენ ამ მუშაობაში. ჩეკისტური აპარატების საქმიანობის ეს მიმართულება, ისევე როგორც სხვადასხვა პროფილაქტიკური საშუალების ფართო გამოყენება, ხელს უწყობს ფრიად მნიშვნელოვანი პარტიული ამოცანის — სახელმწიფო დანაშაულის დროულად თავიდან აცილებას, საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ შეკავშირების ამოცანის დაწყვეტას.

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა უდიდესი გამარჯვებაა, რამაც ერთ ძმურ ოჯახად შეაკავშირა საზოგადოების ყველა კლასი და სოციალური ფენა, ჩვენი ქვეყნის ყველა ერი და ეროვნება. ეს ერთიანობა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების მნიშვნელოვანი წყაროა, და სწორედ ამიტომ სოციალიზმის მოწინააღმდეგენი ყველაზე უფრო ინტენსიურად მას უტყვენ.

იმპერიალიზმის სპეციალური სამსახურები ისწრაფვიან შეასუსტონ და შეარყიონ საბჭოთა ადამიანების კომუნისტური რწმენა, თავს მოახვიონ მათ სოციალიზმისათვის უცხო შეხედულებები და ჩვევები, მიადწიონ საბჭოთა საზოგადოებაში იმპერიალიზმისათვის სასარგებლო პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებს. ამ ძირგამომთხრელი ზრახვების წინაშე უნდა აღემატოთ გადაულახავი ზღუდე. პარტიას ეს მიაჩნია არა მარტო სახელმწიფო უშიშრო-

¹ „სკკპ XXVI ყოლობის მასლები“, თბ., 1981, გვ. 13.



ების ორგანოების მოვალეობად, არამედ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის, ჩვენი ქვეყნის ყველა პატრიოტის მოვალეობადაც. და, რაღა თქმა უნდა, დიდი როლი უპირველესად ეკისრებათ ადმინისტრაციულ ორგანოებს. პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების, მათი რიგების მაღალკვალიფიციური კადრებით განმტკიცების ღონისძიებანი. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარე ამოცანები კიდევ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს სასამართლოს, პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა მუშაკებს, ყველა იმას, ვინც სოციალიზმის საფუძვლებს, მისი მართლწესრიგისა და ისტორიული მონაპოვრების სადარაჯოზე დგას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა სამოცი წლის მანძილზე ბრძოლის დიდი და ძნელი გზა განვლეს. პირველი ჩეკისტები სახელმწიფო უშიშროების მუშაკთა ახალმა თაობებმა შეცვალეს. მემკვიდრეობით გადაეცემოდა მუშაობის გამოცდილება და საუკეთესო ტრადიციები. დღეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო უშიშროების კომიტეტებში, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განყოფილებაში, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო უშიშროების კომიტეტების აპარტებში შრომობენ ერთიან ჩეკისტურ კოლექტივად შეკრული დიდად განათლებული, პოლიტიკურად მომზადებული და თავიანთი საქმისა და სამსახურებრივი მოვალეობისადმი ერთგული, გამოწრთობილი თანამშრომლები. ეს მიღწეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელობის შედეგად, რაც საშუალებას გვაძლევს განვამტკიცოთ ჩეკისტთა რიგები. შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები. დიდ როლს ასრულებს ჩეკისტების კადრების განმტკიცებაში საქართველოს ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებსაც ჰყავთ ჩეკისტთა მომზადებული კადრები, უკანასკნელ წლებში შეძლეს წარმატებით განეხორციელებინათ მთელი რიგი ოპერაციები უცხოეთის დაზვერვათა წინააღმდეგ, აღეკვეთათ ცალკული მტრული აქციები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს განსაკუთრებულ ყურადღებას, დახმარებასა და მხარდაჭერას უწევს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, არმიის გენერალი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი, რომელიც ახორციელებს ფ. ე. ძერჟინსკის მიერ დამკვიდრებულ საუკეთესო ტრადიციებს.

ყველა ჩვენს საქმეში მუდმივ მხარდაჭერას გვიწევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგ ე. ა. შევარდნაძე.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებისა და ქვეგანყოფილების მუშაობის ბევრი დადებითი მხარე მიღწეულია სახელმწიფო უშიშროების სასაზღვრო ჯარებთან, საარმიო ორგანოებისა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიმედო, მჭიდრო ურ-

თიერთმოქმედების მეოხებით. ეს ურთიერთმოქმედება ჩვენი ძალის წყაროა და ამიტომ საჭიროა იგი ყოველთვის მაღალ დონეზე იყოს, მთლიანად შეესაბამებოდეს სამშობლოს ინტერესებს.

სამოცი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგებს რომ აჯამებენ და მიღწეულ წარმატებებს აღნიშნავენ, საქართველოს ჩეკისტებმა იციან, რომ მათს მუშაობაში ცოტა როდია ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრაც გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს. ისინი ძალ-ღონეს არ იმუშობენ, რათა ხვალ უკეთ იმუშაონ.

ხვალინდელ დღეს კი ვიწყებთ იმ მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულნი, რომელიც სახელმწიფო უშიშროების საქმიანობას მიეცა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტიბიურო და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების განმტკიცებისათვის, მოწინააღმდეგის ყოველგვარ ხრიკებისაგან მისი დაცვისათვის. „ჩვენ არა ვართ გამალბებული შეიარაღების მომხრენი, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევი გამირ ქალაქ კიევში მემორიალური კომპლექსის საზეიმო განსისას გამართულ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში, — ვართ მისი მოწინააღმდეგენი. ჩვენ შეგვეძლო სხვაგვარად გამოგვეყენებინა ის სახსრები, რომლებსაც იგი ნთქავს. მაგრამ თუ გვაძულდებენ, ომის მოტრფიალე იმპერიალიზმის ყოველგვარ გამოწვევას სწრაფ და ეფექტიან პასუხს გავცემთ, რადგან ჩვენი პირველი, ყველაზე წმიდათაწმიდა ვალია უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნისა და მისი მოკავშირეების უშიშროება, უზრუნველვყოთ საბჭოთა ხალხისათვის საიმედო მშვიდობა“².

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი და გამოწრთობილი ჩეკისტები კვლავაც თავდადებით იშრომებენ იმისათვის, რომ აგრესიული იმპერიალისტური ძალების ვერავითარმა პროვოკაციებმა ვერ შეუშალოს ხელი კომუნიზმისაკენ ჩვენი საზოგადოების ისტორიულ წინსვლას.

უმუშრველად ვიღონებთ ყველაფერს, რათა ჩვენი მახვილი იყოს ბასრი, ხოლო ფარი — საიმედო. ეს არის ჩვენი მოვალეობა, ჩვენი ფიცი საბჭოთა ხალხისადმი.

² გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 10 მაისი.

ნარკომანია და მასთან ბრძოლის საზღვარსგარეშო და სოსიალურ-სამედიცინო საკითხები

ა. ზურაბაშვილი, ა. გაბიანი, ბ. ლეჟავა, ბ. ნანეიშვილი.

ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამედიცინო და სოციალურ-სამართლებრივ საკითხებს. ამ თემაზე შესრულებულია საგულისხმო გამოკვლევები.

მკითხველებს ვთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ გამოკვლევას, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება და ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს: აკადემიკოს ა. ზურაბაშვილს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს ა. გაბიანს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს გ. ლეჟავას, პროფესორ ბ. ნანეიშვილს. გამოკვლევის პირველ ნაწილში გადმოცემულია ძირითადი ცნობები ნარკომანიის კლინიკური ფორმების, ბიოლოგიური საფუძვლების, მკურნალობის შესახებ. მეორეში განზოგადებულია ჩვენს რესპუბლიკაში ნარკომანიის კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის შედეგები, ამასთან გამოყენებულია ავტორთა განკარგულებაში არსებული ორიგინალური მონაცემები, რომლებიც ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველებისათვის.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს გამოკვლევის პირველ ნაწილს.

ტკივილგამაყუჩებელი, დამაწყნარებელი, საძინებელი და მასტიმულირებელი ნივთიერებებისადმი ადამიანების მიდრეკილება და პათოლოგიური ლტოლვა-შეჩვევა თანამედროვე მედიცინის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს შეადგენს.

ჩვენი დროის ფარმაკოლოგიური არსენალი მდიდარია ასეთი პრეპარატებით, რაც ხელს უწყობს ტოქსიკომანიურ ექსცესებს, რომლებიც, საუბედუროდ, შედარებით ფართო გავრცელებას პოულობს მთელ მსოფლიოში.

ქიმიური შედგენილობისა და მოქმედების თავისებურებათა მიხედვით ნარკოტიკული საშუალებები რამდენიმე ჯგუფად იყოფა.

ყველა ნარკოტიკული ნივთიერება ერთმანეთის მსგავს მოქმედებას იწვევს.



მათი ხშირი მიღებით გამოწვეული დაავადებების (ნარკომანიის) კლინიკური სურათიც თითქმის არ არის განსხვავებული. გამოყოფენ ოპიუმის ნარკომანიის საერთო ჯგუფს, რომელიც აერთიანებს ოპიომანას, მორფინიზმს, კოდეინომანას და სხვ.

ნარკომანია შეიძლება გამოიწვიოს ერთი რომელიმე ნარკოტიკული საშუალების მიღებამ. შედარებით ხშირად არის ნარკომანი, რომელიც იღებს ორ და მეტ სხვადასხვა ნარკოტიკულ საშუალებას ერთდროულად (პოლინარკომანია).

ჩვენს ქვეყანაში ნარკომანიას არა აქვს ძირეული სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები და თავისი ეტიოლოგიით უფრო მოგვაგონებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სნობისტურ მოვლენას. სნობიზმი გულისხმობს უცხოური უარყოფითი ჩვევების და ჩვეულების ზერელე, ფორმალისტურ და უკრიტიკო მიზამვას, რაც უეჭველად ხელს უწყობს ზოგად მორალურ დეპრეკაციას, დაქვეითებას.

ტოქსიკომანია, კერძოდ, ნარკომანიის ყოველი შემთხვევა განპირობებულია სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნების მქონე მიზეზებით. ამავე დროს ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ინდივიდუუმის ბიოლოგიურ თუ ფსიქოლოგიურ წინაგანწყობას, ასე ვთქვათ, კონსტიტუციურ მიდრეკილებას უეჭველად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნარკომანიის ეტიოპათოგენეზში.

ნარკომანთა პიროვნებაში ყურადღებას იპყრობს შემდეგი თავისებურებანი: გადაჭარბებული დამორჩილიანობა და ძლიერი ემოციურობა. წარმოდგენილი ნიშანდობლივი ხაზება ერთობლივ მიუთითებს ფსიქოპათიურ პიროვნებაზე. ამიტომ სრულიად გასაგებია კლასიკურ ფსიქოპათოლოგიაში არსებული აზრი, რომ ყოველი ნარკომანი თავისი ფსიქოლინამიკური ბუნებითა და შინაარსით წარმოდგენს ფსიქოპათიურ პიროვნებას. ხოლო თუ მივმართავთ ფსიქოპათების დღევანდელ კლასიფიკაციას ანუ სისტემატიკას, ირკვევა, რომ ნარკომანია უფრო ხშირად გვხვდება დეპრესიული, შემდეგ ასთენიური და ისტერიული ჯგუფის ფსიქოპათებში. აქ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ. ფსიქოპათიაზე როცა ვმსჯელობთ. მხედველობაში გვაქვს პიროვნების ძირითადი ღერძის, ე. ი. მორალურ-ზნეობრივ ძალთა შესაძლებლობანი.

არსებული მასალების თანახმად, ყველა ჯგუფის ფსიქოპათებისათვის დამახასიათებელია მორალური მოდუსის სისუსტე, სიმყიფე, უკმარისობა, დეპრეკაცია. ეს თავისებურება ფართოდ არის ფესვგადგმული ნარკომანთა შორის. საუბედუროდ, უკვე არსებული პიროვნული სიმყიფე ნარკომანიის დროს უფრო ძლიერდება და მტკიცდება. ავადმყოფს თანდათანობით იპყრობს აზრები, ფიქრები, სურვილები, ლტოლვანი და მიდრეკილებანი სხვადასხვა ბოროტმოქმედებისადმი: იგი საზოგადოებისათვის საშიში ამორალური ხორცმეტი ხდება. ამასთან ერთად ჩამოყალიბებული ნარკომანი სრულიად კარგავს წარმოდგენას წესრიგზე. მისი დაპირება და სიტყვის მიცემა მოკლებულია ყოველგვარ შინაარსს, ამის ნაცვლად მას იპყრობს ფლიდობა, ეგოიზმი, უგვანობა, კარგავს ყოველგვარ ეთიკურ გრძნობას სამშობლოსადმი, ოჯახისადმი. აღწერილია ნარკომანიის შემთხვევები, მაგალითად, კოკაინომანია, როდესაც გარეგნულად მოწესრიგებული დედა სრულიად გარკვევით ამბობდა, რომ მისთვის კოკაინის ერთ აბს შეილზე მეტი ფასი აქვს.

ნარკომანია (მორფინიზმი, ჰაშიშიზმი და ტოქსიკომანიის სხვა სახეობანი)

გაპირობებულია სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებით. თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საქმე გვაქვს ზოგად სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის მიზეზებთან (სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პირობანი), ჩვენში იგი ინდივიდუალური მნიშვნელობისაა. უცხოეთში წამყვანი აზრი და მნიშვნელობა აქვს ე. წ. გედონიზმის პრინციპს, როდესაც მშობლები თუ სხვა პირები მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ადამიანის აზრს, მნიშვნელობას და დანიშნულებას შეადგენს გედონიზმი — სიამოვნების განცდა. შრომისა და მოვალეობის შესახებ წარმოდგენები მთლიანად ისპობა. ითრგუნება და ადამიანი მიმართავს ხელოვნურ საშუალებებს. რათა დაიკმაყოფილოს თავისი მდებარე სურვილები. პიროვნება ასეთ გადანაცვლება-ძიებაში ირჩევს ნარკომანიის გზას.

საუბედუროდ, ტოქსიკომანიური, კერძოდ, ნარკომანიული ბუნების ინტოქსიკაცია სულ სხვა ბიოლოგიური გზით მიდის: აქ დაცვითი შებრძოლების ნაცვლად წარმოიშობა მომწამვლელი ნივთიერების ორგანიზმში ხელახალი შეყვანის სურვილი და მოთხოვნილება. თანდათანობით იქმნება ადამიანისათვის ახალი ბიოფსიქოლოგიური მოდუსა (შხამის ხელახალი შეყვანის საჭიროება) და ვითარდება დაუძლეველი შეჩვევა. ადამიანი ხდება მავნე აგენტის ყოველგვარ კრიტიკას მოკლებული აბსოლუტური მონა, თუმცა მან კარგად იცის და სავსებით ესმის მომწამვლელი საწყისის გამანადგურებელი შედეგი. მას არ აშინებს ფიქრი, რომ მცირე დროის სიამოვნება ტრაგიკულ, გამანადგურებელ მომავალს უქადის.

ტოქსიკომანიური შეჩვევა — ეს არის ინდივიდუალური ინსტინქტურად განვითარებული ახალი ბიოფსიქიკური ნაჭდევის განვითარება, რომელიც ღებულობს მიძიმე და სერიოზული დაავადების სახეს თავისი ეტიოლოგიით, პათოგენეზით, მიმდინარეობით და პროგნოზით. მედიცინის მუშაკის ძირითადი მოვალეობა და ამოცანა ის არის, რომ დროზე გამოავლინოს პათოლოგიური შეჩვევის პერიოდი და მიიღოს ჭეშრვანი სამედიცინო და საზოგადოებრივი პროფილაქტიკური ზომები ავადმყოფობის დასაძლევად. საუბედუროდ, შეჩვევანი ორმხრივ მავნეა: ჯერ ერთი, შეჩვევა თანდათანობით ცვლის ავადმყოფობის ბიოფსიქიკურ გამძლეობას, ე. წ. ტოლერანტობას და იწვევს მიმღები მომწამვლელი დოზის სულ უფრო და უფრო მომატებას, და, მეორე, აღრმავებს ნარკოტიკული ნივთიერებისადმი მონურ დამორჩილებას. ამგვარად, ნარკოზული ნივთიერებებისადმი შეჩვევისა და ტოლერანტობის პრობლემა — ეს არის ნარკომანიის ძირითადი ღერძი, რომელიც საჭიროებს აქტიურ შებრძოლებას. ნარკოტიკული შხამის შეწყვეტა ავადმყოფის ორგანიზმში იწვევს შიმშილის გრძნობას, მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობას, ე. ი. იწვევს გარკვეულ სომატოფსიქიკურ სინდრომს აბსტინენციის სახელწოდებით.

შეჩვევა, ტოლერანტობა და აბსტინენცია წარმოადგენს სამ ძირითად ღერძთან პათოლოგიურ სინდრომს დამახასიათებელი კლინიკური შინაარსით და ბიოფსიქიკური წანამძღვრებით. ავადმყოფი მომწამვლელი ნივთიერების მიმართ იმყოფება ფიზიკურ და ფსიქიკურ დამოკიდებულებაში. ვიმეორებთ, შეჩვევა, ტოლერანტობა და აბსტინენცია შეადგენს ნარკომანიის კლინიკის თანაბრად მნიშვნელოვან სამ ძირითად საკვანძო პრობლემას.

შეჩვევას უსათუოდ ფსიქოლოგიური მექანიზმები უღვეს საფუძვლად. რამეა რომ შეჩვევის ესა თუ ის პირი, აუცილებელია ნივთიერების პირველადი ვასინჯვა, რასაც შესაძლოა ან სრულიად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს ან პი-

რობადებული იყოს სურვილით: იგემოს, შეიტყოს და განაცადოს მისთვის ახალი ნივთიერების თვისებები.

არ არის გამორიცხული შემთხვევითი ტოქსიკომანია (ნარკოტიკული ნივთიერების სამკურნალო მიზნით ხმარება, მისი მიღება ამხანაგების თხოვნით და ასე შემდეგ), მაგრამ მთავარი აქ სიახლის შეგარძნების სენსაციური სურვილია, რომელსაც განაპირობებს გედონისტური ძიება. იმავეთვე ადამიანის ეს განწყობილება, მოთხოვნილება თუ მოტივაცია პიროვნების ლაბილობის და სისუსტის მაჩვენებელია. მანკიერი პიროვნების მანკიერი ნაბიჯი ადვილად ფიქსირდება და იღებს განმეორების აუცილებელ ხასიათს. ხოლო თავის მხრივ განმეორება პიროვნებაში განამტკიცებს და აძლიერებს ფსიქოლოგიურ ნაჭდევეს, ასუსტებს მის მორალურ მოდუსს და ადამიანი მავნე ნივთიერების ბრმა მორჩილი ხდება, უფრო მეტიც, ხდება მისი უსიტყვო და უკრიტიკო მონა, ე. ი. ყალიბდება ფსიქოლოგიური დამოკიდებულების ვითარება.

ნარკომანიის დროს, მით უმეტეს შორსწასულ, ფესვგამდგარ შემთხვევებში, ავადმყოფის ორგანიზმში ხდება აგრეთვე ზოგადი ხასიათის სომატიური ცვლილებები, შეიმჩნევა ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები და ძვრები ნივთიერებათა ცვლის მხრივ. ეს მოვლენები განსაკუთრებულად უღერს ე. წ. აბსტინენციის მდგომარეობაში, როდესაც ავადმყოფი განიცდის განსაკუთრებულ მოთხოვნილებას ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიმართ. ფიზიკური მავნე აგენტი ღროთა ვითარებაში უნდა ამოიწუროს, ფსიქოლოგიური ასთენიური ნაჭდევი კი შესაძლოა ხანგრძლივად დარჩეს ადამიანის პიროვნებაში.

ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას საფუძვლად უდევს პათობიოლოგიური წანამძღვრები: ავადმყოფს უვითარდება ფიზიკური დამოკიდებულება. ეს ორი დამოკიდებულება შეადგენს ნარკომანიის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას. ამასთანავე ცხადია, რომ ფიზიკური დამოკიდებულების ჯეროვანი გაშიფრვა ფსიქოლოგიური დამოკიდებულების ბიოლოგიური წანამძღვრების საწინდარია.

უახლესი ექსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვებანი გვარწმუნებს, რომ ნარკომანია მიძიმედ მიძინარე დაავადებაა, რომელიც საბოლოოდ ფიზიკურად ანადგურებს ავადმყოფის ორგანიზმს და მთლიანად უსპობს პიროვნებას უმაღლეს სოციალურ-ფსიქოლოგიურ წარმოდგენებს ადამიანის მიზნისა და მოწოდების შესახებ. აღწერილია შემთხვევები, რომლებიც უფრო დამაჯერებლად გადმოგვცემს ნარკომანიისათვის დამახასიათებელ ფიზიკურ და ფსიკიკურ ცვლილებებს. ნარკომანის გარეგნობაც კი გვარწმუნებს, რომ ავადმყოფი კახექსიურია: ჩავარდნილი ლოყები, გაფითრებული სახე, შეცვლილი სიარული, ძილისა და მადის დაკარგვა, განსაკუთრებული სიგამხდრე, სრული სექსუალური ფრთხილობა, შეკრულობა, ქავილი, ნევრალგიური მოვლენები, გრძნობათა ორგანოების შესუსტება, მშრალი ენა, გაძლიერებული წყურვილი, კუჭში მარილმჟავის უქონლობა, ნაღვლის სეკრეციის შესუსტება. ხშირი ფურუნკულოზი და კანის ტურგორის დაქვეითება.

ნარკომანიის დროს ძირითადი ცვლა და აირცვლა დაქვეითებულია. სისხლში შაქარი მომატებულია. სისხლის ფორმულა იცვლება სხვადასხვა ეტაპის მიხედვით.

ფსიქიკური ძვრების მხრივ ხდება უპირველესად მორალური დეპრევა-

ცია: მოვალეობის წარმოდგენის სრული დაკარგვა, მიდრეკილება ბორცტმოქმედებისადმი (ხშირად ქურდობისადმი), მატყუარობა და ასე შემდეგ. ამ მხრივ სანტერესთა ძველი ავტორების მიერ ნარკომანთა ფაქიკური ვითარების კვალიფიკაცია. მხედველობაში გვაქვს ფორმულა, რომ ნარკომანი თავისი ფსიქო-ფიზიკური რაობით წარმოადგენს „ჩონჩხ-იდიოტს“. თანამედროვე ცოდნის თანახმად, აჯობებდა ერთი სიტყვის დამატება და მაშინ ფორმულა სემანტიკურად უფრო ზუსტი იქნებოდა, სახელდობრ: „ჩონჩხი-მორალური იდიოტი“. ვიმეორებთ სიტყვა „იდიოტი“ უნდა მივიღოთ სიმბოლურად, რადგანაც ცნებათა სიღარიბეა კი არ გულისხმობს, არამედ პიროვნების მორალურ დაქვეითებას. დღეს მთლიანად შეცვლილია ძველ ავტორთა შეხედულება, თითქოს ნარკომანის შეეძლოს ავადმყოფი მიიყვანოს ორგანული ტიპის ტოტალური ჭკუასუსტობის მდგომარეობამდე.

ს. ს. კორსაკოვის თანახმად, ნარკომანიის დროს ყურადღებას იპყრობს ფსიქიკური სფეროს მხრივ ზერელობა, მატყუარობა, განსაკუთრებით მორფიუმისა დოზის მომატებასთან ერთად, ზნეობრივი დაკნინება, ზოგადი ენერგიისა და ინტერესთა თვალსაჩინო შემცირება. უახლესი თანამედროვე დაკვირვებები უპირველეს ყოვლისა უფრო პიროვნების საერთო მორალურ დაკნინებას და სოციალურ-ფსიქოლოგიურ წარმოდგენათა მოსპობას გვიჩვენებს, ვიდრე გონებრივი აფეროს ცოდნისეულ შესაძლებლობათა ძვრებს.

ნარკომანის კარჩაკეტილობა და აქტიურ ინტერესთა სრული მოსპობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ეგოცენტრიზმი, ვინაიდან იგი თანაბრად განუზრუნველია აწმყოსა და მომავლისადმი. პიროვნების აღნიშნული ასე ვთქვათ შიზოიდიზაცია გაპირობებულა მორალური მოღუტის დაქვეითებით და შორეულ მომავალში მთლიანი დადამბლავებით. რაც შეეხება ნარკომანთა ე. წ. ემოციურ გულგრილობას, ეს თვისება უფრო სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნებისაა, ვინაიდან პირადად თავისი სურვილების დაკმაყოფილებაში ავადმყოფი შესამჩნევად მგრძნობიარე და სენსიტიურია.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ნარკომანიის დროს დაავადებას, როგორც წესი, მალავენ არა მარტო თვითონ ავადმყოფები, არამედ მათი მშობლები, ახლობლები. იქმნება სიტუაცია, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ფარულ ან მუნჯ ნარკომანიას და ამ დროს საჭიროა კომპლექსური ღონისძიებანი განხორციელდეს დაავადების გამოსავლენად. მაგრამ ნარკომანიის დროს (მორფინიზმი, პაშიშიზმი თუ სხვა ფორმები), დაავადების მსვლელობაში იქმნება ვითარება, როდესაც ვერც ავადმყოფი და ვერც ახლობლები ვერ მშვიდდებიან და აუცილებელი ხდება სამედიცინო ჩარევა, ზომების მიღება მდგომარეობის დასაძლევად. ასეთი კლინიკური მდგომარეობა ცნობილია აბსტინენციური სინდრომის სახელწოდებით, რომელიც ფიზიკური დამოკიდებულების ერთადერთი გამონახულებაა. ხოლო ფიზიკურ დამოკიდებულებასთან ერთად არ შეიძლება გამოირიცხოს ფსიქიკური დამოკიდებულების როლიც. პიროვნების გამძლეობა მთლიანად დაქვეითებულია და შებრძოლების უნარი აბსოლუტურად გამორიცხულია. აბსტინენციური სინდრომის დროს კლინიკური სურათი გულისხმობს ნარკოტიკული ნივთიერების (მორფიუმი, პაშიში და ასე შემდეგ) აღკვეთის გამო პრეპარატისადმი შიმშილის ვითარებას, რაც ბადებს დაუძლეველ მოთხოვნილებას. აბსტინენციის გამონახულება ნარკომანიის უტყუარი სადიაგნოზო ნიშანია. ამასთან ერთად აბსტინენციის გადამწყვეტი პათოგენეზური როლი და

მნიშვნელობა ენიჭება ნარკომანიული დაავადების განვითარება-ჩამოყალიბება-განმტკიცებაში. ამიტომ აბსტინენციის მოხსნა ყველაზე ძირითადი და ამავე დროს რთული ამოცანაა ნარკომანიის მკურნალობის საქმეში. აბსტინენცია განსაზღვრავს ნარკომანიულ შეჩვევას და ტოლერანტობას.

აბსტინენციური სინდრომი, ჩვეულებრივ, ვითარდება ყველა შემთხვევაში, როდესაც ნარკომანი არ მიიღებს მიჩვეულ ნარკოტიკულ საშუალებას. დაახლოებით 6-18 საათის შემდეგ იწყება მთელი რიგი მძიმე სომატური მოვლენები: ზოგადი სისუსტე, ტაქიკარდია, სუნთქვის გახშირება, გუგების გაფართოება, გულიარევა, პირღებინება, ფაღარათი. ზოგჯერ ტემპერატურის სუბფებრილური მომატება, ნერწყვის დენა, ცრემლის დენა, ცხვირციმინება, უძილობა. სუბიექტური შეგრძნებებიდან აღსანიშნავია: ტკივილი მთელ სხეულში, სახსრების ტკივილი, აქვს გუნება-განწყობის მკვეთრი დაქვეითება, გაღიზიანება, აგზნება გაბოროტებით და აგრესიით. აღწერილი აბსტინენციური სინდრომი ჩვეულებრივ რამდენიმე დღეს გრძელდება, ხოლო 10-12 დღის შემდეგ გაივლის. შესაძლებელია ხანგრძლივად დარჩეს უსიამოვნო შეგრძნებები, ძილის მოშლა, გუნება-განწყობილების დაქვეითება. ეს კი განაპირობებს ლტოლვას მიტოვებულ ნარკოტიკული საშუალებებისადმი.

მორფით გამოწვეული ფსიქოზი არ არსებობს, ხოლო ის ფსიქოზური მდგომარეობანი, რომლებიც ზოგჯერ აღენიშნებათ მორფინისტებს, გამოწვეულია სხვა პრეპარატების მოქმედებით, ძირითადად, ბარბიტურატებით, ვინაიდან მორფინისტები მკვეთრად გამოხატული უძილობის გამო ამ პრეპარატებს მზარდი დოზებით იღებენ. ისინი შვებას ეძებენ აგრეთვე სხვა საშუალებებში (ალკოჰოლი, ქლორალჰიდრატი და ა. შ.), რომელთაც თავისთავად შეუძლიათ მწვავე ინტოქსიკაციური ფსიქოზების გამოწვევა.

როგორც ითქვა, ნარკომანიის შემთხვევაში, როდესაც უკვე განვითარებულია ფიზიკური და ფსიქიკური დამოკიდებულება, ნარკოტიკული ნივთიერების მოხსნა იძლევა აბსტინენციურ სინდრომს. ამ სინდრომს ძლიერ სუსტად („წაშლილად“) განიცდის ჩამოყალიბებული ნარკომანი მისთვის ჩვეულებრივ დროში პრეპარატის მიღების წინ.

აბსტინენციურ სინდრომში ჩართულია ადამიანის ორგანიზმის თითქმის ყველა სისტემა და ორგანო. სუნთქვა, გულისხლოძარღვოვანი სისტემა: კუჭ-ნაწლავთა ტრაქტი და ენდოკრინული აპარატი. მათი მოქმედება ზიანდება და მნიშვნელოვნად იცვლება. 16-20 საათის შემდეგ უპირველეს რიგში ვითარდება ჯირკვალთა ჰიპერსეკრეცია. ამას მოსდევს ცემინება, სურდო, ხველა, ცრემლისდენა, ოფლიანობის მომატება და ნაწლავთა პერისტალტიკის გაძლიერება. ეს მოვლენები მაქსიმალურ დონეს აღწევს 4-5 დღის შემდეგ, რასაც მოსდევს უმადობა, ჭამის აკრძალვა. ზოგჯერ პირღებინება და ზოგადი ტკივილის შეგრძნებანი, განსაკუთრებით სახსრებში, პატულობს შარდის დიურტი რამდენობა. ფსიქიკური სტრუქტურის მხრივ ყურადღებას იპყრობს ასთენია და დამოკიდებულების აზრები, რომლებმაც შეიძლება მიიღოს გამოკვეთილი ბოღვის ხასიათი დეპრესიული გამოთქმებით. ასთენო-დეპრესიული სინდრომის გარდა შეიძლება განვითარდეს ექსპლოზიურ-ჰიპომანიაკალური მდგომარეობანი.

ნარკომანიის დაავადებაში ყველაზე რთული და ჰშიმეა რეციდივის საკითხი. განკურნებული ავადმყოფი, რაშიც თითქოს დარწმუნებულია როგორც ექიმი, ასევე პაციენტი, საკმაოდ ხშირად, სულ მოკლე დროის შემდეგ სრულიად

უმნიშვნელო და უსაბუთო მიზეზით, საუბედუროდ, ისევ უბრუნდება პათოლოგიურ ლტოლვას და მასში ხელახლა იღვიძებს ნარკოტიკებისადმი ფიზიკური და ფსიქიკური დამოკიდებულება. ვითარდება მისთვის დაუძლეველი აბსტინენციის სინდრომი.

სხვადასხვა, მათ შორის ფსიქოფიზიკური, ფაქტორის განხილვისას ყველაზე დიდ ყურადღებას იპყრობს ალკოჰოლის როლი და მონაწილეობა ნარკომანიის რეციდივში, თუმცა ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის პათოგენეზური მექანიზმები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამ ორი სენის გამოვლენაში, მკურნალობაში, პროფილაქტიკაში და რეციდივთან ბრძოლაში სპირტიანი სასმელი წამყვან როლს ასრულებს. თანამედროვე კლინიკური, ექსპერიმენტული და კლინიკურ-ბიოლოგიური მონაცემებით, ჩამოყალიბებულ ნარკომანთა ვანკურნება წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც პრაქტიკული ცნება: არსებითად, ავადმყოფი მხოლოდ რემისიის ვითარებაშია, როდესაც მთელი ამისი სიცოცხლის მანძილზე არ შეიძლება გამოირიცხოს რეციდივი.

ყოველი ფორმის ნარკომანიის დიაგნოსტიკა კიდევ უფრო მწიფდება იმის გამო, რომ ყოველი ავადმყოფი პიროვნული დეპრევიაციის შედეგად, ჩვეულებრივ, თვითონ კატეგორიულად გაუბრძნობს შეებრძოლოს პირად მანკს. იგი მალავს საკუთარ უბედურებას. დისიმულაციისა და სხვა მრავალი შენიღბული გზით ცდილობს დაფაროს სენი და თავისი ნება-სურვილით ექიმს არ მიმართავს.

ფაქტობრივად ნარკომანის ნებაყოფლობით მკურნალობას გარკვეულად იძულებითი ხასიათი აქვს. ცნება „იძულებითი“ შენაარაობრივად სამი მხრივ არის გამართლებული. სახელდობრ: 1. ავადმყოფი სტაციონარში იძულებით მიჰყავთ მშობლებს, ახლობლებს ან ადმინისტრაციულ ორგანოებს; 2. აბსტინენციის მძიმე განცდების მოლოდინში, როდესაც ავადმყოფისათვის აბსოლუტურად გამოირიცხულია ნარკოტიკულ პრეპარატთა შოვნა, იგი იმედგაცრუებული, გაჭირვებული შეიძლება „იძულებით“ წავიდეს ნარკოლოგიურ სტაციონარში დახმარების მისაღებად: და, ბოლოს, 3. თვით სტაციონარული მკურნალობის პროცესი დაკავშირებულია „იძულების“ მრავალ მომენტთან. რათა ავადმყოფი ფსიქოლოგიურად „გატეხონ“ და დაუმორჩილონ მკურნალობის რეჟიმს. არ არის მართებული შეხედულება, თითქოს თვითონ სემანტიკა სიტყვისა „იძულებითი“ იმთავითვე განსაზღვრავდეს ნარკომანთა რეაქციას, ქცევას, მოქმედებას და მოთხოვნილებათა მოტივაციას, განსაზღვრავს, ასე ვთქვათ, ნარკომანულ კონსპირაციას. ასეთი ვითარების წამყვან ლერძს შეადგენს პიროვნების დაქვეითება, მისი მორალური დეპრევიაცია. როგორც წესი, ოპიუმით გამოწვეული ნარკომანიის მკურნალობაში არჩევენ სამ პერიოდს: პირველი პერიოდის ძირითადი ამოცანა გულისხმობს პრეპარატის შეწყვეტას და ამის შემდეგ გამოწვეული აბსტინენციური სინდრომის დათრგუნვას. მეორე პერიოდში ყურადღება მიჰყრობილია იმისადმი, რომ მოისპოს ქრონიკული ინტოქსიკაციის შედეგად ორგანიზმში განვითარებული ძვრები და თანდათანობით აღდგენილ იქნეს ავადმყოფის ფსიქო-ფიზიკურ ძალთა შესაძლებლობანი. მესამე პერიოდში ზრუნვა იმისათვის არის მიმართული, რომ განმტკიცდეს მკურნალობით მიღებული დადებითი შედეგები. ამასთან ერთად საჭიროა გამრავლდეს და გაძლიერდეს ავადმყოფის წარმოდგენები შრომაზე, მოვალეობაზე და ზნეობრივ სიფაქიზზე.

პირველი ორი პერიოდი ჩვეულებრივად ტარდება ნარკოლოგიურ სტაციონარში.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ პიროვნების დაქვეითების გამო ნარკომანთა მხრივ მკურნალობის დროს მოსალოდნელია ყოველგვარი მიუღებელი და მორალურად გაუმართლებელი საქციელი, ამიტომ არ არის სასურველი საავადმყოფოს პალატაში ერთად იყოს ორ ავადმყოფზე მეტი.

პრეპარატის აბორტული შეწყვეტით გამოწვეული აბსტინენციის დროს შესაძლოა განვითარდეს ასთენო-დეპრესიული და დეპრესიული მდგომარეობანი, ზოგჯერ მკვეთრი აუტიაციით. ამის გამოვლენა ექიმისაგან მოითხოვს გარკვეულ ტაქტს მწვავე სურათის მოხსნაში, ხოლო მომვლელი პერსონალის მხრივ — სიფრთხილესა და ჰუმანიზმს, რადგანაც ასეთ ვითარებაში არ არის გამორიცხული თვითმკვლელობის ცდა. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში კლინიკურად გააზრებული პრეპარატის თანდათანობითი შეწყვეტა უახლესი მასალების მიხედვით უფრო ნაჩვენებია. მკურნალობის ხსენებული გზა უფრო მეტად განაწყობს ავადმყოფებს, რომ თავისი სურვილით ან დასტურით მიმართონ სამკურნალო დაწესებულებას.

ნარკომანთა თავისი მიზეზითა და მკურნალობით სოციალურ-ფსიქოლოგიური და სამედიცინო-სოციალური პრობლემაა. ამიტომ მასთან ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს ორი მიმართულებით, სახელდობრ: ფსიქოლოგიური ეკოლოგიის გარემო ინდივიდუალური ვითარების გაუქმებით (ოჯახური ანუ ეგროტოფ-სიქოლოგია) და წმინდა სამედიცინო ღონისძიებებით. სამედიცინო თერაპიის დროსაც წამყვანი როლი განეკუთვნება ფსიქოლოგიურ ვექტორს, მხედველობაში გვაქვს ფსიქოთერაპია, არტთერაპია (ხელოვნების სხვადასხვა სახე, ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა-მელოთერაპია, ბიბლიოთერაპია და სხვა). ყველაზე დიდი ყურადღების ღირსი კი ერგო ანუ შრომა-თერაპიას. სიტყვიერ გავლენას აქვს თავისი ძალა და სიმტკიცე, მაგრამ რადგანაც ნარკომანი იმთავითვე პიროვნულად გამრუდებულია და დაქვეითებული, სამკურნალო პასიური საუბრები და პასიური ჰიპნოზური ზეგავლენა ნაკლებ შედეგაწინაა. ავადმყოფთან უფრო საჭიროა მტკიცე ავტორიტეტული, დამაჯერებელი, გამამხნევებელი და ლოგიკურად დასაბუთებული კლინიკური საუბრები. მხედველობაში გვაქვს ეგო — ანუ პერსონალოგიური ფსიქოთერაპიის გამოყენება. საუბრების დროს და ზოგადი რეჟიმის შერჩევა-დანისვნაში ექიმების მხრივ ყველგან და ყოველთვის საჭიროა სიმტკიცე. მაგრამ ნარკომანთა მკურნალობისას ეს სიმტკიცე კიდევ უფრო აუცილებელია. აქ უნდა გვახსოვდეს თ. დოსტოევსკის დებულება, რომ თუ ადამიანი იჩენს გულგრილობასა და სირბილეს ბოროტების მიმართ, იგი ამით უეჭველად ხელს უწყობს ბოროტებას.

თავისთავად ცხადია, რომ ნარკომანის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა მისი პროფილაქტიკა, რაც გულისხმობს იმ სოციალურ ფენომენთა შესწავლასა და სწორ რეგულირებას, რომლებიც ხელს უწყობს ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ვავრცელებას.



მოაზროვნება და ყაიკათიანობა ღრმის მოთხოვნა

ლ. მუთათილაძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

სკკ XXVI ყრილობამ განსაზღვრა, რომ მეთერთმეტე ხუთწლიდის მთავარი ანოცანა სახალხო მეურნეობის მყარი განვითარება, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ინტენსიურ გზაზე ეკონომიკის გადარსება, ქვეყნის საწარმოო პოტენციალის უფრო რაციონალური გამოყენება. ნედლეულის და ყველა სხვა რესურსის მომჭირნეობა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

ქვე კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა ეკონომიკის და მომჭირნეობის მნიშვნელობას მეურნეობის სოციალისტური სისტემისათვის, წერდა, რომ „კომუნისმი იწყება იქ, სადაც ჩნდება უბრალო მუშების თავგანწირული, მძიმე შრომის დამძღვევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, თვითეული ფული პურის, ქვანახშირის, რკინისა და სხვა პროდუქტების დაცვაზე“¹. დღეს, როცა ასეთი გლობალური ხასიათი მიენიჭა ეკონომიკის და მომჭირნეობისათვის ბრძოლას, დიდი ბეჭადის სიტყვები განსაკუთრებულ ძალას იძენს. როგორც სკკ XXV ყრილობაზე ითქვა, საზოგადოების დოვლათის განუწყვეტელი ზრდის პირობებშიც ყაიკათიანობა და მომჭირნეობა ეკონომიკის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს პირობად რჩება².

სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპის განმასხვავებელი ნიშანია ეკონომიკის გადარსება ინტენსიური განვითარების რელსებზე. წინა ხუთწლიდებში პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის წარმატებით განხორციელებამ შექმნა ინტენსიური ფაქტორების მძლავრი ამოქმედების შესაძლებლობა. მაგრამ ნედლეულის მოპოვება სულ უფრო რთულდება. მომპოვებელი მრეწველობის ძირითადი ცენტრების გადარსებას ქვეყნის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთში გამოიწვია მისი გაძვირება. ეკონომიკის ინტენსიური განვითარებისათვის კი აუცილებელია ამის გათვალისწინება. აგრეთვე ახლანდელი არახელსაყრელი დემოგრაფიული სიტუაციის, გარემოს დაცვისათვის გაწეული ხარჯების გარდაუვალი ზრდის და მთელი რაგის სხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების დაძლევა.

ამიტომ არის, რომ დღეს უფრო ვიდრე ოდესმე, საგანგებო ყურადღება ექცევა შრომისა და მატერიალური რესურსების მომჭირნე ხარჯვას, უყაიკათიანობისა და მფლანგველობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ შეურიგებელ, უკომპრომისო ბრძოლას.

მომჭირნეობისა და ყაიკათიანობის პრობლემებს დიდი ადგილი დაუთმეს თავის სიტყვაში სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 1981 წლის ნოემბრის პლენუმზე. სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმზე. ამ პლენუმებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლიდის გეგმებისა და დავალებების მთლიანად შესრულება წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი, საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის განუმტკიცებლად, უმკაცრესი მომჭირნეობის და ეკონომიკის რეჟიმის განუხორციელებლად.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი აკისრია სამართლებრივ საშუალებებს. საბჭოთა კანონი მტკიცედ იცავს ხალხის ქონებას, მოითხოვს მზრუნველ დამოკიდებულებას სახალ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 499-500.

² სკკ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1978, გვ. 81.



ხო დოვლათისადმი. მკაცრ სასჯელებს აწესებს სოციალისტური საკუთრების ხელყოფისათვის, მისდამი დანაშაულებრივი, დაუდევარი დამოკიდებულებისათვის.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პროკურორის აქტიურ ჩარევას შეუძლია დროულად აღვეთოს უყიარათობისა და მფლანგველობის უყოველგვარი გამოვლინება. ეს კი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება ორგანიზებული შემოწმება, რამდენად სრულ ინფორმაციას მიიღებს პროკურორი კანონიერების დაცვის მდგომარეობის შესახებ, გამოიჩენს თუ არა ოპერატიულობას და მიზანსწრაფულობას. ამას წინათ რესპუბლიკის პროკურატურამ შეამოწმა, თუ როგორ სრულდება კანონმდებლობა სახალხო მეურნეობაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უიარაოანი ხარჯვის შესახებ. შემოწმებამ, რომელიც მოეწყო სახალხო კონტროლის, შინაგან საქმეთა და სხვა ორგანოებთან ერთად, გამოავლინა კანონმდებლობის უხეში დარღვევის, ელექტროენერჯის, სათბობის და სხვა რესურსების მფლანგველური და უყიარაო ხარჯვის მრავალრიცხოვანი ფაქტი. ამ შემოწმებათა მასალებზე პროკურორების მიერ სახალხო სასამართლოებში აღიძრა 534 სარჩელი, რომელთა საერთო თანხა 270.000 მანეთს აღმატება. კანონების დარღვევის ხელშემწყობი პირობებისა და გარემოებების აღმოფხვრის მიზნით ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში შეტანილია 100-ზე მეტი ინფორმაცია, წარდგინება და პროტესტი, აღიძრა 19 სისხლის სამართლის საქმე.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ საქმთავარენერგოს ენერგო-ზედამხედველობის სარაიონაშორისო განყოფილებები და უბნები არ ახორციელებენ სათანადო კონტროლს ელექტროენერჯის მომჭირნე და რაციონალური ხარჯვისადმი, არ იღებენ კანონით გათვალისწინებულ ზომებს იმ პირების და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ფლანგავენ ენერჯას, არ იხდიან მის ღირებულებას. მაგალითად, 1 ნოემბრისათვის, ახალქალაქის რაიონში 2,300 აბონენტს გადახდილი არ ჰქონდა ბოლო სამი წლის მანძილზე დახარჯული ენერჯის ღირებულება. რაიონის 28 კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან ელექტრომომრიცხველი აქვს მხოლოდ ოთხს, ამიტომ გამოყენებული ენერჯის გამოანგარაშება მიახლოებით ხდება.

მარნეულის რაიონის სახალხო მეურნეობის 20 ობიექტს დღემდე არა აქვს დაყენებული ელექტრომომრიცხველები.

ხოების სარეალიზაციო უბნის კონტროლიორი, ამჟამად მსჯავრდადებული დ. თუნთია, რომელიც სარგებლობდა უკონტროლობით, ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას, სისტემატურად ითვისებდა მოსახლეობიდან აკრეფილ თანხას. ამ გზით მან დაიტაცა 3.394 მანეთი.

სათანადო წესრიგი არ არის დამყარებული სათბობი რესურსების შენახვასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაში, რაც ქმნის რეალურ პირობებს მათი უყიარათო და მფლანგველური ხარჯვისათვის, მითვისებისა და დატაცებისათვის.

1980 წლის 31 დეკემბერს სახელმწიფო დაწვევის ბორჯომის რაიონული ინსპექციის უფროსმა ვ. გელაშვილმა სამსახურებრივი ავტომანქანისა და მოტოციკლისათვის ლიმიტით გამოყოფილი 3.800 ლიტრი ბენზინი, რომლის ღირებულება შეადგენს 710 მანეთს, ჩამოწერა, როგორც დახარჯული. ვ. გელაშვილს მხედველობიდან „გამორჩა“, რომ როგორც ავტომანქანა, ასევე მოტოციკლი მთელი 1980 წელი დაყენებული იყო რემონტზე.

გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობაში მოკალათებულმა დამნაშავეთა ორგანიზებულმა ჯგუფმა (სულ 19 კაცი) დაიტაცა 52.621 მანეთის ბენზინი. დამნაშავენი მალე წარდგებიან აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წინაშე.

ბორჯომის რაიონის პროკურატურამ სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა გ. გასიშვილი. დადგენილია, რომ მან გამოძიებით დაუდგენელი პირებისაგან შეიძინა 40 ათასი მანეთის 93-ა მარკის ბენზინის ყალბი ტალონები. შემდეგ გ. გასიშვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა „ცეკავშირის“ ახალციხის № 1 ავტოკოლონის უფროსს ი. შაყულაშვილს, რომელსაც 1000 მანეთად მიჰყიდა 10 ათასი ლიტრის ყალბი ბენზინის ტალონები. ი. შაყულაშვილი თავის მხრივ ყალბ ტალონებს არტყამდა გაუქმებული ორგანიზაციის ძველ შტამებს და აძლევდა ავტოკოლონის მძღოლებს, ხლო იმავე რაოდენობის საბაზრო ტალონებს იტაცებდა. ი. შაყულაშვილმა 4.360 ლიტრი ყალბი ბენზინის ტალონების უკანონო რეალიზაციით შეძლო დატაცებინა 2.740 მანეთი. გ. გასიშვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა აგრეთვე ბორჯომის ავტოგასამართი სადგურის ოპერატორს ვ. გელაშვილს, რომელსაც ნახევარ ფასად — 1000 მანეთად მიჰყიდა 10 ათასი ლიტრი ბენზინის ყალბი ტალონები. ამ უკანასკნელმა მოასწრო 1.420 ლიტრი ბენზინის ყალბი ტა-

ლოხების რეალიზაცია. დამნაშავენი საკადრისად დაისაჯენ. სახელმწიფოს მთლიანად აუნაზღაურ-
და მიუენებული მატერიალური ზარალი.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში სარეზერვუარო და სანედლეულო-სასაქონლო
ბაზების, ნიღდაუენილობისა და საწმენდ ნაგებობათა ტექნიკური გაუმართაობის მიზეზით წე-
ლიწადნი იკარგება: 24 ათასი ტონა, ხოლო ზღვას უტრთდება 500 ტონაზე მეტი ნავთობპრო-
დუქტი. უწყყოფოდ იკარგება მთელი გამოამუშავებული თბოენერჯის 13 პროცენტზე მეტი
და კანალიზაციაში ჩადენილი 400 ათასი ტონაზე მეტი კონდესატი. მარტო ცისტერნებიდან გად-
მოსხმისას იკარგება 10 პროცენტამდე ნავთობპროდუქტი.

მთელ რიგ სამრეწველო საწარმებს. სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებს წლების მან-
ძილზე ერიცხება დიდძალი ზენორმატიული და გამოუყენებელი სასაქონლო მატერიალური
ფასეულობა. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ბზიფის ექსპერიმენ-
ტულ სახსამენებელ კომბინატს მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის ერიცხებოდა მილიონ 223
ათასი მანეთის მასალების ზენორმატიული ნაშთი. „ინჟუმენის“ ტრესტში მიმდინარე წლის პირ-
ველ ნახევარში შემოწმებით გამოვლინდა მილიონი მანეთის ზენორმატიული და გამოუენებელი
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა.

დამაქაყოფილებლად არ წარმოებს ზრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ სოფლის მეურ-
ნეობაში. მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, დიდია მატერიალურ ფასეულობათა გაფუჭებით და
სხვა ზენორმატიული დანაკარგებით მიუენებული ზარალი. ზოგან ელემენტარული წესრიგი
არ არის დამყარებული ფასეულობათა აღრიცხვა-ანგარიშგებაში. რითაც ექმნება უყირათობისა
და მფლანგველობის, დატაცებისა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენის რეალური პირობები. აი
ამის რამდენიმე მაგალითი.

ლილოს კარტოფილისა და ხილობსტნეულის შენახვის, გადამამუშავების და რეალიზაციის
კომბინატში წლების მანძილზე სრული ქაოსი იყო მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა-ან-
გარიშგებაში. კარტოფილის, ხახვის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შენახვის და
გადამამუშავების წესები სისტემატურად უხეშად ირღვეოდა. მარტო 1979 წელს სოფლის მეურ-
ნეობის პროდუქტების ზენორმატიული გაფუჭებით მიუენებულმა ზარალმა მილიონ 120.000
მანეთს გადააქარბა.

კომბინატში სრულიად არ ექცეოდა ყურადღება დანადგარებისა და მოწყობილობის შენახ-
ვა-ექსპლოატაციას. ბულგარეთიდან მიღებული 56 ელექტრომტორთავიდან ცუდი მოვლა-პარ-
რონობის შედეგად ცხრაშეტი — წელიწად-ნახევარში გამოვიდა მწყობრიდან (ექსპლოატაციის
ვალა კი 5 წელია). შემდეგ მათ ნაწილები მოხსნეს და შეუარეს კარტოფილის საცავ კამერებში.
ექსპლოატაციისა და შენახვის წესების უხეში დარღვევების გამო ასევე ნაადრევად გამოვიდა
მწყობრიდან სამამულო წარმოების 23 ელექტროდანადგარი და სხვა. დამნაშავენი მიცემული
არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

წითელწყაროს რაიონის ზემო მახანანის კოლმეურნეობაში უმეტევალყურედ მიტოვებული
კოსტრომული ჯიშის მაღალპროდუქტიული მეწველი ძროხები შევიდნენ ნაწვერალზე დათბაღ
სინინდში, რომელიც სიმწიფის სტადიაში იყო, ჰამეს ოგი უზომოდ. რამაც გამოიწვია შიშვე სა-
სიკვდილო დაავადების სწრაფი განვითარება. ამის გამო იძულებით დაიკლა 32 სული მაღალ-
პროდუქტიული მეწველი ძროხა.

დანაშაულის ამ ფაქტის გამო მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს წითელწყაროს რაიონის
პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. დამნაშავე-
ები მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეციტრუსეობის რესპუბლიკურმა
გაერთიანებამ 1980 წლის ბალანსიდან უყანონოდ ჩამოწერა მუიდველებისათვის გადატვირთუ-
ლი პროდუქციის გამო მიღებული საპრეტენზო თანხა — 879 ათასი მანეთი.

ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ცუდი მოვლა-შენახვის გამო გაფუჭდა და ზა-
რალად ჩამოიწერა ვაშლის, ბლის და მსხლის ღირებულება — 106 ათასი მანეთი.

რესპუბლიკაში ერთი ტონა ბოსტნეულის რეალიზაციიდან სავაქრო ორგანიზაციების ზა-
რალი და დანაკარგები 1980 წელს 1972 წელთან შედარებით ექვსჯერ გაიზარდა. შესაბამისად
თუ 1972 წელს ერთი ტონა ბოსტნეულის რეალიზაციიდან მიღებული იყო 18 მანეთის ზა-
რალი, 1979 წელს მან 108 მანეთს მიაღწია.

ახალქალაქის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარე
წლის კარტოფილის ახალი მოსავლის აღების პერიოდში დანაკარგებმა მთელი მოსავლის 25-30,
ხოლო ზოგან 50 პროცენტიც კი შეადგინა.



რესპუბლიკის პროკურატურა ჩვენს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან უოველდღიურად იღებს წერილებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, ადგილობრივი, კვების მრეწველობის სამინისტროების, „საქჩაისის“, „სამტრესტის“ რესპუბლიკური გაერთიანებების, საკავშირო დაქვემდებარების მთელი რიგი საწარმოების მიერ სახელშეკრულებო დისციპლინის უხეში დარღვევების გამო. მათი ანალიზი და საერთო ზედამხედველობის წესით მოწუბილი შემოწმებები გვიჩვენებს, რომ ბევრი საწარმო კოლოსალურ ზარალს განიცდის საფონდო დისციპლინის დარღვევის, უხარისხო, არასტანდარტული და ტექნიკურ პირობებთან შეუსაბამო პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდების, აგრეთვე სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად. მართო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის საწარმოებმა მიიღეს 6.830 პროცენზია. საპროცენტზიო თანხები აღმატება 64 მილიონ მანეთს. პროდუქციის მიუწოდებლობისათვის ჯარიმის სახით გადახდილია 16 მილიონ მანეთზე მეტი.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, 1950 წელს რესპუბლიკიდან საკავშირო ფონდში გადატვირთული საადრეო კომბოსტოს პროდუქციიდან წუნდებული აღმოჩნდა 4,6 ათასი ტონა ანუ მთლიანი პროდუქციის 20 პროცენტი, 0,5 ათასი ტონა ანუ 21 პროცენტი კიტრი. უფრო მეტიც, კალინინის ოლქში გადატვირთული კომბოსტოს პროდუქციიდან დაწუნებულია 29 პროცენტი, ხოლო გორკის ოლქში 45 პროცენტი.

ჯერ კიდევ არის კუთხური, ვიწროუწყებრივი მიდგომა ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი. მაგალითად, განა შეიძლება გამართლება მოვუძებნოთ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის ხელმძღვანელების (დირექტორი — ა. ბალათური) საქციელს, რომლებმაც მართო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უკრაინის სსრ სავაჭრო ორგანიზაციებს დააკლეს 260 ათასი მანეთის ფონდირებული საქონელი, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში „თბილისმრეწვეპრობას“, სამტრედიისა და ცხაკაიას ქალაქვაჭრობებს, ენგურჭების მუშათა მომარაგების განყოფილებას ფონდის ვადამეტებით მიაწოდეს 274 ათასი მანეთის იგივე პროდუქცია. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით კომბინატს ჯარიმის სახით სრულად სამართლიანად დაეკისრა ფონდის ვადამეტებით გაცემული პროდუქციის მთელი ღირებულების გადახდა. მკაცრად, მაგრამ სამართლიანად დაისაჯა კომბინატი. მაგრამ საკადრისად, პერსონალურად უნდა დაისაჯონ კომბინატის ხელმძღვანელებიც, რომლებიც აბუჩად იგდებენ კანონს და, ვინ იცის, რა მოსაზრებით არიან ასეთი გულუხვი რესპუბლიკის ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის მიმართ.

ამჟამად რესპუბლიკის პროკურატურა დეტალურად ამოწმებს მასალებს. შედეგების მიხედვით გადაწყდება დანაშაულის ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი.

უუარათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული სამინისტროების, გაერთიანებებისა და საწარმოების იურიდიული განყოფილებების, ჯგუფებისა და იურიცკონსულტების გამართულ მუშაობაზე. იურიდიული სამსახურის მუშაკი მოვალეა დრმად ერკვეოდეს სამეურნეო ურთიერთობებში. ეფექტიანად იყენებდეს სამართლებრივ საშუალებებს უუარათობისა და მფლანგველობისთან ბრძოლაში. მაგრამ დასაძალი არ არის, რომ ზოგიერთ საწარმოში, გაერთიანებასა და სამინისტროშიც კი იურიცხის როლი დაკნინებულია და, ცხადია, კანონიც მთლიანად არ არის გამოყენებული სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

მაიკოვსკის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სარევიზიო ჯგუფი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უოველწლიურად ავლენს ცუდი მოვლა-პატრონობის და დაუდევრობის შედეგად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გაწყდომის მრავალ ფაქტს. რევიზიის აქტები განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა და სათანადო გადაწყვეტილებებიც მიღებულია. მაგრამ არც სარევიზიო ჯგუფს და არც სოფლის მეურნეობის სამმართველოს ორ იურიცკონსულტს აზრადაც არ მოსვლია დაედგინათ პირუტყვის გაწყდომაში კონკრეტულად დამნაშავე პირები და მათ მიმართ სახალხო სასამართლოში შეეტანათ სარჩელი საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით.

ანალოგიური მდგომარეობა რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა რაიონის, სოფლის მეურნეობის სამმართველოსა და გაერთიანებაში.

იშვიათად იყენებენ მატერიალურ სანქციებს იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ცუდი ხარისხის, არასტანდარტული და წუნდებული პროდუქციის გამოშვებასა და რეალიზაციაში, პროდუქციის მოუწოდებლობაში, სახელშეკრულებო დისციპლინის სხვა დარღვევებში.

დევნებში. ასევე არადაამკაცყოფილებელია დებიტორულ დავალიანებათა გადასახდელად გაწეული მუშაობაც.

მატერიალური რესურსების და ფინანსების ეკონომია საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. წარმოების ეფექტიანობაზე დიდ გავლენას ახდენს შრომის დისციპლინის ფაქტორი.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში შრომის დისციპლინის განმტკიცება, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება, მუშაკთა დენადობის შემცირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მაღალორგანიზებულ და განვითარებულ წარმოების პირობებში სამუშაო დროის დანაკარგები ახლა ბევრად უფრო უპრყოფით გავლენას ახდენს წარმოების პროცესების რიტმულ მუშაობაზე, ვიდრე წინათ. „მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა ვიქონიოთ შრომის დისციპლინასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, არ უნდა დავუშვათ სულ მცირე ფორმალური დამოკიდებულებაც კი ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემისადმი. თანამედროვე საზოგადოებრივ წარმოებაში, რომელიც აქტუალურია მოწინავე ტექნიკით, განსაკუთრებით გაიზარდა შრომის დისციპლინის როლი. ახლა მოცდენას, არაკეთილსინდისიერებას და შეცდომებს სულ სხვა ფასი აქვს. ერთთა, ვთქვათ, ნიჩბიანი ადამიანის ნახევარსაათიანი მოცდენა და სულ სხვა რამეა ნახევარსაათიანი მოცდენა კაცისა, რომელიც მუშაობს მძლავრი ექსპავატორით, კომბაინით, კოშკურა ამწეთი. ეს სულ სხვადასხვა რამაა“³.

ბოლო ხანს პროკურატურის ორგანოები პროფკავშირებთან, საბჭოების კომისიებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად დიდ და მრავალმხრივ საქმიანობას ეწევიან შრომის კანონმდებლობის, კერძოდ, შრომის დისციპლინის შესახებ კანონების შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გასაძლიერებლად. განსაკუთრებით გააქტიურდა ეს მუშაობა „სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი გაუმჯობესების და კადრების დენადობის შემცირების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის ცნობილი დადგენილების შემდეგ.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ამ სფეროში კანონიერების განუხრეულ დაცვას. საჭარბისა ითქვას, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პროკურატურის ორგანოებმა გამოავლინეს და გააუქმეს სამი ათასზე მეტი უკანონო სამართლებრივი აქტი, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელყოფდა მუშა-მოსამსახურეთა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. რესპუბლიკის პროკურორის ინფორმაციათა და წარდგინებათა საფუძველზე შრომის კანონმდებლობისა და შრომის დისციპლინის დაცვის ყველაზე აქტუალურ და მტკიცებულ საკითხებზე მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიებისა და რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური დადგენილებები. ამ საკითხებს მიეძღვნა ბევრი საგაზეთო სტატია, რადიო და ტელეგადაცემა.

რესპუბლიკის პროფსაბჭოსთან ერთად შემუშავებულია ერთობლივ მოქმედებათა გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში შრომის დისციპლინის დაცვის მდგომარეობის შესწავლას და გამოვლენილი დარღვევების აღსაკვეთად კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის საწარმოებში არსებითად გაუმჯობესდა შრომის დისციპლინის დაცვა, მდგომარეობა მაინც დამაფიქრებელია.

განსაკუთრებით დიდია სამუშაო დროის დანაკარგები რესპუბლიკის მრეწველობაში. იგი 1.4-ჯერ აღემატება საკავშირო მაჩვენებლებს. განსაკუთრებით არადაამკაცყოფილებელი მდგომარეობა ამ მხრივ ადგილობრივი, მსუბუქი, საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროების საწარმოებში, საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთ საწარმოსა და გაერთიანებაში.

რესპუბლიკის მრეწველობაში მარტო მიმდინარე წლის ცნხა თვეში სამუშაო დატოვა 73.000-ზე მეტმა კაცმა, მათ შორის 66.770 მუშამ. ამავე პერიოდში შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სამუშაოდან დაითხოვეს 5.484 მუშა.

კანონი მკაცრად სჯის მუქთაზორებს, პარაზიტებს, ზარმაცებს, ლოთებს, წუნისმკეთებლებს. მაგრამ კანონის ძალას ყველგან უნარიანად არ იყენებენ შრომის უხეირო ორგანიზაციის გამოსწორებისათვის, უნიათობისა და დაუდევრობის წინააღმდეგ, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ხშირად საწარმოთა ხელმძღვანელები მუშებსა და მოსამსახურეებს სამუშაოდან ითხოვენ სუბიექტური შეხედულებების გამო ან ისეთი მოტივებით, რომლებიც კანონით არ არის

³ ლ. ი. ბრეჟნევი, ლენინური კურსით, სიტყვები და სტატეები, ტ. 4, გვ. 316.



გათვალისწინებული, რაც ცხადია, უარყოფითად მოქმედებს შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აბაშის საქსოვი ფაბრიკის დირექტორმა გახელაშვილმა სამუშაოდან დაითხოვა ქარგალი ე. მაკალათია და ერთ-ერთი მოწინავე მქსოველი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, ფაბრიკის პარტიბუროს წევრი და პროფორგანიზატორი გ. აღანია იმ მოტივით, რომ „ისინი ზედმეტად, ყოვლად დაუშვებლად დაუკავშირდნენ ერთმანეთს“ (ბრძანების ტექსტის სიზუსტე დაცულია). ფაბრიკის დირექტორის ბრძანება, როგორც უკანონო, გააპროტესტა რაიონის პროკურორმა, მაგრამ იგი უსაფუძვლოდ იქნა უარყოფილი. მოწინავე მქსოველს გ. აღანიას შვიდი განცხადების გაგზავნა მოუხდა ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგაზოებში თავისი კანონიერი უფლებების აღსადგენად. მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს, როგორც იქნა, იგი აღადგინეს სამუშაოზე, მაგრამ ფაბრიკის დირექტორმა თავისი უკანონო მოქმედების გასამართლებლად ბრძანებით მთავარ ინჟინერს და საამქროს უფროსს დაავალა „უზრუნველყოფით აღანიას იზოლირებულ მდგომარეობაში ყოფნა“.

სამწუხაროდ, ზოგიერთ სამრეწველო საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევით მუშებისა და მოსამსახურეების დათხოვნა არცთუ იშვიათია, რაც ცხადია არღვევს წარმოების პროცესების ნორმალურ რიტმს, მუშაკი ცდება სხვა სამუშაოზე მოწყობამდე, ძნელდება ახალ კოლექტივთან ადაპტაციის ისედაც საკმაოდ რთული პროცესი. უარესდება პროდუქციის ხარისხი.

სტატისტიკური მონაცემებით, რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ცხრა თვეში სასჯელი დაედო 12.000-ზე მეტ კაცს, მათ შორის 10.818 მუშახ. სასჯელი, ისევე როგორც წახალისება, აღამიანის აღზრდის, დისციპლინის განმტკიცების მომთხოვნელობისა და პრინციპულობის დამკვიდრების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა. დაუსჯელობის ვითარება აღუნებს სიფხიზლეს, გამხრწნელ გავლენას ახდენს აღამიანებზე, მაგრამ დაუშვებელია სასჯელი სილაღებით გამოყენება. გაცილებით მნიშვნელოვანია საქმე არ მივიყვანოთ სასჯელამდე.

მაიაკოვსკის ავეჯის ფაბრიკის დირექტორმა მიმდინარე წლის 10 ივნისს თავისი ბრძანებით ბევეჯე მუშები რ. გუბელაძე, ა. თავხელიძე, ა. ხვანიძე და სხვები გადაიყვანა დახმარე მუშებად, ხოლო აპარატის 5 მუშაკი ჩამოაქვეითა თანამდებობიდან დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობაში მოწყობილ შაბათობაზე გამოუცხადებლობისათვის.

საწარმოს ხუთწლელი იქედება თითოეული მუშის პირადი ხუზულიდისაგან. რაც უფრო მაღალია მისი შრომის ნაყოფიერება, მით უფრო ადრე მივაღწევთ ხუთწლელით დასახულ მიზნებს. მაგრამ, სამწუხაროდ, მშენებლობის, სასოკლო მშენებლობის, ტექნიკისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, კომბინატ „საქნახშირის“ და მთელი რიგი სხვა უწყებების საწარმოებში არ არის შექმნილი შრომისა და ყოფა-ცხოვრების ელემენტარული პირობები. მოუწესრიგებელია შრომის დაცვა, სამედიცინო მომსახურება, რაც ხშირად ამ საწარმოებში მუშახელის ღენადობის მიზეზი ხდება.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია, რომ ზოგიერთ საწარმოში და მარჯვის ორგანოებში ჭეროვნად არ აფასებენ შრომის დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას, ფორმალურად ეკიდებიან ამ დარგში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, არ ახორციელებენ რეალურ ღონისძიებებს კანონიერების დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს ამ მხრავ ზოგიერთი სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასკომი, მართვის ზემდგომი რგოლები — სამინისტროები, უწყებები და გაერთიანებები. იგივე ითქმის პროფკავშირების შრომის სამართლებრივ და ტექნიკურ ინსპექციებზე. შრომის დისციპლინის დაცვის განმტკიცებაში უმნიშვნელოა იურიდიული სამსახურებისა და ახმანაგური სამართლოების როლიც

პრინციპულობას, თანამიმდევრულობას და სიმტკიცეს არ იჩენენ ქალაქებისა და რაიონების პროკურორებიც. მიმდინარე წელს რესპუბლიკის 17 ქალაქისა და რაიონის პროკურატურას არ შეუძლია შრომის დისციპლინის დაცვის მდგომარეობა. ბოლომდე არ არის აღმოფხვრარი ბიუროკრატიზმის, საქმის გაქიანურების, აღამიანებისადმი უსულგულო დამოკიდებულების შემთხვევები. ამის თაობაზე მწვავედ, პრინციპულად იმსჯელო რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგამ, რომელმაც დასახს კონკრეტული ღონისძიებები ამ დარგში საპროკურორულ ზედამხედველობის გაძლიერებისა და სრულყოფისათვის.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საწარმოში შრომის დისციპლინის განმტკიცება და სანიმუშო წესრიგი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ მშრომელთა აქტიური მონაწილეობით.

აუცილებელია შეიქმნას შეურიგებლობის ვითარება იმათ მიმართ, ვინც არ უფრთხილდება წარმოების ინტერესებს და შრომის ღირსებას. უოველნაირად უნდა დაუვუპიროთ მხარი კეთილსინდისიერ მუშაეებს და წაეხალოსთ ისინი, გონიერულად გამოვიყენოთ ადამიანებზე მატერიალური და სოციალური შემოქმედების უკეთა უორმა და საშუალება, ავამალოთ წარმოების მეთაურთა პერსონალური პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დაცვის შესახებ კანონმდებლობის განუხრცილი, ზუსტი შესრულებისადმი.

მოშვირნეობისა და უარიათიანობისათვის ბრძოლის ეფექტიანობაში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია პროკურატურისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ურთიერთთანამშრომლობას, მათი საქმიანობის კოორდინაციას. სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონის მე-9 მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ სახალხო კონტროლის ორგანოები სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას ეწევიან პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებთან და სასამართლოებთან მჭიდრო კონტაქტით.

ბოლო ხანს მთელი რიგი დადებითი ტენდენციებია პროკურატურისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ერთობლივ საქმიანობაში. ეს პროცესი უოველდღიურად ღრმავდება და ახალ შინაარსს იძენს. საქართველოს სსრ პროკურატურა და სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტი ერთობლივად, გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად და, რაც მთავარია, ეფექტიანად წარმართავენ ბრძოლას უყარათობის, მფლანგველობის და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევათა წინააღმდეგ.

ეფექტიანი იყო, მაგალითად, ერთობლივი შემოწმება, რომელიც მოეწყო საქანვთობმომარაგება-გასაღების სისტემაში. ნავთობპროდუქტების განიავებისა და მფლანგველობის შრავადრიცხოვანი ფაქტები თბილისის, ვარდაბნის, ფოთის, მცხეთის და რიგ სხვა გასამართ სადგურებში საშეაროზე იქნა გამოტანილი და აღკვეთილი, შემოწმებათა მასალებზე აღიძრა ოთხი სისხლის სამართლის საქმე. დამნაშავენი საკადრისად დაისაჯნენ. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ზომებია მიღებული საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიმართ. დადებითი შედეგი მოჰყვა სახელმწიფო დისციპლინის დაცვის შესახებ კანონების შესრულების შემოწმებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხიწვალის და ჭავის რაიონებში, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოკლა-პატრონობის საკითხის შემოწმებას ახმეტის, ბოლნისის და წულუკიების რაიონებში და სხვა.

უყარათობასა და მფლანგველობასთან პროკურატურისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ერთობლივი ბრძოლის ბევრი დადებითი მაგალითის მოყვანა შეიძლება გურჯაანის, წითელწყაროს, თელავის, მაიაკოვსკის, გორის რაიონების, ქალაქების—ფოთის, ბათუმის, ზუგდიდის, ქიათურის პრაქტიკიდან. მაგრამ ბევრგან ამ საქმიანობაში არ არის მიღწეული სასურველი ეფექტი. არის ფაქტები, როდესაც კოორდინაციას და კონტაქტებს, ნამდვილ საქმიან განწყობილებას ცვლის მოჩვენებითი სასხლომო ფაცაფუცა. წინა პლანზეა წამოწეული ე. წ. პრესტიჟის ელემენტები, ვიწროუწყებრივი მიდგომა საქმისადმი. არ არის დაძლეული ფორმალურ, უსისტემო შემოწმებათა ჩატარების მანეიერი პრაქტიკა, ბიუროკრატიზმის რეციდივები.

საქართველოს სსრ პროკურატურამ და სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ამ ფაქტებს თავის დროზე მწვავე, პრინციპული, პარტიული შეფასება მისცა. ამ ორგანოების ხელმძღვანელთა პირადი ინიციატივით სპეციალურად იქნა შესწავლილი და განზოგადებული სახალხო კონტროლის კომიტეტების მიერ პროკურატურის ორგანოებისათვის გადაცემული მასალების ხარისხი, ხოლო პროკურატურის რაიონულ და საქალაქო რგოლებში მისი გაღაწყვეტის კანონიერება. გამოვლენილ დარღვევებს მოჰყვა სათანადო რეაგირება. მომზადდა და ადგოლობრივ ორგანოებს დაეზავნა ერთობლივი წერილი პროკურატურის ორგანოებში მასალების წარმართვის წესის შესახებ. განხორციელდა მთელი რიგი სხვა კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში სახალხო კონტროლისა და პროკურატურის ორგანოების აქტივიზაციას, ერთობლივ შემოწმებათა ქმედითობისა და შედეგიანობის ამაღლებას.

უკელა რგოლში ეკონომიისა და მოშვირნეობის რეჟიმის განხორციელებაში პროკურატურისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ამოცანებს მიეძღვნა სპეციალური ზონალური თათბირ-სემინარი, რომელიც საქართველოს სსრ პროკურატურის ინიციატივით გაიმართა წლეულს ავღისტოში თბილისში, ხაშურსა და ფოთში. თათბირ-სემინარზე შედმიწევენიო განიხილეს საბოზ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობის გაძლიერების უკელა ასპექტი სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ



კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 ივნისის დადგენილების მიხედვით. მსმენლებს წინაშე საინტერესო მოსვენებებით წარდგენენ სახმომარაგების თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. აბდუშელიშვილი, საქმთავარენერგოს უფროსის პირველი მოადგილე ი. ცაგარელი. მოადგილე დ. ბაკურაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რ. კაკულია და სხვები.

სემინარის მონაწილეებს მომჭირნეობისა და უპირატესობისათვის ერთობლივი მუშაობის თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ჯანჭღავამ. გურჯაანის რაიონის პროკურორმა ი. გაბისონიამ, ქ. ჭიათურის პროკურორმა შ. მიროტაძემ, ქ. ბათუმის პროკურორმა რ. უდენტამ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის უფროსმა თანაშემწემ გ. რუმბუტინმა, სახალხო კონტროლის ცხინვალის, ფოთის საქალაქო, წითელწყაროს, ქარელის, სამტრედიის რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა ვ. გალავანოვმა, გ. ხომერიკმა, შ. წიკლაურმა, თ. ხანიშვილმა, ვ. ფოცხვერაშვილმა და სხვებმა.

თათბირ-სემინარზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ პროკურორმა ა. ბარაბაძემ, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ო. მეტაძემ, კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. მარგალიტაძემ, პროკურატურისა და სახალხო კონტროლის სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

მომჭირნეობისა და უპირატესობისათვის ბრძოლის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული რევიზიების, ინვენტარიზაციების, შემოწმებების ხარისხსა და ქმედითობაზე. განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს ვუყენებთ კომპლექსურ რევიზიებს, რომელსაც, როგორც წესი, აწყობს სპეციალისტთა მთელი ჯგუფი. ისინი მოვალენი არიან უზრუნველყონ წარმოებისა და ორგანიზაციის ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივი შემოწმება, მოგვეცნ სრული სურათი, თუ როგორ ხორციელდება ეკონომიისა და მომჭირნეობის რეჟიმი, იცავენ თუ არა ნედლეულის, მასალების, სათბობის შენახვისა და ხარჯვის ნორმებს, დაადგინონ უპირატესობისა და მფლანგველობის მიზეზები, კონკრეტულად დამნაშავე პირები და სხვა.

სამწუხაროა, რომ ხშირად როგორც საუწყებო, ასევე არასაუწყებო რევიზიები და შემოწმებები ფორმალურად და ზერეულად ეწყობა, რის გამოც დროულად არ ხდება უპირატესობისა და მფლანგველობის გამოვლენა და აღკვეთა. რევიზიების ქმედითობა დაბალია იმას გამოც, რომ მართვის ზრდგამოი ორგანოები ხშირად აჭიანურებენ სარევიზიო აქტების განხილვას, მწვავე პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ გამოვლენილ დარღვევებს. მფარველობენ დამნაშავე თანამდებობის პირებს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მე-7 ტრესტის დმანისის მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში რევიზიამ გამოავლინა 450.000 მანეთის წამატების, 98.000 მანეთის ხელფასის უკანონო გაცემის და კანონიერების სხვა დარღვევის ფაქტი. მაგრამ სამინისტროში რევიზიის მასალები მთელ ოთხ თვეს უმოძრაოდ იდო. მხოლოდ მიმდინარე წლის 25 ივლისს იქნა ამოღებული ჩვენს მიერ სარევიზიო აქტი და სხვა მასალები, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და იგი გამოსაძიებლად გადაეცა წალკის რაიონის პროკურატურას.

სამინისტროს მიერ მოწყობილი კომპლექსური რევიზიით მშენებლობის № 5 ტრესტის ობიექტებზე გამოვლინდა 23,1 ათასი მანეთის წამატება, მაშინ როდესაც იმავე ობიექტებზე მშენებლის სპეციალისტებმა დაადგინეს 270.000 მანეთის წამატების ფაქტი. უოველივე ეს მოწმობს სამინისტროში საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის უკიდურესად დაბალ დონესა და შედეგიანობას.

1979 წლის მაისსა და ოქტომბერში სახმომარაგების საქმანქანათმომარაგების სამმართველოდან ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის მისამართით გაიგზავნა 55.000 მანეთის ორი ვაგონი ვერმანული სათადარიგო ნაწილები. საქონელი მიღებულად აღრიცხულია რკინიგზის სადგურ ცხაკაიაში, მაგრამ, რა ბედი ეწვია მას შემდეგ, ეს დღემდე გაურკვეველია. რაიმე დოკუმენტები კომბინატის მიერ ამ ტვირთის მიღების შესახებ არც რკინიგზის სადგურ ცხაკაიაში და არც საწარმოში არ აღმოჩნდა. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს უკროსმა რევიზორებმა თ. სუხიაშვილმა, დ. ქებურიამ და გ. ფრუიძემ, რომლებმაც კომბინატში მიმდინარე წლის ოქტომბერში მოაწყვეს სამურნეო-საფინანსო საქმიანობის კომპლექსურ-დოკუმენტური რევიზია, ამას რატომღაც არ მიაქციეს ყურადღება, არ მოახდინეს შემხვედრი შემოწმება და დაკმაყოფილდნენ სარევიზიო აქტში ამ ფაქტის ფიქსირებით. არც ცხაკაიას სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ მოწყობილ შემოწმებას მოუცია სასურველი

შედევი. ამჟამად უკვე მასალა ამ ფაქტის გამო ჩვენ მიერ ამოღებულია და სათანადოდ წერილობითი მითითებით გაეგზავნა ამერიკაკავკასიის ტრანსპორტის პროკურატურას.

უფრო უარესი მდგომარეობა ინვენტარიზაციებისა და შემოწმებათა ორგანიზაციაში. არ არის აღკვეთილი პარალელიზმი და ღუბლირება, უსისტემო შემოწმებათა მანკიერი პრაქტიკა, რომელიც ბევრი ბოროტების სათავეა.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა განცხადებებზე, წინადადებებსა და სიგნალებზე, პრესის, რადიოს, ტელევიზიის კრიტიკულ გამოხვლებზე დროულ და პრინციპულ რეაგირებას.

სწორად იქცევიან ის პროკურორები, რომლებიც გულმოდგინედ, დიდი უურადლებით და ფაქიზად განიხილავენ მოქალაქეთა თითოეულ განცხადებასა და სიგნალს, გულდასმით და ობიექტურად სწავლობენ მათ, მწვავე, პრინციპულ რეაგირებას ახდენენ გამოვლენილი დარღვევების გამო.

მიმდინარე წელს მოქალაქეთა განცხადებებისა და სიგნალების შემოწმებათა მასალებზე პროკურატურაში აღძრა 20 სისხლის სამართლის საქმე. ისინი ძირითადად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების შენახვისა და გამოყენებისადმი დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულების, უყაირათობისა და მფლანგველობის, წამატებების და სახელმწიფო დისციპლინის სხვა უხეში დარღვევის ფაქტებზეა აღძრული. დამნაშავენი მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ასეთი საქმიანი, მზრუნველი დამოკიდებულება მშრომელთა წერილებისა და სიგნალებისადმი, გარდა იმისა, რომ გვეხმარება დროულად აღმოფხვრათ კანონიერების დარღვევები, მისი ხელშემწყობი პირობები და გარემოებები, აფართოებს, აღრმავებს და განამტკიცებს პროკურატურის ორგანოების ავტორიტეტს და კავშირს ადამიანებთან, საზოგადოებრიობასთან, შრომის კოლექტივებთან, რაც დანაშუღთან და სამართალდარღვევებთან ეფექტიანი ბრძოლის გადამწყვეტი პირობაა.

უკვე უბანზე უმკაცრესი მომჭირნეობისა და ეკონომიის მიღწევა დროის მოთხოვნაა. იგი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც დროებითი, საგანგებო ღონისძევა, როგორც ერთდროული კამპანია. ეს ბრძოლა უნდა გახდეს თითოეული პროკურორის ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი და ხორციელდებოდეს სისტემატურად, თანამიმდევრულად და მტკიცედ.

თვითნებურ ნაგებობათა გამო საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის ზოგიათი სიღაპო საქითხი

ლ. ჩორგოლაშვილი,

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

საბჭოთა კონსტიტუციით მოქალაქეს უფლება აქვს აიშენოს პირადი საკუთრების სახლი. სამოქალაქო კანონმდებლობა ადგენს ამ უფლების განხორციელების წესს. მშენებლობისათვის აუცილებელია მიწის ნაკვეთის გამოყოფა. სახლი უნდა აშენდეს დადგენილი პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. ამ პირობების შეუსრულებლად აშენებული ნაგებობა ითვლება თვითნებურად. ასეთი მშენებლობა არსებითს ზიანს აყენებს სახელმწიფოს და თვით მოქალაქეებსაც, ხელს უშლის მიწის რაციონალურ გამოყენებას, დასახლებული პუნქტების გეგმიან განაშენიანებას და კეთილმოწყობას, საშიშროებას ქმნის აგრეთვე სახანძრო და სანიტარიული თვალსაზრისითაც.

თვითნებური მშენებლობა გულისხმობს არა მარტო სახლის აშენებას მიტაცებული მიწის ნაკვეთზე, არამედ მშენებლობას ნებართვით, მაგრამ უპროექტოდ ან პროექტიდან არსებითი გადახვევით ან ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით.

თვითნებურ მენაშენეთა მიმართ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლი ადგენს სანქციებს. სარჩელები თვითნებური ნაგებობების უსასყიდლოდ ჩამორთმევისა და ადგილობრივი საბჭოების ფონდში მისი ჩარიცხვის შესახებ სასამართლოს ქვემდებარება.

ეს არის რთული სამოქალაქო დავა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მოქალაქეთა ქონებრივ ინტერესებს და უამრავ საჩივარს იწვევს. სასამართლოებში ამ საქმეების დიდი რაოდენობით განხილვა მოწმობს, რომ ჭეროვნად არ სწავლობენ ამ დავათა წარმოშობის მიზეზებს, არ ახორციელებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს თვითნებური მენაშენის მიმართ მშენებლობის დაწყებისთანავე. საზედამხედველო ორგანოებისათვის სახლის მშენებლობის დაწყების შემჩნევა ძნელი არ არის. მიწის დატაცებისაგან დაცვის კონტროლი დაკისრებული აქვს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს, აღმასკომს, რომელიც ჭერ აფრთხილებს თვითნებურ მენაშენეს შეწყვიტოს მშენებლობა, ავალდებულებს მას ან თვითონ დაანგრის უნებართვო ნაგებობა, ან ანგრევს მას კომუნალური მეურნეობის ძალებით.

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებები ავალდებულებს აღმასკომებს მილიციის, აქტივის, პენსიონერთა ძალებით უზრუნველყოს თავის ტერიტორიის სისტემატური ჩამოვლა სახლებისა და აგარაკების თვითნებური მშენებლობის დასაწყისშივე აღკვეთის მიზნით. სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს მოთხოვნა არ სრულდება. სწორედ ზოგიერთი პირის წაყრუებით ან დაუდევრობით აიხსნება უნებართვო მშენებლობისა და მიშენების ის ფაქტები, რომლებიც გვხვდება თბილისში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 25 თებერვლის დადგენილებამ „სასამართლოების მიერ მოქალაქეებისათვის მოქმედი წესების დარღვევით აწინებული სახლების ჩამორთმევის საქმეთა განხილვისას კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“ ბევრი სადავო საკითხი გადაწყვეტა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ერთიანი პრაქტიკის შესაქმნელად. მაგრამ საქმეთა განხილვა გვიჩვენებს, რომ პრაქტიკა-სამართლებრივი ურთიერთობის ეს უშრეტო წყარო, ახალ-ახალ საკითხებს აყენებს, რომელთა გადაწყვეტისას სასამართლოები შეცდომებს უშვებენ.

პირველყოფისა, გაურკვეველი დარჩა უნებართვო მიშენების ვითარებაში მთელი სახლის უფლებრივი მდგომარეობის საკითხი.

თავდაპირველად დადგენილი წესების დაცვით აწინებულ სახლს, შემდგომში სათავეების უნებართვოდ მიშენების გამო, ტექნიკენტარიზაციის ბიურო აღრიცხავს როგორც მთლიანად უნებართვო ნაგებობას, აქედან გამომდინარე ყველა იურიდიული შედეგით. ასეთი სახლი არ შეიძლება გასწვსებულ იქნეს, გადაეცეს მემკვიდრეობით და სხვ. მაშასადამე, ეს სახლი ალათ ითვლება პირადი საკუთრების ობიექტად, როგორც უნებართვო ნაგებობა და გადაფორმებას არ ექვემდებარება.

დაისვა საკითხი, შეიძლება თუ არა განხორციელდეს საკუთრების უფლება სახლის ძირითად, თავდაპირველ ნაწილზე, ე. ი. გასწვსებულ იქნეს იგი, გადაეცეს მემკვიდრეობით, გაქირავდეს და ა. შ.

„სასამართლოების მიერ მოქალაქეებისათვის მოქმედი წესების დარღვევით აწინებული სახლების ჩამორთმევის საქმეთა განხილვისას კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 25 თებერვლის დადგენილების მე-7 პუნქტის თანახმად, სახლის თვითნებურად აწინებული ნაწილი (მინაშენი) შეიძლება უსასყიდლოდ იქნეს ჩამორთმეული და ჩაირიცხოს ადგილობრივი საბჭოების ფონდში იმ პირობით, თუ ჩამოსართმევი სადგომი დამოუკიდებელი სარგებლობის ობიექტია ან შეიძლება ასეთად გადაეკეთდეს. სასამართლომ გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს ჩამოსართმევი ნაწილის ხვედრითი წილის შესახებ მთელ სახლთან შედარებით. პირდაპირი მითითება აქ არ არის, მაგრამ ლოგიკურად შეიძლება დავაკვნათ, რომ სახლის თავდაპირველ, ძირითად ნაწილზე უნდა განხორციელდეს საკუთრების უფლება, რაც მთლიანად შეესაბამება სამოქალაქო კანონმდებლობის საერთო პრინციპებს. თუმცა საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტი აქვთ საწინააღმდეგო აზრის მომხრეებსაც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ უნებართვო მინაშენის შემთხვევაში მთელი სახლია უნებართვო ნაგებობა და არ დაიშვება მისი გასწვსება. მართლაც, თუ დავუშვებთ ასეთი სახლის გაყიდვას, მაშინ ძირითად, კანონიერ ნაწილთან ერთად თავისთავად მოხდება თვითნებურად მინაშენი ნაწილის ფაქტობრივი გაყიდვაც, რომელიც ყიდვა-გაყიდვის ობიექტი არ შეიძლება იყოს. უფრო მეტიც, ასეთი ხელშეკრულების მონაწილე მხარე, რომელიც უკანონოდ ასწვსებს ასეთ სახლს, მოგებულის, ვინაიდან სახლის ამ ნაწილზე სახელმწიფო ბაჟსაც არ იხდის. ამასთან, გვერდს ვერ ვუვლით იმავე, რომ დავის წარმოშობის დროს ამ ნაწილში არც მყიდველის და არც გამყიდველის ინტერესები დატული არ იქნება კანონით. გაურკვეველია მდგომარეობა აგრეთვე მემკვიდრეებს შორის უნებართვოდ მინაშენიანი სახლს გაყიდვის დროსაც. სასამართლო და სასოტარო პრაქტიკაც უშვებს მინაშენიანი



ასლის ძირითადი, კანონიერი ნაწილის მემკვიდრეობით გადაფორმებას. ეს ნუ-
ბადართულია თბილისის სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასკომის 1975 წლის
8 ივლისის განკარგულებითაც. მაგრამ მემკვიდრეებს შორის სახლის რეალური
გაყოფის დროს სასამართლო ყოფს სახლის მხოლოდ კანონიერ ნაწილს. რის
გამოც თანამესაკუთრეები, რომლებიც მიშენებულ ნაწილში ცხოვრობენ, წილს
უბტულობენ ძირითად ნაწილშიც, იტოვებენ რა მინაშენსაც, რომლის გაყო-
ფაშიც სასამართლო არ ურევა, ვინაიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამარ-
თლის კოდექსის 120-ე მუხლის შესაბამისად თვითნებური ნაგებობა არ შეიძ-
ლება იყოს საკუთრების ობიექტი და, მაშასადამე, მესაკუთრეებს შორის გაყო-
ფის საგანიც.

მოსალოდნელი იყო, რომ საკითხს ნათელს მოჰყენდა ინსტრუქცია „სა-
ქართველოს სსრ სახელმწიფო საინტარო კანტორების მიერ ნოტარიალური
მოქმედების შესრულების წესადა შესახებ“, რომელიც დაამტკიცა საქართვე-
ლოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1977 წლის 23 ივნისს. ამ ინსტრუქციის 42-ე
მუხლით იმ საცხოვრებელი სახლის გასხვისების დროს, რომელსაც მესაკუთრის
მიერ უნებარეოდ მიშენებული ან დაშენებული აქვს ნაგებობა ან არა საც-
ხოვრებელი ნაგებობა გადაკეთებულია საცხოვრებლად, გასხვისების ხელშეკრუ-
ლებაში საცხოვრებელი სახლის (მისი ნაწილის) ფართობის რაოდენობა მითი-
თებული უნდა იქნეს უფლებია დამდგენი დოკუმენტია მიხედვით. მაშასადამე,
ეს აქტი იძლევა უნებარეოდ მინაშენიანი სახლის ძირითადი ნაწილის გასხვი-
სების ნებას და ტექნიკენტარიზაციის ბიუროს არა აქვს კანონიერი საკუთრე-
ვლი შეაფერხოს ასეთ სახლებზე ცნობების გაცემა, მიუხედავად იმ უარყო-
ფითი შედეგებისა, რაც შეიძლება მოჰყვეს ასეთ გასხვისებას და რის შესახებაც
ზემოთ იყო ლაპარაკი.

აბოლოოდ ამის გადაწყვეტით მოგვარდება არანაკლებ მნიშვნელოვანი
საკითხიც, რომელიც დაკავშირებულია ასეთ ნაგებობაზე გადახდევინებას ან
კონფისკაციის მიქცევასთან. ვინაიდან უმნიშვნელო მინაშენის გამო მთელი
სახლი აღრიცხულია როგორც უნებარეოდ ნაგებობა, ის არ შეიძლება იყოს
საკუთრების უფლების ობიექტი, მასზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა,
არ დაიშვება მისი კონფისკაცია, რაც საშუალებას აძლევს მოვალე პირს გაექ-
ცეს პასუხისმგებლობას, ამასთან ათიათასობით მანეთი სახელმწიფო სახსრები
ამოუღებელი რჩება. ასეთი შეზღუდვა მხოლოდ აფერხებს გადახდევინებასთან
დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

სადავოა და ერთიანი არ არის სასამართლო პრაქტიკა იმ პირთა გამოსახ-
ლების სარჩელების განსჯადობის თაობაზე, რომლებიც თავდაპირველად ჩა-
სახლებული იყვნენ უნებარეოდ აშენებულ სახლებში მფლობელის თანხმობით.

იგი ვერ გაირკვა იურიდიულ კუთხალებში ამ საკითხზე გამოქვეყნებული
სტატიების შემდეგაც¹. გამოსახლების საფუძვლის მიხედვით სასამართლოები
სტატიების შემდეგაც¹ გამოსახლების საფუძვლის მიხედვით სასამართლოები
საჭიროების საფუძვლით აღძრული სარჩელების დიდ ნაწილს სასამართლოები
არსებითად იხილავენ, მაგრამ სარჩელებს არ აკმაყოფილებენ იმ მოტავით,
რომ უნებარეოდ სახლის მფლობელი არ შედის სამოქალაქო სამართლის კო-
დექსის 320-ე მუხლში ჩამოთვლილ პირთა წრეში. სასარჩელო მოთხოვნის სუ-

ბიექტად კი ამ მუხლის მიხედვით შეიძლება იყოს მხოლოდ სახლის მესაკუთრე. ზოგიერთი სასამართლო აქმეს წარმოებით წყვეტს იმის მითითებით, რომ თვითნებურად აშენებული სახლის მფლობელის მოთხოვნა არ არის სასამართლოს ქვემდებარე, ასეთი სახლის მფლობელს უფლება არა აქვს წარადგინოს სარჩელი გამოსახლების შესახებ.

მაგრამ სასამართლოები წარმოებაში არ იღებენ სხვა საფუძვლებით წარდგენილ სარჩელებსაც გამოსახლების შესახებ იმის მითითებით, რომ უნებართვო ნაგებობაში მცხოვრები პირი სარგებლობა სახლის მფლობელის თანაბარი უფლებებით, ფლობს და სარგებლობს ნაგებობით და მფლობელს არა აქვს კანონით გათვალისწინებული საფუძველი, მოითხოვოს ასეთი სახლებიდან მისი გამოსახლება.

ასეთ მოსაზრებას ძნელია დავეთანხმოთ.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით თვითნებურ მენაშენეს მართლაც არა აქვს უფლება განკარგოს ასეთი ნაგებობა — გაასხვისოს, გააქირავოს, გაცვალოს და სხვ. აქირავებს რა თვითნებურად აშენებულ ფართობს, იგი ახორციელებს განკარგვის უფლებას მაშინ, როდესაც მას არ გააჩნია საკუთრების უფლება ამ ობიექტზე. მაგრამ სწორი არ იქნებოდა, სასამართლოს კომპეტენციიდან ამოვიღოთ ამ სამოქალაქო უფლებრივი დავების განხილვა. თვით ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის ობიექტი თვითნებური ნაგებობაა, სსსკ 107-ე მუხლის მიხედვით თავისთავად უკანონოა, ასეთ შემთხვევაში ამავე კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად მხარეები მოყვანილი უნდა იქნენ პირვანდელ მდგომარეობაში, რასაც არსებითად მოითხოვს კიდევ თავისი სარჩელით სახლის მფლობელი. ამგვარად, ლოგიკურად სარჩელი ყველა შემთხვევაში ექვემდებარება სასამართლო განხილვას, ვინაიდან ვასახლების მოთხოვნის საფუძვლის მიუხედავად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განიხილოს და იმსჯელოს ასეთი ხელშეკრულების კანონიერებისა და მხარეთა პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ, რაც მის კომპეტენციაში შედის. თანაც ასეთი სარჩელების უმრავლესობა აღძრულია იმ მოტივით, რომ მოპასუხემ გაითმჯობესა საბინაო პირობები, მიიღო ახალი საცხოვრებელი ბინა, მაგრამ არ ათავისუფლებს ძველ სადგომსაც და, მაშასადამე, მისი მოქმედება თავისთავად არამართლზომიერია.

სწორად წყდება განსჯადობის საკითხი, როდესაც მოქალაქე მოითხოვს უფლების დადასტურებას უნებართვო სახლზე, რომელიც გაუფორმებლად შეიძინა ან მიიღო მემკვიდრეობით ან სხვა გზით. ასეთი სარჩელები არ მიიღება წარმოებაში „საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავების განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1981 წლის 31 ივლისის დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად.

იმის გამო, რომ თვითნებურად აშენებული სახლების გაქირავება დაკავშირებულია იმ პირებისათვის ბინის მიცემასთან, რომელთა ცხოვრებასაც ასეთ სახლებში ფაქტობრივად არა აქვს კანონიერი საფუძველი, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ხშირად მიმართავენ სარჩელით სასამართლოს მათი გამოსახლების შესახებ. მაგრამ იმის გამო, რომ გამოსახლების შესახებ მოთხოვნის საფუძველი კანონით გათვალისწინებული არ არის, სარჩელების უმრავლესობა დაუკმაყოფილებელი რჩება. გამოსახლების მოტივად ძირითადად

მაკითხებენ იმას, რომ უნებართვოდ აშენებულ სახლში მოპასუხე ჩაწერალი არ არის, ხოლო სახლი მომავალში ექვემდებარება დანგრევას. ვინაიდან საქმის აღძვრისა და განხილვის დროს არ არსებობს სათანადო ორგანოს (თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის) გადაწყვეტილება სახლის ალების შესახებ, რაც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 12 მარტის დადგენილების პირველი პუნქტით აუცილებელი პირობაა გამოსახლების შესახებ სარჩელის წარდგენისათვის, ვფიქრობთ, სასამართლოები მართებულად მიიჩნევენ ნაადრევად სარჩელის წარდგენას. მაგრამ ამ პუნქტის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ სარჩელს არსებითად განიხილავენ, ნაცვლად იმისა, რომ განუხილველი დატოვონ სსსკ 137-ე მუხლის თანახმად. ის გარემოება, რომ მოპასუხე ჩაწერილი არ არის, ე. ი. დაშვებულია ადმინისტრაციული დარღვევა, თავისთავად არ შეიძლება სასამართლოს წესით მოქალაქის გამოსახლების სფუძველი ვახდეს მით უფრო, რომ საბინაო კანონმდებლობის ახალმა საფუძველმა მტკიცედ განსაზღვრა, თუ როდის დაიშვება მოქალაქის გამოსახლება.

ამ საფუძველებით იყო წარდგენილი სარჩელები მაგალითად, ლენინის და 26 კომისრის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ გ. სალირაშვილას, ა. მატინოვის და სხვათა გამოსახლების შესახებ.

არის შემთხვევები, როდესაც უნებართვო სახლში მცხოვრები პირებისათვის ახალი საცხოვრებელი სადგომის მიცემისას, როგორც წესი, საცხოვრებლად უვარგის სახლებში, მომავალში სხვა პირების ჩასახლების თავიდან აცილების მიზნით ამ სახლების დანგრევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად. აღმასკომები წარადგენენ სარჩელებს ამ პირთა გამოსახლების შესახებ, თუმცა, თუ ეს სახლები უვარგისობის გამო არ შეიძლება ჩაირიცხოს კომუნალურ ფონდში, დანგრევის გარდა აღმასკომს კანონით არა აქვს სხვა სშუალება თავიდან აიცილოს ამ სახლებში სხვა პირების ჩასახლება. ამას კი მივყავართ აგარიულ, საცხოვრებლად უვარგის სახლებში ჩასახლებულ მოქალაქეთა რიცხვის გაზრდასთან.

სხვადასხვანაირად წყდება გამოსახლების შესახებ დავის ქვემდებარეობის საკითხი, როდესაც თვითნებურად აშენებული სახლი ან მინაშენი უნდა დაინგრეს ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით თვითნებურად აშენებული სახლის დანგრევის საკითხი განეკუთვნება ადგილობრივი საბჭოების აღმასკომის კომპეტენციას, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა. მას აღასრულებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილება. მაგრამ პრაქტიკაში ამ სახლებიდან მოქალაქეთა გამოსახლების ქვემდებარეობის საკითხი დავას იწვევს. კოდექსის ზემოთ მითითებულ მუხლში არ არის პირდაპირი მითითება, თუ ვინ უნდა უზრუნველყოს დასახვრევი სახლებიდან მოქალაქეთა გამოსახლება. მუხლის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ვინაიდან სახლის დანგრევის საკითხს წყვეტს აღმასკომი, მანვე უნდა უზრუნველყოს ამ სახლებში მცხოვრებ პირთა გამოსახლება.

სხვაგვარად, სასამართლო წესით ამ საქმეთა გადაწყვეტისას გამოსახლების საკითხი წინასწარვე იქნებოდა გადაწყვეტილი, ვინაიდან სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს დანგრევის შესახებ აღმასკომის გადაწყვეტილების კანონიერებაზე და არ შეიძლება არ გამოსახლოს მოქალაქე თვითნებურად აშენებული სახლიდან, რომელიც უნდა დაინგრეს.

საცხოვრებელი სადგომიდან მოქალაქეთა გამოსახლება ხდება სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით და კანონი იძლევა გამოსახლების საფუძვლების ამომწურავ ჩამოთვლას. სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში არ არის მითითება თვითნებურად აშენებული სახლების შესახებ, რაც გაურკვევლობას ქმნის პრაქტიკაში. ალბათ, ამ აუცილებლობით იყო ნაკარნახევი „სასამართლოების მიერ მოქალაქეებისათვის მოქმედი წესების დარღვევით აშენებული სახლების ჩამორთმევის საქმეთა განხილვისას კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“ სარ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 25 თებერვლის დადგენილების პროექტში იმ პუნქტის შეტანა, რომელიც განმარტავდა აღმასკომის გადაწყვეტილებით დასანგრევა სახლიდან მოქალაქის გამოსახლების შესახებ დავის ქვემდებარეობის საკითხს და რომელმაც პლენუმზე აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. სამწუხაროდ, ეს პუნქტი დადგენილებაში არ შევიდა, რის გამოც ზოგიერთი სასამართლო ამ საქმეებს არ იღებს წარმოებაში. ზოგი კი იხილავს არსებობდა.

26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება არსებითად 26 კომისრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სარჩელი შ. ზარაზაშვილის უნებართვო სახლიდან გამოსახლების შესახებ, რომელიც ინგრეოდა აღმასკომის გადაწყვეტილებით.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა აღძრა სარჩელი ვ. სურგულაძისა და რ. სურგულაძის მიმართ აღმასკომის გადაწყვეტილებით დასანგრევად განკუთვნილი უნებართვო სახლიდან გამოსახლების შესახებ. სასარჩელო განცხადებაში აღმასკომი სახლის დანგრევის მოთხოვნასაც აყენებდა, თუმცა ეს უკვე დადგენილი იყო მისი გადაწყვეტილებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს დავა სასამართლოს ქვემდებარე არ იყო, მოსარჩელემ სხდომაზეც მოითხოვა სახლის დანგრევა და მოპასუხეების გამოსახლება. სასამართლომ შეცვალა სარჩელის საგანი და მიიღო გადაწყვეტილება სახლის კომუნალურ ფონდში ჩარიცხვის შესახებ, თუმცა ასეთი მოთხოვნა განცხადებული არ ყოფილა და პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილების მეორე პუნქტის საწინააღმდეგოდ, არ არსებობდა აღმასკომის გადაწყვეტილება სახლის კომუნალურ ფონდში ჩარიცხვის თაობაზე საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა გადაწყვეტილება და საქმე წარმოებით შეწყვიტა.

ზოგიერთი სასამართლო არ განასხვავებს გამოსახლებას თვითნებურად აშენებული სახლიდან, რომელიც ექვემდებარება დანგრევას აღმასკომის გადაწყვეტილებით სსსკ 107-ე მუხლის თანახმად, რომლის განხილვა სასამართლოს განსჯადი არ არის და გამოსახლებას უნებართვო სახლიდან, რომელიც ასაღები მიწის ნაკვეთის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაცემის გამო სსსკ 325-ე მუხლის მიხედვით, რომლის განხილვა სასამართლოს კომპეტენციაში შედის. მართალია, ორივე შემთხვევაში ასაღები უნებართვოდ აშენებული სახლი, მაგრამ მეორე შემთხვევაში სახლი ინგრევა არა პირობით, რომ იგი უნებართვოა, არამედ მისი დანგრევის აუცილებლობა გამოიწვია სახელმწიფო საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფამ.

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ წარმოებით შეწყვიტა 26 კომისრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის

სარჩელი უნებართვო ნაგებობიდან მ. აკოფაშვილის გამოსახლების შესახებ, რომელიც ასაღები იყო მეტროპოლიტენის მშენებლობის გამო მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა სასამართლოს განჩინება და საქმე დაუბრუნდა სასამართლოს არსებითად განსახილველად მითითებით, რომ მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით ასაღები სახლებიდან გამოსახლება განიხილება სასამართლო წესით.

ამ შეცდომების მიზეზი შეიძლება იმით აიხსნას, რომ სსსკ 325-ე მუხლით რეგლამენტირებულია აღებასთან დაკავშირებით ყოველგვარი სახლიდან გამოსახლების შემთხვევა, გარდა თვითნებურად აშენებულ სახლებისა, რაც პრაქტიკაში დიდ სიძნელეებს ქმნის. ეს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ახალი კანონმდებლობის შემუშავების დროს.

სსსკ 107-ე მუხლის და „საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1981 წლის 31 ივლისის დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად (ამავე საკითხზე პლენუმის აღრინდელი 1962 წლის 31 ივლისის დადგენილების მე-10 პუნქტი), თვითნებურად აშენებული ნაგებობის და დამხმარე სათავსების აღების (დანგრევის) საკითხს განიხილავს ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი და ეს არ შედის სასამართლოს კომპეტენციაში. სასამართლო პრაქტიკაში არ არის ერთიანობა ამ საკითხის გადაწყვეტის დროსაც. სასამართლოების უდიდესი უმრავლესობა წარმოებაში იღებს და იხილავს დაინტერესებული პირის (მეზობელი, თანამესაკუთრე და სხვ.) სარჩელს უნებართვოდ მიშენებული, გამოკრილი კარების, ფანჯრის და სხვ. აღების შესახებ იმ მოტივით, რომ მოპასუხის მოქმედებით შეილახა მისი საბინაო პირობები. არის შემთხვევა, როდესაც სასამართლო არ იღებს ასეთ სარჩელს წარმოებაში იმის მითითებით, რომ უნებართვო ნაგებობის აღების საკითხს წყვეტს აღმასკომი.

ჩვენს შეკითხვაზე სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ განმარტა (№ 01—33/2-78 ოტ 25.01.78), რომ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების მე-5 მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სარჩელით სასამართლოს თვითნებურად აშენებული ნაგებობის აღების შესახებ. თუ მოპასუხის არამართლობიერი მოქმედების შედეგად დაირღვა მისი უფლება ან კანონით დაცული ინტერესი (ნაგებობა აგებულია მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე, აშენებულია დაუშვებლად ახლო მანძილზე მის სახლთან და ა. შ.). ქალაქის სასამართლოები, როგორც აღინიშნა, ასეთ სარჩელებს ძირითადად წარმოებაში იღებს და იხილავს არსებითად. დასადგენია, ხომ არ ეწინააღმდეგება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტება პლენუმის აღრინდელ დადგენილებას, რომელიც ახალმა 1981 წლის 31 ივლისის დადგენილებამაც გაიმეორა, რომ უნებართვო ნაგებობათა აღების შესახებ დავა სასამართლოს არ ექვემდებარება. დაინტერესებულმა პირმა ხომ არ უნდა დააყენოს საკითხი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომში, რომლის კომპეტენციაშიც შედის და რომელმაც გადაწყვეტილებით უნდა დაადგინოს უნებართვო ნაგებობის, სათავსის და სხვ. აღება. ეს მით უფრო დასაუხსტებელია, რომ ასეთ დავებზე გამოტანილი გადაწყვეტილება გაურკვეველ მდგომარეობას ქმნის. სა-

ხელდობრ, თუ დაინტერესებული პირის სარჩელი თვითნებურად აშენებული, მიშენებული ნაგებობის, თვითნებურად გამოჭრილი კარების, ფანჯრას და სხვ. აღების (მონგრევის) შესახებ უარყოფილია იმ მოტივით, რომ მოპასუხის მოქმედებით მოსარჩელის ინტერესები არ ილახება, ხომ არ მოჰყვება ასეთ უარს ამ ნაგებობის უფლებრივი რეგისტრაცია „სასამართლოს მიერ მოქალაქეებისათვის მოქმედი წესების დარღვევით აშენებული სახლების ჩამორთმევის საქმეთა განხილვისას კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1977 წლის 25 თებერვლის დადგენილების მე-5 პუნქტის გამოყენებით. ხომ არ გამოდის, რომ სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით „აკანონებს“ თვითნებურ ნაგებობას, მით უფრო, რომ უმრავლეს შემთხვევაში ძირითადი შენობაც, რომელზეც მოხდა მიშენება, ფანჯრის, კარების გამოჭრა, თვითნებური ნაგებობაა. თუ ასეთი სარჩელები ყოველთვის, უგამონაკლისოდ უნდა დაკმაყოფილდეს იმ მოტივით, რომ თვითნებური ნაგებობა ყოველთვის ასაღებია, ილახება თუ არა მისი აშენებით ვინმეს უფლება და კანონით დაცული ინტერესი, ვინაიდან მოპასუხე მოქმედებდა არამართლზომიერად, დადგენილი წესის დარღვევით. ასეთ ვითარებაში იქმნება იმის საშიშროება, რომ სასამართლოში დავის განხილვის შედეგი წინასწარ გადაწყვეტილია, რაც ეწინააღმდეგება საბჭოთა მართლმსაჯულების პრინციპებს.

ზოგჯერ სასამართლო უნებართვოდ აშენებული სახლის ჩამორთმევის თაობაზე სარჩელის უარყოფის დროს არ კმაყოფილდება ამით და ავალებს ტექნიკურ-ინჟინერული ბიუროს თვითნებურად აშენებული სახლი აიყვანოს აღრიცხვაზე, როგორც დადგენილი წესით აშენებული ნაგებობა, ანუ ფაქტობრივად ახდენს მას უფლებრივ რეგისტრაციას, რაც, როგორც ზემოთ აუთ აღნიშნული, ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის კომპეტენციას განეკუთვნება.

შკონდათ რა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი, იმავე ნაკვეთზე 1956 წელს ძეგბმა ხუბულურებმა უნებართვოდ ააშენეს კიდევ ერთი სახლი. ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა სახლის ჩამორთმევა და კომუნალურ ფონდში ჩარიცხვა მოითხოვა.

იმის გათვალისწინებით, რომ სახლი აშენებული იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის დადგენილების გამოცემამდე, რომელმაც ნება დართო სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ჭეროვანი წესის შესაბამისად გაეფორმებიათ მიწის ნაკვეთების გამოყოფა იმ თვითნებურ მენაშენებებისათვის, რომლებმაც კაპიტალური ნაგებობანი ამ დადგენილების გამოცემამდე ააშენეს და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების მხედველობაში მიღებით კონკრეტულ საქმეზე, სასამართლომ მართებულად უარყო სარჩელი სახლის ჩამორთმევის შესახებ, ამასთან სარეზოლუციო ნაწილით დაავალა ტექნიკურ-ინჟინერული ბიუროს სადაო სახლი აიყვანა აღრიცხვაზე მოპასუხის სახელზე როგორც კანონიერი ნაგებობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან ამორიცხა ეს მითითება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოთაღნიშნულმა დადგენილებამ, როგორც ითქვა, ნება დართო აღმასკომებს მოეხდინათ მის გამოცემამდე აშენებული კაპიტალური სახლების უფლებრივი რეგისტრაცია, თუ ეს ნაგებობანი ქალაქის განაშენიანების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდნენ. ამასთან დააე-

შირებით წარმოიშვა მოსაზრება — ამ დადგენილების გამოცემამდე აშენებული კაპიტალური სახლები, რომელთა უფლებრივი რეგისტრაცია აღმასკომებმა არ მოახდინეს დადგენილების მე-10 პუნქტის მოქმედების პერიოდში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 სექტემბრის დადგენილებით იგი გაუქმებული იქნა), უნდა ჩაითვალოს კანონიერ სახლებად, ვინაიდან ნორმატიული აქტი დაკანონების ნებას აძლევდა აღმასკომებს. ძნელია დაეთანხმო ამ მოსაზრებას. სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობს პირადი საკუთრების უფლების წარმოშობას ამ უფლების წარმოშობი რაიმე მოქმედების შეუსრულებლად, მით უფრო, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტი ითვალისწინებდა პირობებს, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო უფლებრივი რეგისტრაცია — სახლი უნდა ყოფილიყო კაპიტალური ნაგებობა და ქალაქის განაშენიანების მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. მაშასადამე, ყველა სახლი არ ექვემდებარებოდა უფლებრივ რეგისტრაციას და დასაკანონებელი სახლების შერჩევა აღმასკომზე იყო დამოკიდებული. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახლები აშენებული იყო 1956 წლის 27 ივლისამდე, აღმასკომების მიერ მათი უფლებრივი რეგისტრაციის გარეშე, ვერ განდება ამ სახლებზე პირადი საკუთრების ცნობის საფუძველი. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ჩვენს რესპუბლიკაში განხილული კონკრეტული საქმის ირგვლივ მიღებული დადგენილებით³ სახლის ჩამორთმევის შესახებ სარჩელის უარყოფის საფუძველად მიიჩნია აღმასკომების მიერ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის დადგენილების შეუსრულებლობა, რომლის მიხედვით აღმასკომებს ან უნდა მოეხდინათ მანამდე აშენებული უნებართვო სახლების უფლებრივი რეგისტრაცია ან უნდა დაეგზიანათ ისანი მენაშენისათვის სახლის ასაშენებლად სხვა ნაკვეთის გამოყოფით. ვფიქრობ, ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს „სასამართლოს მიერ მოქალაქეებისათვის მოქმედი წესების დარღვევით აშენებული სახლის ჩამორთმევის საქმეთა განხილვისას კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 25 თებერვლის დადგენილების მე-5 პუნქტის მიხედვით, რომლის თანახმად, სახლის ჩამორთმევაზე სარჩელის უარყოფის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ამ სახლის უფლებრივი რეგისტრაციის საფუძველს. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც დადგენილების გამოცემამდე აშენებული ყველა უნებართვო სახლი როდი დაკანონდება, არამედ მარტოდენ ის სახლები, რომელთა კომუნალურ ფონდში ჩარიცხვასაც მოითხოვს აღმასკომი.

არ არის ერთიანი პრაქტიკა თვითნებურად აშენებული სახლის თანამფლობელთა შორის მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესის თაობაზე დავათა ქვემდებარეობის განსაზღვრის დროს. ზოგიერთი სასამართლო წარმოებაში იღებს ასეთი სარჩულს და წყვეტს მას არსებითად — მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესს ისე ადგენს, რომ არ ამოწმებს, კანონიერად ჰქონდათ თუ არა მოდავეებს გამოყოფილი მიწის ნაკვეთი უვადო სარგებლობისათვის. სასამართლოები არ ითვალისწინებენ, რომ მათ ექვემდებარება მხოლოდ ის დავა, რომელიც მიწის მართლზომიერ სარგებლობასთან არის დაკავშირებული.

³ См. «Бюллетень Верховного Суда СССР», № 4, 1975, стр. 17

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ არსებითად განიხილა დედა ძმების — ქაბემ ოღლებს შორის, არ შეამოწმა, გამოყოფილი აქვს თუ არა მხარეებს მიწის ნაკვეთი დადგენილი წესით, თვით ნაგებობის უფლებრივი მდგომარეობა და დადგინა მიტაცებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესი. თბილისის საქალაქო სასამართლომ პრეზიდენტმა გადაწყვეტილება გააუქმა.

არის შემთხვევა, როდესაც პირადი მესაკუთრე, მიიღებს რა აღმასკომისგან სახლის რეკონსტრუქციის ნებართვას (სახურავის, კედლის შეცვლას), ფაქტობრივად ანგრევს ძველს და აშენებს ახალ სახლს გაზრდილი გაბარიტებით. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სარჩელებს ამ სახლების კომუნალურ ფონდში ჩარიცხვის შესახებ სასამართლოება სხვადასხვაწიარად წყვეტენ. უმეტესად სარჩელები კმაყოფილდება მთლიანად, ზოგჯერ ნაწილობრივ. სახელდობრ, ართმევენ მხოლოდ ძველი სახლის გაბარიტების გადაჭარბებით აშენებულ ნაწილს. ვფიქრობთ, ვინაიდან სახლი მთლიანად დაანგრეს და მის მაცურად აშენებული სახლის ნებართვა და აშენებლობის დამტკიცებული პროექტი მოპასუხეს არ გააჩნია, სწორად უნდა იყოს მიჩნეული გადაწყვეტილება, რომლითაც სახლი ჩამორთმეულ იქნა მთლიანად. ეს გამოვლინარეობს საქართველოს სსრ სსსკ 107-ე მუხლის მოთხოვნიდან.

ცნობილია, რომ არ შეიძლება დადგენილ იქნეს თვითნებურად აშენებული, დაუმთავრებელი და საექსპლოატაციოდ მიუღებელი ნაგებობების პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილების ფაქტი. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ სასამართლოები ადგენენ ასეთ შენობებზე საკუთრების უფლებას განსაკუთრებული წარმოების წესით, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მე-6 პუნქტის მითითებით (საკუთრების უფლებით შენობის ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ). საქმის მასალებიდან კი უდავოდ მტკიცდება, რომ განმცხადებელს არასოდეს არ ჰქონია სახლზე უფლების დამდგენი საბუთი, საკუთრების უფლებით შენობის ფლობის ფაქტი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ნაგებობის მფლობელზე კუთვნილების ფაქტი თავის დროზე რეგისტრირებული იყო, ე. ი. უფლების დამდგენი საბუთი არსებობდა, მაგრამ შემდეგ დაიკარგა და მისი აღდგენა შეუძლებელია.

სასამართლოების ასეთი შეცდომა მენაშენეს საშუალებას აძლევს კანონის გვერდის ავლით მიადწიოს ამ ნაგებობაზე საკუთრების უფლების დადგენას. სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დადგინოს საკუთრების უფლება უნებართვო ნაგებობაზე. საერთოდ, დადგენილი წესით ცალკეულ შემთხვევაში თვითნებურად აშენებული ნაგებობის შესაძლებელი რეგისტრაციის საკითხს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები წყვეტენ მოქალაქესთან მიწის უვადო სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულების გაფორმებით, თუ არ არის დარღვეული ქუჩის და რაიონის დაგეგმარება, მენაშენის მიერ დაცულია სამშენებლო, სახანძრო და სანიტარული წესები, გარდა ამისა, თუ საყურადღებოა გარემოებანი, რაც წინ უძღოდა მშენებლობას, ანდა მენაშენეს განსაკუთრებული დამსახურება აქვს, ან სხვა რაიმე გასათვალისწინებელი საფუძველი არსებობს. მოსაზრება, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 სექტემბრის დადგენილებით 1956 წლის 27 ივლისის დადგენილების მე-10 პუნქტის გაუქმებამ აკრძალა ამ სახლების შემდგომი დეკონსტრუქცია არ გამოვლინარეობს საერთო დადგენილი წესიდან, რომლის თანახმად, ცალკეულ კონ-

კრეტულ შემთხვევაში ამის უფლება ეძლევათ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

შენობების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ 1967 წელს დამტკიცებული ინსტრუქციის 29-ე პარაგრაფის თანახმად, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომების კომპეტენციაში შედის შენობების უფლებრივი რეგისტრაცია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ფაქტობრივ მფლობელს არ გააჩნია უფლების დამდგენი საბუთი, მაგრამ წარმოადგინა ამ უფლების ისეთი არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები, როგორც არის: საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე გაცემული საბანკო სესხის ვალდებულება, აღმასკომის და კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებათა ამონაწერები მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. მიწის რენტის და გადასახადების გადახდის შესახებ საგადასახადო დოკუმენტები, სადაზღვევო პოლისი ან ქვითრები, საინვენტარიზაციო დოკუმენტები, სახლის დამტკიცებული პროექტი და სხვ. ამ ინსტრუქციის 30-ე პარაგრაფის შესაბამისად, საკუთრების უფლებით შენობის კუთვნილების საკითხის განხილვა სასამართლოს ქვემდებარეა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც არ არსებობს საკუთრების უფლების პირდაპირი ან არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები ან ეს საბუთები არსებობს, მაგრამ ეჭვს იწვევს მისი ნამდვილობა და ამ ვითარებაშიც სასამართლო საქმეს განიხილავს არა იურიდიული ფაქტის დადგენის წესით, არმედ საერთო სასარჩელო წესით. სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ნორმა ფაქტობრივად არ მოქმედებს.

სასამართლოებმა უნდა გამოიჩინონ საკუთრების უფლებით შენობის კუთვნილების საკითხის დადგენა, როდესაც ფაქტობრივ მესაკუთრეს არ გააჩნია უფლების დამდგენი დოკუმენტი, უნებართვო ნაგებობის მენაშენის მოთხოვნისაგან ამ ნაგებობაზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ, რომელიც ცდილობს მიაღწიოს კანონის გვერდის ავლით ცნონ მისი საკუთრების უფლება ასეთ ნაგებობაზე.

ის გარემოება, რომ თვითნებური მშენებლობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოცხადებულია კანონგარეშე და მისი უფლებრივი მდგომარეობა არ არის მოწესრიგებული კანონმდებლობით, თავის გამოხატულებას პოვებს ამ სახლების ექსპლოატაციის დროსაც. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად, ასეთ ბინებში მცხოვრებთ არ აძლევენ კაპიტალური შეკეთების, რეკონსტრუქციის ნებართვას. ურომლისოდაც ნაგებობა ავარიული ხდება, რაც მოქალაქეთა უკმაყოფილებას და საჩივრებს იწვევს. უნებართვო შენობების რიცხვი კი რამდენიმე ათეულ ათასს აღემატება.

ქ ე ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საპარტველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო
სასამართლოების არჩევნების შესახებ

პარი I

ჯოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევის ძირითადი პრინციპები. საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად სასამართლოების სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათი სამუშაო ან საქმიანობის ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე — ჯარის ნაწილებში ღია კენჭისყრით ორ-ნახევარი წლის ვადით.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიოს. გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად; რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 25 წელი შეუსრულდა.

აკრძალულია საქართველოს სსრ მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცემულ ადგილზე ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა თუ ხასიათის გამო.

მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს; ყველა ამომრჩეველი თანასწორად საფუძველზე მონაწილეობს არჩევნებში.

ქალებსა და მამაკაცებს თანასწორი საარჩევნო უფლებები აქვთ.

სამხედრო მოსამსახურეები ყველა მოქალაქის თანასწორად სარგებლობენ საარჩევნო უფლებებით.

მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნები პირდაპირია. სახალხო მოსამართლესა და სახალხო მსაჯულს მოქალაქენი უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 5. ფარული კენჭისყრა სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დროს. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი არ დაიშვება.

მუხლი 6. სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეთა საარჩევნო უფლებები. სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქენი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობენ სა-

ქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორი უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად.

მუხლი 7. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების შექმნა. საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები იქმნება რაიონში, ქალაქში (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონში; რაიონისა და ქალაქისათვის შეიძლება შეიქმნას ერთი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო.

მუხლი 8. რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში ასარჩევ სახალხო მოსამართლე-თა და სახალხო მსაჯულთა რაოდენობა. თითოეულ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში ასარჩევ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა რაოდენობას აწესებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებში, თბილისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსის წარდგინებით.

მუხლი 9. სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარება საარჩევნო ოლქებში. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს საარჩევნო ოლქების მიხედვით ირჩევენ. თითოეული საარჩევნო ოლქიდან ირჩევენ ერთ სახალხო მოსამართლეს.

მუხლი 10. სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 11. საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების მონაწილეობა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საქავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში როგორც საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

საქართველოს სსრ მოქალაქენი არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების, ამომრჩეველთა წინასარჩევნო კრებების მეშვეობით.

მუხლი 12. სახალხო მოსამართლეობისა და სახალხო მსაჯულობის კანდიდატების დასახელების უფლება. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეობისა და სახალხო მსაჯულობის კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროფესიული კავშირების, სრულიად საქავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს.

საქართველოს სსრ მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გარანტირებულია სახალხო მოსამართლეობისა და სახალხო მსაჯულობის კანდიდატების პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი აკრედიციის უფლება.

მუხლი 13. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა არჩევნების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის. საარჩევნო კომისიათა წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდ-

ბობის პირებს, რომლებმაც სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დროს გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება ან დაუშვეს ამ კანონის სხვა დარღვევები, აგრეთვე პირებს, რომლებიც ხელს შეუშლიან საქართველოს სსრ მოქალაქეს თავისუფლად განაზორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული სახალხო მოსამართლედ ან სახალხო მსაჯულად, ეცისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

პარი II

სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარების წესი

თავი I

სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარების წესი

მუხლი 15. არჩევნების დანიშვნის წესი. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები ტარდება ერთი დღის განმავლობაში რომელიც საერთოა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის, და როგელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ბრძანებულება არჩევნების დანიშვნის შესახებ პრესაში ქვეყნდება არა უგვიანეს ორი თვისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის ვასვლამდე.

მუხლი 16. საარჩევნო ოლქების შექმნა. სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის ტერიტორიაზე ქმნის საარჩევნო ოლქებს.

თითოეული რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქების რაოდენობას აწესებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ასარჩევ სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის მიხედვით.

საარჩევნო ოლქები მოსახლეობის თანაბარი რაოდენობის მიხედვით იქმნება რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის მთელ ტერიტორიაზე. საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენისას გაითვალისწინება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და სხვა თავისებულებანი.

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საარჩევნო ოლქების სიებს აქვეყნებენ არა უგვიანეს მეთუ დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

თავი II

საარჩევნო უბნები

მუხლი 17. საარჩევნო უბნების შექმნა. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების კენჭისყრის ჩასატარებლად და ხმების დასათვლელად რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბნები იქმნება ჯარის ნაწილებშიც.

საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო ნავსადგურებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე.

არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე შექმნილი საარჩევნო უბნების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო ოლქებისადმი მიკუთვნების საკითხს წყვეტენ საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომლების ტერიტორიაზეა გემების მიწერის ნავსადგურები.

მუხლი 18. საარჩევნო უბნების შექმნის წესი. საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ ვეგებზე საარჩევნო უბნებს ქმნიან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. რომელთა ტერიტორიაზეა გემების მიწერის ნავსადგურები.

ჯარის ნაწილებში საარჩევნო უბნებს ქმნიან ნაწილების ან ჯარის შენაერთების მეთაურები სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

საარჩევნო უბნები იქმნება არა უგვიანეს ნეთხთომეტე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ. ჯარის ნაწილებში, აგრეთვე დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო ნავსადგურებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ ვეგებზე საარჩევნო უბნები იქმნება ამავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში — არა უგვიანეს ხუთი დღისა არჩევნებამდე.

შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აწესებს საარჩევნო უბნების ერთიან ნუმერაციას რაიონის, ქალაქის, რაიონის ფარგლებში, აცნობებს მოსახლეობას თითოეული საარჩევნო უბნის საზღვრებს და საუბნო საარჩევნო კომისიისა და ხმის მიცემის შენობის ადგილსამყოფელს.

მუხლი 19. საარჩევნო უბნების შექმნის ნორმები. დასახლებულ პუნქტში ან დასახლებული პუნქტების ჯგუფში საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 100 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლისთვის.

რაიონებშიცადაც მცირე დასახლებული პუნქტები ქარბობს, აგრეთვე მთის რაიონებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ ვეგებზე საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას, თუ არის სულ ცოტა 20 ამომრჩეველი.

ჯარის ნაწილებში საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლისათვის.

სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, აგრეთვე საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას, თუ არის სულ ცოტა 50 ამომრჩეველი.

თავი III

ამომრჩეველთა სიები

მუხლი 20. ამომრჩეველთა სიებში მოქალაქეთა შეტანის წესი. ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომელთაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს 18 წელი შეუსრულდათ და სიების შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ (მუდმივად ან დროებით) სახალხო დეპუტატთა მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე. თუ არ არსებობს მოქალაქის დაბადების დღისა და თვის შესახებ ზუსტი მონაცემები, იგი ჩაითვლება შესაბამისი წლის პირველ იანვარს დაბადებულად, ამომრჩევლის შეტანა ამომრჩეველთა ერთზე მეტ სიაში არ შეიძლება.

საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას, რაც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ მოქალაქენი, რომლებიც შეშლილებად არიან ცნობილი მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ორგანოს მიერ შექმნილი საექიმო კომისიის დასკვნით. აღნიშნული დასკვნა შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრება უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ.

მუხლი 21. ამომრჩეველთა სიების შედგენა. ამომრჩეველთა სიებს თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით ადგენენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და ხელს აწერენ შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ ვეგებზე ამომრჩეველთა სიებს ადგენენ და ხელს აწერენ ჯარის ნაწილების მეთაურები. საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებულ



ამ სიებში შეიძლება შეიტანონ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრები და სხვა ამომრჩევლები; თუ ისინი ჯარის ნაწილების განლაგების რაიონებში ცხოვრობენ, ჯარის ნაწილების გარეთ მცხოვრები სამხედრო მოსამსახურენი ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საჭრთო საფუძველზე.

არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე ამომრჩეველთა სიებს ადგენენ და ხელს აწერენ გემების კაპიტნები.

ამომრჩეველთა სიებს, რომლებიც დასასვენებლად ან სამკურნალოდ იმყოფებიან სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, აგრეთვე საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ადგენენ ამ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ეს დაწესებულებები.

ამომრჩეველთა გვარები ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ ანბანის მიხედვით.

მუხლი 22. მოქალაქეებისათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა. ამომრჩეველთა სიებს საყოველთაო გაცნობისათვის წარმოადგენენ არჩევნებამდე 20 დღით ადრე.

სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც ამომრჩეველთა სიები შეადგინა, უშუალოდ ან საუბნო საარჩევნო კომისიების მეშვეობით აცნობებს ამომრჩევლებს სიების გაცნობის ადგილსა და დროს.

მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ ამომრჩეველთა სიებს და შეამოწონ მათი შედგენის სისწორე შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ან საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

მუხლი 23. მოქალაქეთა უფლება გასაჩივრონ უსწორობანი ამომრჩეველთა სიაში. ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში შეტანილობა, უსწორო შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში ჩაწერილი გვარის, სახელის, მამის სახელისა და ამომრჩევლის შესახებ სხვა მონაცემების უზუსტობანი.

ამომრჩეველთა სიაში უსწორობათა შესაებ განცხადება წარედგინება სიის შემდგენელ სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ჯარის ნაწილის მეთაურს, გემის კაპიტანს, რომლებიც მოვალე არიან არა უგვიანეს ორი დღის ვადაში განიხილონ ასეთი განცხადება და შეიტანონ საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში ან მისცენ განმცხადებელს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი.

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი სამი დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 24. ხმის მიცემის უფლების მოწმობა. თუ ამომრჩეველმა შეიცვალა თავისი ადგილსამყოფელი საყოველთაო გაცნობისათვის ამომრჩეველთა სიების წარმოდგენისა და არჩევნების დღეს შორის პერიოდში, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. მოწმობა გაიცემა ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, რომელშიც კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში ნებისმიერ საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამომრჩეველთა დამატებით სიას ადგენს საუბნო საარჩევნო კომისია და ხელს აწერენ მისი თავმჯდომარე და მდივანი.

თავი IV

საარჩევნო კომისიების შექმნა

მუხლი 25. სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო კომისიები. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

რაიონში, ქალაქში (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონში — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია; საარჩევნო უბანში — საუბნო საარჩევნო კომისია.

მუხლი 26. წარმომადგენელთა დასახელება საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო კომისიები იქმნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საქავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

წარმომადგენლებს რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ასახელებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, მათი პირველადი ორგანიზაციები, აგრეთვე შრომითი კოლექტივები და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში მრონითი კოლექტივების წარმომადგენლებს ასახელებენ კოლექტივების საერთო კრებებზე, რომელთაც იწვევენ პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები. დიდ შრომით კოლექტივებში კრებები შეიძლება ჩატარდეს საამქროების, უბნების, ცვლების, ბრიგადების, განყოფილებების მიხედვით. საარჩევნო კომისიების შემადგენლობა ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

მუხლი 27. რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიების შექმნა. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 6-10 წევრის შემადგენლობით.

საარჩევნო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს მეთორმეტე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

რაიონისა და ქალაქისათვის ერთი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნის შემთხვევაში სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული ან საქალაქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 28. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა. საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის, 4-16 წევრის შემადგენლობით. იმ საარჩევნო უბნებში კი, სადაც 100-ზე ნაკლები ამომრჩეველია, — თავმჯდომარის, მდივნისა და 1-3 წევრის შემადგენლობით. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ოცდამეათე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

საჭიროების შემთხვევაში საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ გაზარდონ დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, სახლვაო ნავსადგურებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე შექმნილი საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიების რიცხობრივი შემადგენლობა, აგრეთვე მაშინ, როცა უბნის ტერიტორიაზე არის მცირე დასახლებული პუნქტები, გეოლოგიური პარტიები, სამეცნიერო ექსპედიციები.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე, ანდა მდივანი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში თავისუფლდებიან საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან 30 კალენდარული დღით და უნარჩუნდებთ სამუშაო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

მუხლი 29. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის წესი. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი ან წევრი კომისიაში თავისი მოვალეობისაგან შეიძლება გაანთავისუფლოს კომისიის შემადგენლობის დამამტკიცებელმა ორგანომ პირადი განცხადების ან მისი დამსახურებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კრების წარდგინების საფუძველზე. საარჩევნო კომისიაში ახალი წარმომადგენლის დასახელება და კომისიის შემადგენლობაში მისი დამტკიცება წარმოებს ამ კანონით დადგენილი წესით.

თავი V

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება და მუშაობის წესი

მუხლი 80. რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია:

- ა) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს;
- ბ) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას;
- გ) ისმენს საუბნო საარჩევნო კომისიების, ადგილობრივი სახელმწიფო, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანოების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- დ) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების შედგენასა და საყოველთაო გაცნობისათვის წარდგენას;
- ე) კონტროლს უწევს საუბნო საარჩევნო კომისიების შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფას და განიხილავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;
- ვ) რეგისტრაციაში ატარებს დასახელებულ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს;
- ზ) ამტკიცებს თითოეული საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს;
- თ) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების დამზადებას და ბიულეტენებით ამარაგებს საუბნო საარჩევნო კომისიებს;
- ი) ადგენს არჩევნების შედეგებს თითოეული საარჩევნო ოლქის მიხედვით და აჯამებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგებს;
- კ) რეგისტრაციაში ატარებს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში არჩეულ სახალხო მოსამართლეებს;
- ლ) განიხილავს განცხადებებს და საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების არასწორი მოქმედების შესახებ და მათ გამო გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილებანი;
- მ) განახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 81. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება. საუბნო საარჩევნო კომისია:

- ა) აცნობს ამომრჩეველებს ამომრჩეველთა სიას, იღებს განცხადებებს ამომრჩეველთა სიაში უსწორობათა შესახებ და შეაქვს ისინი სიის შემდგენელი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ჯარის ნაწილის მეთაურის, გემის კაპიტნის განსახილველად;
- ბ) ამომრჩეველთა სიის საფუძველზე ამომრჩეველებს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას ამ კანონის 24-ე მუხლის გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- გ) ადგენს ამომრჩეველთა დამატებით სიას იმ პირებისათვის, რომლებიც საარჩევნო უბანში ხმის მიცემის უფლების მოწმობით მივიდნენ;
- დ) მოსახლეობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების დღეს და ხმის მიცემის ადგილს;
- ე) უზრუნველყოფს ხმის მიცემისათვის შენობის მომზადებასა და საარჩევნო ყუთების დამზადებას;
- ვ) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;
- ზ) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და საარჩევნო უბანში ხმის მიცემის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს;
- თ) ითვლის საარჩევნო უბანში თითოეული სახალხო მოსამართლეობის კანდიდატისათვის მიცემულ ხმებს;
- ი) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 82. საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესი. საარჩევნო კომისიის სხდომებს იწვევს მისი თავმჯდომარე და ეს სხდომები უფლებამოსილია, თუ მათში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილებანი მიიღება ღია კენჭისყრით კომისიის საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმ-



რავლესობით. კომისიის წევრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან მის გადაწყვეტილებას, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს.

საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია მათი უფლებამოსილების ფარგლებში, შესასრულებლად სვალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 33. საჯაროობა საარჩევნო კომისიების მუშაობაში. საარჩევნო კომისიებია ინფორმაციას აწვდიან მოსახლეობას თავიანთი სხდომებისა და მიღებული გადაწყვეტილებების, მათ შიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. კომისიების სხდომებს შეიძლება დაესწრონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლები.

მუხლი 34. უფლებამოსილების განხორციელებაში საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, თანამდებობის პირები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს უფლებამოსილების განხორციელებაში, მიაწოდონ მუშაობისათვის საჭირო ცნობები და მასალები.

საარჩევნო კომისიის უფლება აქვს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან განიხილონ აღძრული საკითხი და საარჩევნო კომისიის პასუხი გასცენ არა უგვიანეს სამი დღის ვადაში.

თავი VI

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელება

მუხლი 35. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელების წესი. რაიონული (საქალაქო) სახალხო მოსამართლეობის სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს ასახელებენ საარჩევნო ოლქების მიხედვით. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელება იწყება არჩევნების დანიშნვიდან ოცდამეხუთე დღეს და მთავრდება არჩევნებამდე ოცი დღით ადრე.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს ასახელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საქავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მათი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოების სახით, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

შრომითი კოლექტივებისაგან სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელება წარმოებს კოლექტივების საერთო კრებებზე, რომლებსაც იწვევენ პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები. დიდ შრომითს კოლექტივებში კრებები შეიძლება ჩატარდეს საამქროების, უბნების, ცვლების, ბრიგადების, განყოფილებების მიხედვით.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელებლად სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევენ ჯარის ნაწილის მეთაურობა. თუ შეუძლებელია ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრების მოწვევა, კრებები ჩატარდება ქვეგანყოფილებაში.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელებლად მოწვეული კრების თათოვეულ დამსწრეს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს კანდიდატურების განხილვაში, მხარი დაუჭიროს დასახელებულ კანდიდატურებს ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კრების მონაწილეთა ხმებს უმრავლესობით ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს საერთო შემადგენლობის ხმების უმრავლესობით და დაუყოვნებლივ ეცნობება კანდიდატად დასახელებულ პირს.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატად დასახელების შესახებ ღვება ოქმი, რომელშიც აღინიშნება: კანდიდატის დამსახელებელი ორგანიზაციის სახელწოდება, კრების ან სხდომის ჩატარების ადგილი და დრო, სხდომისა თუ კრების მონაწილე პირთა რიცხვი, კანდიდატის დასახელების სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობა, კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი ასაკი, საქმიანობა და საცხოვრებელი ადგილი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, კრებები, რომლებმაც სახალხო

მოსამართლეობის კანდიდატები დაასახელეს, მოსახლეობას აცნობებენ დასახელებული სახალხო მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ პრესის, ტელევიზიის, რადიოს, ინფორმაციის სხვა საშუალებათა მეშვეობით, აგრეთვე მათ შეუძლიათ აირჩიონ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები.

მუხლი 36. დასახელებული სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებისათვის მხარდაჭერის უფლება. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ან ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ დასახელებულ კანდიდატურებს, აგრეთვე აირჩიონ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები.

მუხლი 37. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დამსახელებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, შრომითს კოლექტივს, კრებას უფლება აქვთ არჩევნებამდე ნებისმიერ დროს გააუქმონ თავიანთი გადაწყვეტილება სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების შესახებ. ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელებლად გათვალისწინებული წესით და წარედგინება სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიას.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატს შეუძლია არჩევნებამდე ნებისმიერ დროს მოხსნას თავისი კანდიდატურა. კანდიდატს განცხადება თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ შეაქვს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიაში.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების ან კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნის თაობაზე რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია აცნობებს საარჩევნო ოლქის მოსახლეობას.

მუხლი 38. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესი. ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დასახელებულ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება არჩევნებამდე 25 დღით ადრე და მთავრდება 15 დღით ადრე.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაცია წარმოებს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის სხდომაზე, თუ არის შემდეგი დოკუმენტები: მოცემულ საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების შესახებ საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს სხდომის, შრომითი კოლექტივის კრების, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კრების ოქმი; სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის განცხადება იმის შესახებ, რომ თანახმაა ექნა იყაროს ამ საარჩევნო ოლქში. რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია სახალხო მოსამართლეობის თითოეული კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ ადგენს ოქმს.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს ყველა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი, რომლებიც თითოეულ საარჩევნო ოლქში დასახელებული არიან ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია არა უგვიანეს მეხუთე დღისა რეგისტრაციის შემდეგ აქვეყნებს ცნობას სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე და მონაცემებს, რეგისტრირებულ კანდიდატთა შესახებ.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატს შეუძლია ექნა იყაროს მხოლოდ ერთ რაიონულ (საქალაქო) სახალხო მოსამართლეობაში და მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი არ შეიძლება შედიოდეს რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიაში ან საუბნო საარჩევნო კომისიაში, რომელიც აწყობს ექვსისურას მოცემულ საარჩევნო ოლქში. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატად დასახელებული პირი, რომელიც შედის ერთ-ერთ აღნიშნულ კომისიაში, თავისუფლდება კომისიაში დაკისრებული მოვალეობისაგან მისი სახალხო მოსამართლეობის კანდიდატად რეგისტრაციის მომენტიდან.



მუხლი 39. გამოკლებულის ნაცვლად ახალი სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების წესი. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის გამოკლების შემთხვევაში, თუ საარჩევნო ოლქში სხვა კანდიდატები არ დარჩნენ, სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს მიმართავს წინადადებით დასახელონ ახალი სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი.

თუ არჩევნებამდე დარჩენილ დროში შეუძლებელია ახალი სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელება, რეგისტრაციაში გატარება და განხილვა, საარჩევნო ოლქში არჩევნები ტარდება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 40. საარჩევნო ბიულეტენი. თითოეული საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს ამტკიცებს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია. ბიულეტენში ანბანის მიხედვით შეაქვეთ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ყველა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი, ამასთან აღინიშნება თითოეული მათგანის გვარი, სახელი, მამის სახელი, კანდიდატთა დამსახურებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების სახელწოდება.

საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება მოცემული საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე. ბიულეტენებს მიაწვდიან საარჩევნო ოლქის ყველა საუბნო საარჩევნო კომისიას არა უგვიანეს ხუთი დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 41. ამომრჩეველთა კრებები სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებთან შესახვედრად. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატების ამომრჩეველბთან შესახვედრად ტარდება კრებები, რომლებსაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან სახალხო დემუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები იწვევენ. კრებები ეწყობა შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით კრების ჩატარების დრო და ადგილი წინასწარ ეცნობებათ ამომრჩეველებს.

მუხლი 42. წინასაარჩევნო აგიტაცია. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, რომლებმაც სახალხო მოსამართლეობის კანდიდატები დაასახელეს ან მათ მხარდასუპერად გამოვიდნენ, ეძლევათ თავიანთი კანდიდატების სასარგებლოდ შეუფერხებელი აგიტაციის უფლება.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებს უფასოდ ეთმობათ შენობები კრებების ჩასატარებლად, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი წინასაარჩევნო აგიტაციისათვის.

თითოეული მოქალაქისათვის გარანტირებულია წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება.

აგიტაცია არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობაში არ დაიშვება.

თავი VII

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის სამომავლოდ პირითაღი გარანტიები

მუხლი 43. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის კრებებზე გამოხვლისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობის უფლება. ყველა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატს რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიების მიერ მათ რეგისტრაციის დროიდან აქვს თანასწორი უფლება მონაწილეობდეს და გამოდიოდეს წინასაარჩევნო კრებებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთა.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალე არიან ხელი შეუწყონ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატს ამომრჩეველბთან შეხვედრების მოწყობაში, წინასაარჩევნო კრებების ჩატარებაში, საჭირო საცნობარო და საინფორმაციო მასალების მიღებაში.

მუხლი 44. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის განთავისუფლება საწარმოო ან სამსახურეობრივი მოვალეობისაგან წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის. სახალხო

მოსამართლეობის კანდიდატი ამომრჩევლებთან შეხვედრების ჩატარების, წინასაარჩევნო კრებებზე, ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლის დროის განმავლობაში თავისუფლდება საწარმოო ან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან, ამასთან უნარჩუნდება საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

თავი VIII

ხმის მიცემისა და არჩევნების შედეგების შეჯამების წესი

მუხლი 45. ხმის მიცემის დრო და ადგილი. ხმის მიცემა ტარდება არჩევნების დღეს დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე ადგილობრივი დროით. ხმის მიცემის დროსა და ადგილს საუბნო საარჩევნო კომისია ყველა ამომრჩეველს აცნობებს არა უგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე.

არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე, ჯარის ნაწილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში. აგრეთვე შესაბამისი სახალხო დებუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვით, მთის რაიონებში განლაგებულ საარჩევნო უბნებში, სადაც მიმოსვლის პირობების გამო არჩევნების დღეს ვერ ჩავლენ კენჭისყრის უფლების მოწმობის მქონე ამომრჩევლები, ხმის მიცემა შეიძლება დამთავრდეს საღამოს 10 საათზე ადრეც, თუ ხმა მისცა სიებში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

მუხლი 46. ხმის მიცემის ჩატარება. ყოველ საარჩევნო უბანში ხმის მიცემა ტარდება სპეციალურად გამოყოფილ შენობაში, სადაც მოწყობილი უნდა იყოს კაბინები ან ოთახები ფარული კენჭისყრისათვის, განსაზღვრული უნდა იყოს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილი და დადგმული — საარჩევნო ყუთები. ხმის მიცემის ორგანიზაციისა და შენობაში წესრიგის უზრუნველყოფისათვის პასუხს აგებს საუბნო საარჩევნო კომისია.

ხმის მიცემის დაწყებამდე საარჩევნო ყუთებს ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით. ამას შეიძლება დაესწრონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების, პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლები.

ყოველი ამომრჩეველი პირადად აძლევს ხმას. საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენებს აძლევს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის რაიმე სხვა მოწმობის წარდგენისას. საარჩევნო ბიულეტენების გაცემის შესახებ ამომრჩეველთა სიაში აკეთებენ აღნიშვნას.

საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია გამონაკლისის სახით ცალკეული ამომრჩევლებისათვის, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის ან მიმოსვლის პირობების გამო არ შეუძლიათ პირადად მისვლა ხმის მიცემის შენობაში, მათი თხოვნით, დაავალოს კომისიის ერთ ან რამდენიმე წევრს მოაწყონ კენჭისყრა ამ ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას. დიდ რკინიგზის სადგურებში შექმნილი საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ როგორც სადგურებში, ისე შორეული მიმოსვლის სამგზავრო მატარებლებში მყოფ ამომრჩეველთა ხმის მიცემას.

მუხლი 47. საარჩევნო ბიულეტენების შევსების წესი. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ხმის მიცემის გარდა სხვა პირის ყოფნა. ამომრჩეველს, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს სხვა პირი თავისი შეხედულებისამებრ, საარჩევნო კომისიის წევრის გარდა.

ამომრჩეველი ბიულეტენის შევსებისას მასში ჯოვებს იმ კანდიდატის გვარს, ვისაც ხმას აძლევს, და ზღის დანარჩენთა გვარებს. ამომრჩეველი ხმას აძლევს საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაშვების გზით.

მუხლი 48. ხმების დათვალი საარჩევნო უბანში. საარჩევნო უბანში ხმებს ითვლის საუბნო საარჩევნო კომისია.

საარჩევნო ყუთებს ხსნის საუბნო საარჩევნო კომისია მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე გამოაცხადებს, რომ ხმის მიცემა დამთავრებულია. საარჩევნო ყუთების ვახსნა

ხმის მიცემის დამთავრებამდე აკრძალულია. საარჩევნო ყუთების გახსნამდე საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა გააუქმოს ყველა ბიულეტენი, რომელიც არ მიუციათ ამომრჩეველთათვის.

საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიგზის მიხედვით ადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვს უბანში, აგრეთვე იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს. საარჩევნო ყუთებში არსებული ბიულეტენების საუკუაქველზე საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვს, თითოეული სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას, აგრეთვე ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

ბათილად ცნობენ დაუწყებელი ნიმუშის ბიულეტენებს, აგრეთვე ბიულეტენებს, რომლებშიც კენჭისყრის დროს ერთზე მეტი კანდიდატია დატოვებული. საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაზე ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის გზით.

ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლებს.

მუხლი 49. საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმი. ხმების დათვლის შედეგები განიხილება საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეიტანება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები, და დაუყოვნებლივ ეგზავნება სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონულ, საქალქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიას. ოქმს თან ერთვის კომისიის წევრთა განსაკუთრებული აზრი, კომისიაში შემოსული განცხადებები და საჩივრები კენჭისყრის ან ხმების დათვლის დროს დაშვებული დარღვევების შესახებ. აქტი, რომელიც დგება საარჩევნო ყუთზე პლომბის ან ლუქის დაზიანების შემთხვევაში.

მუხლი 50. ოქმი არჩევნების შედეგებს დადგენა. თითოეულ საარჩევნო ოქმში არჩევნების შედეგებს ადგენს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია.

საუბნო საარჩევნო კომისიათა ოქმების საუკუაქველზე რაიონული, საქალქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია ადგენს: ოქმის ამომრჩეველთა საერთო რიცხვს; საარჩევნო ბიულეტენების მიმღებ ამომრჩეველთა რაოდენობას; ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას; თითოეული სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

არჩეულად ჩაითვლება სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მიიღებს ოქმის ყველა ამომრჩევლის ხმების ნახევარზე მეტს.

რაიონულ, საქალქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიის შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს არჩევნების ან ხმების დათვლის დროს დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

რაიონული, საქალქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია არჩევნებს ჩატარებულად არ თვლის, თუ მათში მონაწილეობდა ამომრჩეველთა სიგზში შეტანილი ამომრჩევლების ნახევარზე ნაკლები, აგრეთვე სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ოქმში რეგისტრირებული იყო ერთი კანდიდატი.

ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების დადგენაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლებს.

მუხლი 51. რაიონული, საქალქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის ოქმი თითოეულ საარჩევნო ოქმში არჩევნების შედეგებს ადგენენ სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები. ოქმს თან ერთვის კომისიის წევრთა განსაკუთრებული აზრი, თუ ასეთი არსებობს, კომისიაში შემოსული განცხადებები და საჩივრები კენჭისყრის, ხმების დათვლის ან არჩევნების შედეგების დადგენის დროს დაშვებული დარღვევების შესახებ.

მუხლი 52. სახალხო მოსამართლეთა რეგისტრაცია. არჩევნების შედეგების გამოკვეთება. სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგების დადგენის შემდეგ რეგისტრაციაში ატარებს თითოეულ საარჩევნო ოქმში არჩეულ სახალხო მოსამართლეს.



რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია უარს ამბობს სახალხო მოსამართლის რეგისტრაციაზე იმ შემთხვევაში, როცა არჩევნები ბათილად არის ცნობილი.

ცნობას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ და არჩეულ სახალხო მოსამართლეთა სიას რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია აქვეყნებს არა უგვიანეს მეშვიდე დღისა არჩევნების შემდეგ. არჩეულ სახალხო მოსამართლეთა სიას გადასცემენ შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც მას უგზავნის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ ან აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებას.

თავი IX

ხელახალი არჩევნები, გამოკლებულთა ნაცვლად ახალ სახალხო მოსამართლეთა არჩევნები, არჩევნები ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში

მუხლი 53. ხელახალი არჩევნები. თუ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატობაგან, რომლებმაც კენჭი იყარეს საარჩევნო ოლქში, არც ერთი არ იქნა არჩეული, ანდა თუ საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა ან ბათილად იქნა ცნობილი, სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია წყვეტს საკითხს ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ. ამასთან იგი სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მიმართავს წინადადებით დამტკიცოს მოცემული საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების ახალი შემადგენლობა.

ხელახალი არჩევნები ტარდება ერთი თვის ვადაში ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ხმის მიცემა წარმოებს იმავე საარჩევნო უბნებში და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩასატარებლად შედგენილი ამომრჩეველთა სიებით.

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცება, სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაცია და სხვა ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონის 52-ე მუხლით დადგენილ ვადებში.

მუხლი 54. გამოკლებულთა ნაცვლად ახალ სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარება. უფლებამოსილებას ვადის გასვლამდე სახალხო მოსამართლის გამოკლების შემთხვევაში შესაბამის საარჩევნო ოლქში თვე-ნახევრის ვადაში ჩატარდება ახალი არჩევნები. არჩევნებს შესაბამისად ნიშნავენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ერთი თვისა არჩევნების ჩატარებამდე და იგი ეწყობა ამ კანონის შესაბამისად. ამასთან რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია იქმნება მესამე დღეს, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიები — არჩევნების დანიშვნის მეხუთე დღეს. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე 10 დღით ადრე.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ხმის მიცემა შეიძლება დამთავრდეს სადამოს 10 საათზე ადრეც, თუ ხმა მისცა ამომრჩეველთა სიებში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე ან მდივანი თანესუფლებიან საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში 20 კალენდარული დღით და უნარჩუნდებათ უშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

თუ სახალხო მოსამართლე გამოაკლდა იმ პერიოდში, როდესაც მისი უფლებამოსილებას ვადის გასვლამდე ოთხ თვეზე ნაკლებია დარჩენილი, გამოკლებულის ნაცვლად ახალი სახალხო მოსამართლის არჩევნები არ ჩატარდება.

მუხლი 55. სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარება ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში. დამატებითი არჩევნები. ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში სახალხო მოსამართლეთა არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევებში, როდესაც რა-



იონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნა შეუძლებელია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ სახალხო მოსამართლეთა არეოვნის გამო.

სახალხო მოსამართლეთა დამატებითი არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შესაქმნელად არასაკმარისია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ სახალხო მოსამართლეთა რაოდენობა, აგრეთვე როდესაც რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში ვაზრდილია სახალხო მოსამართლეთა რაოდენობა.

ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში სახალხო მოსამართლეთა არჩევნებს და სახალხო მოსამართლეთა დამატებითი არჩევნებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ერთი თვისა რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნის, ან რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის ვაზრდის შემსახებ გადაწყვეტილების მიღებიდან და არჩევნები ტარდება ამ კანონის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში ჯერ კიდევ არ არის არჩეული სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საარჩევნო ოლქებს ქმნიან, საარჩევნო კომისიებს შემადგენლობას ამტკიცებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, არჩევნების დაქმნიანობის შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სახალხო მოსამართლეთა დამატებითი არჩევნები ტარდება საარჩევნო ოლქებში, რომლებიც შექმნილია სახალხო მოსამართლეთა არჩევნების არსებული საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილებათა ხარჯზე.

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცება, სახალხო მოსამართლობის კანდიდატთა რეგისტრაცია და სხვა ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონის 54-ე მუხლით დადგენილ ვადებში.

პარი III

სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების წესი

თავი X

სახალხო მსაჯულთა არჩევნების ორგანიზაცია

მუხლი 56. არჩევნების დანიშვნის წესი. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნებს ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სახალხო მსაჯულთა არჩევნების დანიშვნის შესახებ პრესაში ქვეყნდება არა უგვიანეს 30 დღისა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

სახალხო მსაჯულთა არჩევნების დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, დაადგენენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების ვადას შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის მიხედვით.

რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებისა და ქალაქების რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ვადას დაადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 57. არჩევნების ორგანიზაცია. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნებს აწყობენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი.

ჯარის ნაწილებში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნებს აწყობს ჯარის ნაწილების მეთაურობა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს;

ბ) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნების არასწორად ჩატარების შესახებ;

გ) განსაზღვრავს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგებს რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის მიხედვით, ადგენს და ამტკიცებს არჩეულ სახალხო მსაჯულთა სიას;

დ) აძლევს არჩეულ სახალხო მსაჯულებს სახალხო მსაჯულის მოწმობას;

ე) აქვეყნებს ცნობას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების შესახებ;

ვ) განახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 58. არჩევნების ჩატარების წესი. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები ტარდება მოქალაქეთა კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე — ჯარის ნაწილებში.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა ასარჩევად კრებებს იწვევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოლპერაკიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევს ჯარის ნაწილის მეთაურობა. თუ შეუძლებელია ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრების მოწვევა, კრება ტარდება ქვეგანყოფილებაში.

მოქალაქეთა კრებას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იწვევს სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

კრებები ტარდება შრომით კოლექტივებში, ჯარის ნაწილებსა და დასახლებულ პუნქტებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 100 კაცზე ნაკლებია, არჩევნები ტარდება სხვა შრომით კოლექტივებთან, ჯარის ნაწილებთან და სხვა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ამომრჩევლებთან ერთად.

დიდ შრომით კოლექტივებში კრებები შეიძლება ჩატარდეს საამქროების, უბნების, ცვლების, ბრიგადების, განყოფილებების მიხედვით.

სახალხო მსაჯულთა ასარჩევი კრების დროისა და ადგილის შესახებ მოქალაქეებს აცნობებენ არა უგვიანეს სამი დღისა კრებამდე.

კრება ჩაითვლება უფლებამოსილად, თუ მასში მონაწილეობს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა უმრავლესობა ან ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულობის კანდიდატებს ასახელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოლპერაკიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

თითოეულ კრების დამსწრეს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს დასახელებული კანდიდატურების განხილვაში, მხარი დაუჭიროოს წამოყენებულ კანდიდატურებს, ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები ტარდება დია კენჭისყრით თითოეულ კანდიდატურაზე ცალ-ცალკე.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს არჩეულ სახალხო მსაჯულებად ჩაითვლება ის პირები, რომლებმაც, მიიღეს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა, ჯარის



ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა ხმების ნახევარზე მეტი, ანდა ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კრებანზე აირჩევა პრეზიდიუმი და დღეობა ოქმი.

მუხლი 59. სახალხო მსაჯულთა საარჩევნო კრების ოქმი. ხმის მიცემის შედეგები შეიტანება კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობა.

კრების ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც შედგა კრება; კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლებულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; თითოეული სახალხო მსაჯულობის კანდიდატის გვარი, სახელი და მამის სახელი; თითოეული სახალხო მსაჯულობის კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა; თითოეული არჩეული სახალხო მსაჯულის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე არჩეული იყო თუ არა იგი ადრე სახალხო მსაჯულად.

კრების ოქმი ხელმოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ გადაეზავნება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 60. სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების დადგენა. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კრების ოქმების საფუძველზე ადგენს სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგებს და შეადგენს მოცემული რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიას.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს არჩევნების დროს დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არჩევნებს ჩატარებულად არ ჩათვლის, თუ მასში მონაწილეობდა მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა ან დასახლებულ პუნქტში მცხოვრებთა ნახევარზე ნაკლები.

სახალხო მსაჯულთა სიას ამტკიცებს რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და გადაუზავნის რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს.

თავი XI

ხელახალი არჩევნები, გამოკლებულთა ნაცვლად ახალ სახალხო მსაჯულთა არჩევნები, არჩევნები ახლად შეიქმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში.

მუხლი 61. ხელახალი არჩევნები. გამოკლებულთა ნაცვლად ახალ სახალხო მსაჯულთა არჩევნები. თუ სახალხო მსაჯულის არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი ან ჩატარებულად არ ჩაითვა, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აწყობს ხელახალ არჩევნებს.

იმ შემთხვევაში, თუ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯული გამოაკლდა მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, შეიძლება ჩატარდეს ახალი არჩევნები.

ხელახალი არჩევნები და გამოკლებულ სახალხო მსაჯულთა ნაცვლად არჩევნები ტარდება ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 62. სახალხო მსაჯულთა არჩევნები ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში და დამატებითი არჩევნები. ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში სახალხო მსაჯულთა არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნა შეუძლებელია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემაჯავლ ტერიტორიაზე არჩეულ სახალხო მსაჯულთა არყოფნის გამო.

სახალხო მსაჯულთა დამატებითი არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შესაქმნელად არასაკმარისია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემაჯავლ ტერიტორიაზე არჩეულ სახალხო მსაჯულთა რაოდენობა, აგრეთვე, როდესაც საჭიროა შესაბამისი სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გაზრდა.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახალხო მსაჯულთა არჩევნებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს



აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უტევინეს ერთი თვისა რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნის ან რაიონული (საქალაქო) სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებიდან და არჩევნები ტარდება ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

პარი IV

სახალხო მოსამართლედ არჩევის მოწოდება. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მოწოდებები. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და მათი შენახვის წესი. საარჩევნო უთვის ნიმუში

მუხლი 63. სახალხო მოსამართლედ არჩევის მოწოდება. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მოწოდებები. რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ თითოეულ არჩეულ სახალხო მოსამართლეს აძლევს მოსამართლედ არჩევის მოწოდებას.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარას ასსრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება თითოეულ არჩეულ სახალხო მოსამართლეს აძლევს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოწოდებას.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიის დამტკიცების შემდეგ თითოეულ არჩეულ სახალხო მსაჯულს აძლევს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულის მოწოდებას.

მუხლი 64. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და საარჩევნო უთვის ნიმუში. ამოწმებულია სიის, ხმის მიცემის უფლების მოწმობის, საარჩევნო კომისიების ოქმების ფორმებს. საარჩევნო ბიულეტენის ფორმასა და ფერს, საარჩევნო უთვის ნიმუშს. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის მოწმობის ფორმას. აგრეთვე რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიისა და სახალხო მსაჯულის მოწმობის ფორმებს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 65. საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესი. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო კომისიების საქმისწარმოებას საარჩევნო კომისიები თავიანთი მუშაობის დამთავრების შემდეგ გადასცემენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა სახალხო მსაჯულთა არჩევნების დოკუმენტების შენახვის წესს ადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. ლაშქარაშვილი**

გრიგოლ ბინაძის ხსოვნას



გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, სკკპ წევრი 1941 წლიდან, შრომის ვეტერანი, საქართველოს სსრ პროკურატურის ვეტერანთა საბჭოს წევრი გრიგოლ სამსონის ძე ბიწაძე. იგი დაიბადა 1909 წლის 17 აპრილს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ცხრუკვეთში (ამჟამად ქიათურის რაიონი) გლეხის ოჯახში. შრომითი საქმიანობა ცხრამეტე წლისამ დაიწყო. 1928-1930 წლებში მუშაობდა ქიათურის მაღაროში ჯერ მუშად, შემდეგ ბიბლიოთეკის გამგედ, ქიათურის მარგანტრესტის კულტ-მუშაკად. 1930-1933 წლებში სწავლობდა თბილისში, საბჭოთა აღმზენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში, იყო ამავე ინსტიტუტის მდივანი. 1933-1937 წლებში გ. ბიწაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ მუშაობდა. საიდანაც გაწვეული იქნა სამხედრო სამსახურში...

გ. ბიწაძე 1939 წლიდან საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ხასწავლო ნაწილის გამგე იყო, შილი 1940-1941 წლებში ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

1941 წლის 6 თებერვლიდან გ. ბიწაძე მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ პროკურატურაში ხასამართლობებში სამოქალაქო საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად, შვიდი თვის შემდეგ, 1941 წლის 1 სექტემბრიდან, ამავე განყოფილების უფროსად დანიშნეს, მალე კი გადაიყვანეს მილიციის ორგანოებისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსად. 1943 წლის 15 მარტიდან იგი რესპუბლიკის პროკურატურის საგამომსახურებლო განყოფილების უფროსია, 1945 წლის 24 აპრილიდან გ. ბიწაძე აჭარის ასსრ პროკურორად დაინიშნა.

1949 წლის 4 ივლისიდან გ. ბიწაძე კვლავ თბილისშია, იგი ქალაქ თბილისის პროკურორად დაინიშნა. 1951 წლის 10 დეკემბერს ჩამოყალიბდა თბილისის ოლქის პროკურატურა და ოლქის პროკურორად გ. ბიწაძე გადაიყვანეს.

1953 წლის 24 ივნისიდან გ. ბიწაძე საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილედ და რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე გასვლამდე, 1974 წლამდე, 24 წლის განმავლობაში, მუშაობდა ამ თანამდებობაზე.

გ. ბიწაძე იურიდიულ საზოგადოებრიობაში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. იგი ღირსეულად იღვა მართლმსაჯულების სადარაჯოზე. იყო სამართლანი, კეთილსინდისიერი, ენერგიული და მეტიმეტად ერთგული, თავდადებული მუშაკი, უყოყმანოდ ასრულებდა პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს. მისი, როგორც კალინინის რაიკომთან არსებული სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორის, ნყოფიერი საქმიანობა პარტიის საქალაქო კომიტეტის საპატიო სიგელით აღინიშნა, სამართლის პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებული იყო საზოგადოება „კოდნის“ საკავშირო და რესპუბლიკური გამგეობების საპატიო სიგელით.

პენსიაზე გასვლის შემდეგ გ. ბიწაძე მონაწილეობდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის საზოგადოებრივ მისაღებში და ხალხს რჩევა-დარიგებას აძლევდა, განუშარტავდა კანონებს.

1974 წლიდან გ. ბიწაძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების უფროსად. აქაც იგი ჩვეული ენერგიით ეკიდებოდა როგორც სამსახურებრივ, ისე საზოგადოებრივ მოვალეობას, არჩეული იყო აკადემიის პრეზიდიუმის პარტიულროს მდივნის მოადგილედ და ბიუროს წევრად.

გ. ბიწაძე დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, ორი საპატიო ნიშნის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

გ. ს. ბინაძის ნათელი სახე დაუვიწყარი იქნება მის მეგობართა ხსოვნაში.

ბიბლიოგრაფია

ქურნალ „საბჭოთა საქართველო“ 1981 წელს გამოქვეყნებული მასალების საქმიანული

მოწინავე, სარედაქციო სტატიები, იმპროვიზაციული ცნობები და მასალები

- განვხორციელოთ საბჭოთა ქვეყნის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, № 2, გვ. 3-7.
- მეგობრობისა და ძმობის დღესასწაული, № 3, გვ. 3-5.
- საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა, № 1, გვ. 3-6.
- საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, № 6, გვ. 3-5.
- ქურნალი „საბჭოთა საქართველო“ ახალი, დიდი ამოცანების წინაშე, № 6, გვ. 5-7.
- შევექმნათ ერთიანი ფრონტი უყოფარაობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, № 5, გვ. 3-7.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები ცნობრებაში

- ბარაბაძე ა. — მეტერთმეტე ხუთწლედს — ჩქარავე მართლწესრიგი და კანონიერება, № 5, გვ. 8-15.
- შენგელა რ. — სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები და იურიდიული კადრების მომზადების ამოცანები, № 2, გვ. 8-15.
- შუშანაშვილი ა. — სკკპ XXVI ყრილობა და იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოს ამოცანები, № 3, გვ. 18-27.

სახელმწიფოსა და საზოგადოების თეორია, ისტორია, პოლიტიკური მომსახურების ისტორია, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, საერთაშორისო სამართალი, საგარეო,

თარიღები

- ალექსიძე ლ. — რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულების საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა; № 4, გვ. 3-15.

შენიძე ვ. — საქართველოს კომპარტია რესპუბლიკის საგანგებო კომისიის შექმნის ორგანიზატორი; № 3, გვ. 54-56.

ერემოვი გ. — საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარება სამოცი წლის მანძილზე, № 3, გვ. 46-53.

თორდია ვ. — ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დარგობრივ განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენციის სრულყოფისათვის; № 1, გვ. 45-47.

მარკოზაშვილი შ. — დანაშაული და სასჯელი მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში, № 5, გვ. 74-77.

მუშიჩენკო პ. ხაზალია ა. — გარემოს ბარისხის მართვის ცნებისათვის, № 3, გვ. 68-71.

ხვანელი ბ. — ადამიანის გენეტიკის ზოგიერთი სოციალური და ეთიკურ-სამართლებრივი პრობლემა, № 2, გვ. 24-32.

სიღამონიძე ვ. — მ. ჯავახიშვილის უცნობი წერილი, № 5, გვ. 71-73.

სტურუა დ. — ლენინის დიადი ანდერძის განსახორციელებლად, № 3, გვ. 6-17.

ტყეშელაძე გ. — ღირებულების პრობლემა და სამართალი, № 2, გვ. 16-23.

ფუტყარაძე ი. — სსრკ ქვეყნის კონსტიტუციის 159-ე მუხლის ქართული ტექსტისათვის, № 5, გვ. 16-25.

ცინცაძე დ. — საქართველოს სასამართლოების სამოცი წელი, № 3, გვ. 57-59.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი, სამეურნეო, სოფლის, საზინაო სამართალი, არაბიტრაჟი

ახვლედიანი შ. — ნაწარმოების თარგმნის უფლება საბჭოთა საავტორო კანონმდებლობით, № 1, გვ. 28-36.

დონჯაშვილი თ. — შრომის ორგანიზაციის სამართლებრივი ასპექტები, № 3, გვ. 36-45.



კაციტაძე თ. ხოქოლაძე ა. — საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის შესახებ, № 1, გვ. 48-56.

ლონინძე ჯ. — შრომის ორგანიზაციის ბრძოლა დღევანდელი ფორმის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, № 4, გვ. 16-25.

ლილუაშვილი თ. — შრომითი დავები და მათი წარმოშობის მიზეზები, № 1, გვ. 21-27.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა

გაბინი ა. დიდებულიძე შ. — ქალაქსა და სოფელში დამნაშავეობის შესწავლის ზოგიერთი თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხი, № 2, გვ. 33-40.

გვებაძე რ. — „ერთიანი საქაფშირო სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის წესები“, № 4, გვ. 61-64.

მიქაძე ა. — არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებლეობით ბუნება საბჭოთა სისხლის სამართალში, № 6, გვ. 8-16.

მოზარდთა სამართალდარღვევის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი ქ. თბილისის მასალების მიხედვით, № 1, გვ. 37-44.

ნაჭყეია გ. — დანაშაულის მოტივი სისხლის სამართლებრივი ჯერარსობის მიხედვით, № 4, გვ. 35-45.

უღვინე ალ. — დანაშაულის მიზეზისა და პირობის ცნების საკითხისათვის, № 4, გვ. 26-34.

ფალიაშვილი ა. — პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ, № 5, გვ. 26-37.

შველიძე რ. — გამოკითხვისა და დაკვირვების სოციოლოგიური მეთოდის გამოყენება სისხლის სამართალში, № 4, გვ. 55-60.

კანონის კომენტარი

კუხრაშვილი ლ. — ძლიერი სულიერი ადვლევების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ზოგიერთი საკითხი, № 6, გვ. 17-28.

ლორია ვ. — ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ახალი კანონმდებლობით, № 1, გვ. 15-20.

უგრეხელიძე შ. — სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კულტურის ძეგლების და

ბუნების ობიექტების ხელყოფისათვის, № 5, გვ. 38-43.

შუშანაშვილი ალ. — ახალი დებულება საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ, № 1, გვ. 7-14.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

ახიეშვილი ვ. — ავამაღლოთ ტრანსპორტზე დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობა, № 1, გვ. 57-62.

გერსამია თ. — მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ, № 5, გვ. 44-51.

დედარიაანი გ. — სასამართლო პრაქტიკა იმ დავების გამო, რომლებიც საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლებას ეხება, № 6, გვ. 2, 29-34.

კვანტალიანი გ. — გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო წესრიგის ქალაქად, № 2, გვ. 55-63.

კობახიძე ა. — განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი, № 2, გვ. 40-48.

მახარაძე შ. — უზრუნველყოთ სასამართლოების საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობა, № 3, გვ. 28-35.

მეჭრეთაშვილი ა. — მუშაობის მიხედვით, № 2, გვ. 64-68.

ნარმაია კ. — სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის ეფექტიანობისათვის, № 4, გვ. 45-54.

ღულუნიშვილი ალ. — ავამაღლოთ სასამართლოების როლი შრომის კანონმდებლობის დაცვისა და შრიქის დისციპლინის განმტკიცებაში, № 5, გვ. 52-57.

ცირამუა გ. — სასამართლო პრაქტიკა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის საქმეებზე, № 6, გვ. 35-40.

ხაჯალია ზ. — კანონიერებისა და წესრიგის სადარაჯოზე, № 6, გვ. 46-51.

ხიდეშელი ქ. — პროკურორის სარჩელები და მათი სასამართლოში განხილვა, № 6, გვ. 41-45.

ხითარაშვილი ე. — ადვკვეთით მოქალაქეთა უკანონოდ მსჯავრდადების ფაქტები, № 2, გვ. 49-54.

ფლონტი ი. — იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას, № 5, გვ. 58-65.

თარიღები, კორტრამები, ნარკვევები,

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მოსხრობები

- ბერძენიშვილი გ.** — როცა საქმე გიყვარს, № 4, გვ. 65-68.
- ბერძენიშვილი გ.** — რწმენა № 3, გვ. 65-67.
- გამყრელიძე ო.** — მასწავლებლის გახსენება, № 4, გვ. 69-72.
- ჯანგური ო.** — საქართველოს სსრ პირველი პროკურორები და იუსტიციის სახალხო კომისრები, № 3, გვ. 60-64.
- მანველიანი ს.** — სამართლიანად დასჯილნი, № 1, გვ. 72-73.
- კომახიძე მ., სიხარულიძე ი.** — ფართო სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საბრელოზე, № 2, გვ. 72-74.
- ლიქოკელი პ.** — პირშესამყრელო, № 5, გვ. 66-70.
- ქალთა ხაერთაშორისო დღისათვის,** № 2, გვ. 69-71.
- ხარიტონაშვილი მ.** — იურისტთა დახელოვნების სამსახურში, № 1, გვ. 70-71.
- ჭანტურია შ.** — კანონიერების სადარაჯოზე, № 1, გვ. 68-69.
- ჭანტურია ლ.** — გამომძიებელი, № 6, გვ. 52-53.

- სურგულაძე ი.** — ვახტანგ VI სამართლის წიგნის ახალი რუსული თარგმანის გამო, № 1, გვ. 63-69.
- ინფორმაცია** № 1, გვ. 74-77, № 2, გვ. 77-78, № 3, გვ. 72-75.
- ცნობები ავტორთა შესახებ,** № 1, გვ. 80, № 2, ყდის მესამე გვერდი, № 3, გვ. 80, № 4, გვ. 80, № 5, ყდის მესამე გვერდი, № 6, გვ. 80.
- ოფიციალური მასალა,** № 2, გვ. 75-76, № 6, 59-77.
- არბიტრაჟის პრაქტიკა,** № 6, გვ. 54-56.

შეკრულებები

- არჩემაშვილი ი.** — № 1, გვ. 78.
- გიორგაძე დ.** — № 3, გვ. 78.
- გელოვანი ა.** — № 6, გვ. 78-79.
- ისაკაძე ო.** — № 1, გვ. 78.
- ლორთქიფანიძე ი.** — № 1, გვ. 79.
- ნიკიფოროვი ბ.** — № 2, გვ. 79.
- ხტურუა მ.** — № 2, გვ. 79.
- ღლონტი ა.** — № 2, გვ. 80.
- ხიდურელი შ.** — № 3, გვ. 79.
- ჭანჭლავა დ.** — № 2, გვ. 79.
- ჭიჭეიშვილი ვ.** — № 3, გვ. 77.

ივთა
მძ
66

ცნობები ავტორთა შესახებ

- ალექსანდრე მიხეილის ძე რეპუნკოვი** — სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი.
- გენადი ვასილის ძე კოლბინი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი.
- ალექსი ნიკოლოზის ძე ინაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-პოლკოვნიკი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ავლიკი დავითის ძე ჯურაბაშვილი** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და პრეზიდიუმის წევრი, 400-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 22 მონოგრაფიის ავტორი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ანზორ ალექსანდრეს ძე ბაბიანი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოცოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, 58 სამეცნიერო შრომისა და მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- გელა გიორგის ძე ლეშავაძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 26 მეცნიერული შრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ზიძინა რაშაძენის ძე ნანაიშვილი** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო სამედიცინო საბჭოს თავმჯდომარე, ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, 112 სამეცნიერო შრომისა და 4 მონოგრაფიის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ლამარა იონას ასული ჩორგოლაშვილი** — თბილისის საქალაქო სახამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, მეხუთედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ლევან სავკრიანის ძე ჭუთათელაძე** — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 1, 1982 (на грузинском языке).
Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

3560 60 353.

68/189

0593560

